

K 28.304  
2





АКАДЕМИЯ НАУК СССР  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ

---



П. ГЕЛЕЙШВИЛИ

# ИЗ ЛИТЕРАТУРНОГО НАСЛЕДИЯ ГРУЗИИ XVIII ВЕКА

АЛ. АМИЛАХОРИ, КАК ПОЛИТИЧЕСКИЙ ДЕЯТЕЛЬ,  
ПИСАТЕЛЬ И МЫСЛИТЕЛЬ

პ. გელი 0 0 8 3 0 3 0

2

(30)

# XVIII საუკუნის ლიტერატურული მემკვიდრეობის

პ. ამილახორი, როგორც პოლიტიკური  
მოღვაწე, მუსიკისა და მოაზროვნო

K 1/6 5/14  
2



დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს  
ფილიალის განკარგულებით.



გადაცემულია თასაბეჭდად 25/X—1935 წ.

დაიბეჭდა 26/VI—36 წ.

მთავლითი № 7071-Д ტირაჟი 2000

შეკვეთა № 2612

„ზარია ვოსტოკას“ ა. ფ. მიასნიკოვის საჩელობის წითელდროშოვანი  
სტამბა

სპეც-2000  
ავტომატური



K28304  
2



ალექსანდრე ამილახვი



# წინასიცყვაობის მაგიერ

რანი გიყავით გუმიტ?

რანი გარე დღეს?

ნუგზარ ერისთვის დროსაო

სისხლის წვიმების დროსაო.

**ხალხური.**

1

— „მე, პაპუნა ორბელიანმა, ხელვჰყავ აღწერად  
 პირველად, რათა არ დავიწყებულ იქმნენ ესე ვითარნე  
 ამბავნი და მერედ, შემდგომნი ჩემნი მოიხსენებდნენ  
 ესოდენათა უამთა, ვითარებათა და ქცეულებათა, რომელ  
 კნინღა და ორასოდეს ყოფილ არიან ესე ვითარნი იწრო-  
 ებანი ქართლისანი და მალიადნი ცვლილებანი დამპყრო-  
 ბელთა და განმგეთა ქვეყნისა ჩვენისანი, მწარენი და  
 ძნიადნი მოხარკეობანი, რომელი მე ვიხილე თვალითა  
 ჩემითა და რომელიმე მოშეობრეს სარწმუნოთა კაცთა-  
 გან.“

ასე იწყებს თავის შესანიშნავ თხზულებას მაღალ-  
 ნიჭიერი ისტორიკოსი XVIII საუკუნისა, თანამედროვე  
 მეფე ერეკლესი და მისი თვალისაჩინო თანამშრომელი  
 პაპუნა ორბელიანი.

ჩვენ არ ვიცით მეორე მწერალი, რომელსაც ასეთის  
 სრულყოფით მოეცეს XVIII საუკუნის საქართველოს  
 ტრალედის სურათი, როგორც ამ სტრიქონებში იძლევა

პაპუნა ორბელიანი. მართლაც XVIII საუკუნე, დაწყე  
ბული ოციანი წლებიდან და გათავებული საქართველოს  
სახელმწიფოებრივი სახის მოსპობით—1801 წლით,—  
უსაშინელესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ეს  
იყო ხანა ქართველი ერის სისხლიდან დაცლისა, ეს იყო  
მისი პოლიტიკური სხეულის უკანასკნელი გაბრძოლება,  
რომელიც ქვეყნის პოლიტიკური სიკვდილით დამთავრდა...

მას შემდეგ რაც სელჯუკებმა ბიზანტიის იმპერია  
დაიპყრეს (1453 წ.), საქართველო სრულიად მოწყდა  
ევროპას, რომლის კულტურასთან მას ათიოდე საუკუნე  
აკავშირებდა. ამ დროიდან ის მოემწყვდა ორ დიდ სა-  
ხელმწიფოს —ირანსა და თურქეთს —შორის, რომლებიც  
დაუზოგავად ებრძოდენ ერთმანეთს თვით საქართველოს  
დაბყრობისათვის. ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეუწყო  
ხელი საქართველოს პოლიტიკურად დანაწილებას. მტრე-  
ბმა იმთავითვე ისარგებლეს ძველი, ყველა იმპერიალის-  
ტების მიერ მიღებული პრინციპით: divide et impera,  
რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს მთლიანი სახელ-  
მწიფოს სამ პატარა სამეფოდ და ხუთ კიდევ უფრო პა-  
ტარა სამთავროდ დანაწილება. ეს ახლად მოვლენილი  
პოლიტიკური ერთეულები, მათი წარმომშობი გარეშე  
ძალების მიერ ზუგგამაგრებულნი, თავს ესხმიან ერთ-  
მანეთს, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ საქარ-  
თველოს მიწა-წყალს, დაუნდობლად ულეტენ თვით  
ქართველ ხალხს. ქართველი მეფეები და ფეოდალები  
იარაღით ხელში ებრძვიან ერთამანთს. ისინი მთე-  
ლი ძალებით ეხმარებიან თავის საერთო მტრებს; ერთ-  
მანეთს ეჯიბრებიან. ირანის შაჰებისა და თურქეთის  
სულთანებისადმი ერთგულებაში, რაც ყოველთვის შათო

საკუთარი სამშობლოს აკლებითა და განადგურებით  
თავდება: „აზავებულნი მებატონენი“ ყოფელი მხრიდან  
გარბოდენ ირანში, იღებდენ მაჰმადის რჯულს და შედი-  
ოდენ შაპის სამსახურში. XVI საუკუნის დასაწყისში  
ამ ქართველი „მებატონებისაგან“ შაპის კარზე შესდგა  
მთელი ლაშქარი, იგი ცნობილია, როგორც „ყულთა“  
(მონათა) ლაშქარი, რომლის შეფადაც შაპ-აბაზ პირვე-  
ლის დროს დანიშნული იყო ქართველი მეფის-ძე ხოსრო-  
მირზა, შემდეგ იმავე შაპ-აბაზის მიერ ქართლის მეფედ  
დანიშნული როსტომი. ასე იქცეოდენ ქართველი ფეოდა-  
ლები ყოველთვის, როცა მათი ქვეყანა განსაკდელში იყო:  
დახმარების ნაცვლად, ისინი გარბოდენ განწირულ სამ-  
შობლოდან ისე, როგორც გარბიან ხოლმე გირთაგვები  
დასაღუპად განწირულ გემიდან, და მტერთა ბანაკში  
გადადიოდნენ. ასე მოიქცენ ისინი მაშინაც, როცა მრის-  
ხანე შაპ-აბაზმა უკვე გადაწყვიტა კახეთისა და ქარ-  
თლის ბედი და მათ წინააღმდეგ ჯარებს აგროვებდა.  
გაიგეს თუ არა ეს იმ დროის უდიდესმა ფეოდალებმა,  
საერთო ძალებით ქვეყნის დაცვის ნაცვლად, დაუყოვნებ-  
ლივ წავიდენ თავისი ჯარებით მრისხანე ჰაშ-აბაზის  
დასახმარებლად. ეს „ბრწყინვალე“ თავადები იყვნენ:  
არაგვისა და მთიულეთის ერისთვის ნუგზარ, რომლის  
რდონსაც ხალხმა „სისხლის წვიმების“ დრო უწოდა;  
ქსნის ერისთავი იასე, ფალავანდიშვილი ფეშანგი, ხერხე-  
ულიძე ახატან, ამირახორი ანდუყაფარ, რომელმაც თავი-  
სი საკუთარი ქვეყნის აკლებაში ისეთი ერთგულება უჩ-  
ვენა მრისხანე შაპს, რომ მან იგი სიძობის ლირსად მი-  
იჩნია და თავისი შვილის შვილი ცოლად შერთო. ასეთი-  
ვე დიდი სამსახური გაუწია შეპ-აბაზს ყოფილმა არაგვის  
ერისთავმა ზაალმა, რომელსაც შაპმა ჯილდოდ მისცა  
ბირუჯის დიდი მამულები კაზვინის მახლობლად.

საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრი

თუ ჩვენ გვსურს ძველი საქართველოს პოლიტიკური  
წარსული ერთ სურათში გამოვხატოთ, უნდა მოვიგონოთ  
ძველი ბერძნების ლეგენდა არგონავთებზე.

იაზონი, მეფი აეტისთან დადებული პირობის თანახ-  
მაღ, ხნავს მიწას და პურის ნაცვლად თესავს დრაკონის  
კბილებს. მიწიდან ამოცვივან ფოლადის ჯავშნიანი,  
თავით ფეხამდე შეიარაღებული გოლიათები, რომლებიც  
შეუტევენ სამტროდ მოსულ იაზონს. მაგრამ იგი, თვით  
მეფე აეტის ასულის, ჯადოსანი და თანაც მოლალატე  
მედეას დარიგებით, წინ გაუგდებს მათ ფეხის დასაც-  
დენ მოლიპულ ქვას (Камень преткновения); იმავე დროს  
თვითონ მედეა უმღერს მათ გეკარას ტკბილ ძილისპირს  
და აპკურებს სურნელოვან წყალს. გოლიათები თავს  
ანებებენ იაზონს, იარაღით ხელში მიესევიან ერთმანეთს  
და მანამდე არ დაწყნარდებიან, სანამ ერთიმეორეს არ  
დახოცავენ.

ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური ბედი. იგი  
მუდამ გარშემორტყმული იყო სამტროდ განწყობილი  
იაზონებით, უკანასკნელნ, ყოველთვის პოულობდენ ქარ-  
თველ დიდებულებს შორის მოლალატე მედეას, რომელიც  
ტკბილი ძილისპირითა და აიაზმის წყლის პკურებით აუ-  
ყნარებდა ხალხს, აულეტინებდენ ერთმანეთს ქართველებს  
და თვითონ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდენ  
მათთან ბრძოლაში.

ბოლოს, როცა ირანის და თურქეთის ბედის განმგე-  
ბელთ დაინახეს, რომ თვით ქართველი მაღალი წოდება  
საკუთარი ქვეყნის დაცვის ნაცვლად მტრებს უწევს დახ-  
მარებას, მათ უკუადგეს ურთიერთ შორის ბრძოლა და  
გადაწყვიტეს თანხმობით გაეყოთ საქართველოს სახელ-  
მწიფო ირანსა და თურქეთს შორის. ეს მათ მოიყვანეს

სისრულეში 1686 წელს, როცა შაჰ სეფიმ და სულთანმა ამურატ IV-მ გაიყვეს მთელი საქართველო: ორანი დაქვა-  
ტრონა აღმოსავლეთ საქართველოს, თურქეთი — დასავ-  
ლეთს.

ასეთი იყო საქართველოს მდგომარეობა XVI სა-  
უკუნის დასაწყისიდან. მაგრამ ჯერ მეცნიერებამ არ  
იცის ისეთი სოციალური სენი, რომელსაც ადამიანი არ  
შეეჩინს. და დროთა განმავლობაში, ერთის მხრით, სა-  
ქართველოსა, ხოლო მეორის მხრით, ირანსა და თურ-  
ქეთს შორის თავისთავად გამომუშავდა რაღაც იმ მოვა-  
ლეობათა ნორმები, რომლებიც დაეყისრა ქართველ ხალხს  
დამპყრობელთა სასარგებლოდ. და თუ თავის მოვა-  
ლეობას პირიანად შეასრულებდა, ახალი ბატონებიც,  
გამოდიოდენ რა თავისი პირადი ინტერესებიდან, იმ ინ-  
ტერესებიდან, რომელიც ყოველ ჭკუათამყოფელ ადა-  
მიანს უკარნახებს:—თუ მატყლი გინდა, ცხვრები სულ კი  
არ უნდა გასწყვიტო, —ფიზიკური არსებობის შესაძ-  
ლებლობას მაინც აძლევდენ ქართველ ხალხს...

საქართველო არასოდეს არ შერიგებია ასეთ მდგო-  
მარეობს. ის ყოველთვის სარგებლობდა პოლიტიკური  
გართულებით თავის მოსისხლე მტრებს შორის და ხში-  
რად იარაღით ხელში იბრძოდა. დაკარგულ უფლებათა  
აღსაღენად. მაგრამ მან იცოდა, რომ მარტო თავის ძა-  
ლაზე დაყრდნობილი ისლამის სიმკაცრეს თავს ვერ და-  
აღწევდა და დაკარგულ უფლებებს ვირ აღიღენდა...  
ასეთ პირობებში ძალაუნებურად უნდა წამოჭრილიყო  
საქართველოში ორიენტაციის საკითხი: — ვისთან ერთად?  
ვისთან კავშირი უფრო ხელსაყრელი იქნება? ვისი დახმა-  
რებით შეიძლება დაკარგულ უფლებათა აღდგენა თუ  
არა, ფიზიკური არსებობის შენარჩუნება მაინც?

სად იყო ასეთი ძალა? ვის უნდა ეხსნა საქართველო  
ისლამის სიმკაცრისაგან? ასეთ ძალად მაშინდელი მარტინ  
თველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებს „ერთმორწმუნე“,  
„აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანეთი ისტორიული ღამ-  
ცველი“ რუსეთი ეხატებოდათ და მათაც მისკენ მიაპყ-  
რეს ცრემლიანი თვალები.

ამ ნიადაგზე შეიქმნა რუსეთ-საქართველოს შორის  
დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც ითანე მრისხა-  
ნეს დროიდან დაიწყო. მაგრამ ამ ურთიერთობას არავი-  
თარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია საქართველოსათ-  
ვის. რუსეთის ხელმწიფოები კი ხშირად სარგებლობდენ იმ  
ცრემლიანი და თანაც მონური „ხელშეკრულებებით“,  
რომლებსაც მათთან ქართველი მეფეები სდებდენ და რომ-  
ლებშიაც საქართველოს რუსეთის „საფარველ ქვეშ“ აც-  
ხადებდენ. ასე შოიქცა, მაგალითად, რუსეთის ხელმწიფე  
ალექსი მიხეილისძე, რომელმაც ირანის შაჰ-აბაზ პირ-  
ველს 70 ათასი მანეთი—„მცირე ხაზინა“ გამოართვა  
სწორედ იმ დროს, როცა იგი მიწასთენ ასწორებდა რუ-  
სეთის „საფარველ ქვეშ“ მყოფ ქართლ-კახეთს.\*

რუსეთის დახმარება საქართველოსათვის მხოლოდ  
იმაში გამოიხატებოდა, რომ მისი მეფეები ხან ქორ-  
მიმინოებს გამოუგზავნიდენ ქართველ მეფეებს:—არ  
მოგწყინდეთ, მწყერებზე ნადირობით გაერთოთ; ხან

\*. იხ. Соловьев. Ист. Росели, кн. II, стр. 712. ალბათ,  
იმავე „ხელშეკრულებიდან“ გამოდიოდა პეტრე პირველი, რომელმაც  
1724 წელს თურქეთს „დაუთმო“ მოელი აღმოსავლეთი საქართველო  
ირანისაგან „მოპარული“ (მარქსის სიიტყვაა) პროვინციე-  
ბის სამაგიეროდ; ალბათ, იმავე „საბუთებიდან“ გამოდიოდა ვკატე-  
რინე მეორე, როცა მან 1774 წ. კუჩუმ ცაინარჯის ზავის დროს თურ-  
ქეთს დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია უთა-  
ვასა.

XVIII საუკუნის დამდეგს, როცა ირანი შვალანელთა და ბელუჯისტანელთა აჯანყებებმა შეასუსტა, როცა თვით სახელმწიფოში თავი აიშვეს ფეოდალებმა და თითოეული მათგანი ცდილობდა შაპის გვირგვინით თავის დამშვენებას, საქართველომ ჩინებულად ისარგებლა მტრის ასეთი გაჭირვებით და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

ვახტანგ VI ერთობ გონიერი და კულტურული შმართველი გამოდგა. მეზობლებთან დაუსრულებელი ომების ნაცვლად მან ქვეყნის კულტურულ ძლიერდინების რაჭეებს მიჰყო ხელი. ვახტანგმა ტფილიში გახსნა ჩინებულად მოწყობილი სტამბა, დაიწყო ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვა, შექმნა ქართველ მეცნიერ ისტორიკოსთა კომისია, რომელმაც სისტემაში მოიყვანა ქართული ისტორიის ყველა წყაროები; განაგრძო „ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნემდე, სისტემაში მოიყვანა ძველი და ახალი ქართული კანონმდებლობა, რომელსაც დღეს მეცნიერება იცნობს „ვახტანგის კანონთა კრებულის“ სახით და რომელსაცარ დაოკარგავს თავისი მნიშვნელობა XIX საუკუნის პირველ ნახევარშიაც. ვახტანგის დროს დაიწერა და დაიბეჭდა მრავალი სამეცნიერო წიგნი, რომელთა შორის ყველაზე შესანიშნავია ვახუშტის საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, განსაკუთრებით გეოგრაფია, რომელსაც დღესაც დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას აკუთვნებენ სპეციალისტები და რომლის მსგავსიც, აკადემიკოსი ნიკო მარის ავტორიტე-



ტული თქმათ, იმ დროს არ მოეპოებოდა ევროპის ბრძ  
ერთ განათლებულ სახელმწიფოს...

დაიწყო მყუდრო ცხოვრება. მინდორ-ველებში კვ-  
ლავ გაისმა დიდიხნიდან დაღუმებული მიწის მუშის  
ოროველა... ასე ნელ-ნელა იკრეფდა ძალას საქართვე-  
ლო. მაგრამ ერთობ ხანმოკლე გამოდგა ეს მყუდრო  
ცხოვრება. მალე ჩამწარდა საქართველოს ეს ცოტახნით  
გამოღვიძება.

#### 4

### რა მოხდა?

XVIII საუკუნის, ოციან წლებში რუსეთის სავაჭ-  
რო კაპიტალმა, რომელმაც თავის სათარეშოდ ვერ გაი-  
კაფა გზა ევროპისაკენ, ვერ ჰპოვა გასავალი ბალტიისა  
და შავ ზღვაზე, აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი. აი ამ  
სავაჭრო კაპიტალის მედროშემ, პეტრე პირველმა, ვადას-  
წყვეტა ესარგებლა ირანის პოლიტიკური კრიზისით  
და ჩამოეჭრა მისთვის მდიდარი პროვინციები. რაკი პეტ-  
რეს მარტო თავისი ძალის იმედი არა ჰქონდა, დახმარე-  
ბისათვის მიმართა საქართველოს მეფეს ვახტანგ; VII-ს.  
ეს ერთობ დიდი ამბავი იყო მაშინდელ საქართველოს-  
თვის. თუ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველი  
მეფეები ამაռი სთხოვდნენ დახმარებას რუსეთის ხელმწი-  
ფებს, ახლა თვითონ დიდი და ძლიერი რუსეთის ყველა-  
ზე გამოჩენილი ხელმწიფი უწოდებდა მათ ხელს სამე-  
გობროდ და დახმარებას სთხოვდა იმ ირანის წინააღმდეგ,  
რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში სისხლიდან დასკა-  
ლა საქართველო, მოუსპო მას არსებობის შესაძლებლო-  
ბა. აბა ამაზე ბედნიერ შემთხვევას როგორ წარმოიდგენ-  
და ქართველი პოლიტიკის ხელმძღვანელი, და ვახტანგ

წI სრულიად უყოფმანოდ, სრულიად დაუფიქრებული შეუდგა პეტრეს წინადაღების ასრულებას. გამოიყვანა 40 ათასი კაცისაგან შემდგარი კარგად შეიარაღებული ჯარი (მათ შორის 12 ათასი სომეხი), გაიარა განჯა და ომი გამოუცხადა დაღესტანს, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ცეცხლითა და მახვილით უტევდა პეტრე პირველი. მართალია, ვახტანგს ლეკებთან შეტაკება არ მოუხდა, მაგრამ მაინც უდიდესი დახმარება გაუწია პეტრე პირველს. ორ ცეცხლს შეა მომწყვდეული შეშინებული დაღესტანი თითქმის სრულიად უბრძოლველად დასთანხმდა პეტრე პირველის ყველა მოთხოვნის შესრულებაზე. პეტრემ თითქმის სრულიად უბრძოლველად მოაჭახრაკა თავისი საქმეები: ანექსია უყო ირანის მდიდარ პროვინციებს და უკან გაბრუნდა ისე, რომ ერთხელაც არ დაფიქრებულა თავის მოკავშირე მეფი ვახტანგის და მისი ჯარების ბედზე. ერთხელაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ მის მიერ მტრების პირისპირ დატოვებულ საქართველოს დაღესტანი, ირანი და თურქეთი არ აპატიებდენ ვახტანგის ასეთ ლალატს.

წავიდა პეტრე და საქართველო დარჩა მარტოდ-მარტო, მტრულად განწყობილი მუსულმან სახელმწიფოებით გარემოცული. რა მოხდა? ჩვეულებრივი რამ! პეტრემ უკვი მიიღო ის, რის მიღებაც მას სურდა, მან უკვე დაიპყრო ირანის მდიდარი პროვინციები: უკვე დიპლომატურად მოაჭახრაკა საქმე თურქეთთან და გზას გაუდგა.

იმედგაცრუებულმა, მოტყუებულმა ვახტანგმა ვერც კი მოასწრო ტფილისში დაბრუნება, რომ უკვე დაიწყო ქართლ-კახეთის უდიდესი ტრალედია. ისეც მოუსვენარი დაღესტანი, რა თქმა უნდა, ქართველებს არ აპატიებდა ასეთი გაჭირვების დროს ვერაგულად თავდასხმას. კადევ

უფრო უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო ირანი, რომელ-  
საც მისმა ვასალმა ქართლის მეფემ უღალატა მოსის  
მოსისხლე მტერს მიემხრო. თურქეთი ხომ პეტრესთან  
წინასწარი შეთანხმების ძალით უნდა დაპატრონებოდა  
აღმოსავლეთ საქართველოს...

და დაიწყო ქვეყნის უბედურება. ჯერ ქართლს თავს  
დაესხა ირანის შაჰის მიერ ქართლის მეფედ დანიშნული  
კონსტანტინე, რომელმაც ლეკებისა და ირანის ჯარების  
დახმარებით ნაცარ-ტუტად აქცია ტფილისი. ამას თან  
მოჰყვა თურქეთის ჯარების მიერ ქართლის დაპყრობა.  
მეფე ვახტანგი და ბაქარი უომრად უთმობენ სამეფოს  
თურქეთის ჯარებს და გარბიან რუსეთისაკენ, სადაც მათ  
იღებენ არა ისე, როგორც დიდად სასურველ სტუმ-  
რებს, მაგრამ მაინც აძლევენ ბინას და ულუფას, ისე ყო-  
ველ შემთხვევისათვის, დიპლომატიური საჭიროებისათ-  
ვის.

აღმოსავლეთი საქართველო დარჩა მოტყუებული,  
უმწეო, ურიცხვი მტრების პირისპირ. ამ დროს ქართლში  
არ სჩანს არც ერთი კაცი, რომელმაც სცადოს მაინც  
ხალხის ძალების ორგანიზაცია, მტრებთან შებრძოლება  
ან მათთან რაიმე საერთო ენის გამონახვა, სცადოს მაინც  
ხალხის უბედურების შემსუბუქება. სრულიად წინააღმ-  
დეგ მოვლენას ვხედაჲთ. იწყება ჩვეულებრივი მოღალა-  
ტეობა ქართველი ფეოდალებისა. ყველა მათგანი ცდი-  
ლობს ქვეყნის ახალი ბატონების გულის მოგებას, იჩქა-  
რის მათოვის ერთგულების გამოცხადებას. ქართლ-კახე-  
თის ისტორიაში დგება საშინელი ხანა, რომელსაც თანა-  
მედროვე პოეტი დ. გურამიშვილი ასე აგვიწერს:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსივლის, თუ არ ბრძენი,  
ენა მჭევრი.

იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცე-  
ცხლის ქვერი”

მაგრამ ქვეყნის ასეთ უბედურებაში პოეტი თავი-  
სიანებს, ქართველებს უფრო ამტკუნებს, ვიდრე გარეშე  
მტრებს:

„კახელების აღმა ხნული, ქართველებმა დაღმა ფარ-  
ცხეს,

უწინდელ გათხუნვილი დარჩა კაბდო აღარ გარცხეს.  
უკულმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გა-  
მოიღო:

მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო“.

5

ეს საშინელი ხანა გაერძელდა მრისხანუ ნადირ-შა-  
ვის სიკვდილამდე, მანამდე, სანამ მისი ხმლით აღდგე-  
ნილი ირანის მთლიანობა ხელახლა არ დაირღვა; სანამ  
ირანი ხელახლა არ მოიკვა ანარქიამ.

ამ ანარქიით კვლავ ისარგებლეს ირანის ყველა  
ვასალებმა, ისარგებლეს ქართლ-კახეთის მეფეებმაც. ამ  
დროს (1747 წლიდან) ირანის უღელი თანდათან  
სუსტდება და მისგან განთავისუფლებული ქართლ-კახე-  
თის მეფეები იწყებენ თავდაცვიდან შეტევაზე გადასვ-  
ლის. პატარა სახელმწიფოებსაც ცხეოვე დიდი იმპე-  
რიალისტური მაღა ჰქონდათ, როგორც დიდ სახელ-  
მწიფოებს. ეს აძჟარად გამოირკვა ერეკლე II-ის  
მეფობის პირველ ხანებში. ამ დიდად ნიჭიერმა პოლი-  
ტიკოსმა და კიდევ უფრო ნიჭიერმა სარდალმა სულ  
ადვილად დაიმორჩილა გუშინდელი მტრები—განჯისა  
და ერევნის სახანოები და მათ ყოველწლიური ხარაჭა  
დაადგო.

სახელმწიფოს შინაგან მშენებლობაში ერეკლე მეო-  
რე დაადგა შისი პაპის, ვახტანგ ვI-ის მიერთაცვა-  
ლულ გზას. ერეკლეს გამეფების დროიდან ხელახლა იწ-  
ყება საქართველოში კულტურული ოლორძინების ხანა.  
ტკილისში იხსნება ჩინებულად მოწყობილი სტამბა, იწ-  
ყება წიგნების ბეჭდვა. დღის წესრიგში დგება ხალხის  
განათლების საქმე. ტფილისში და თელავში იხსნება  
აკადემია, რომელშიც თავს იყრიან იმდროინდელი ქარ-  
თველი მეცნიერები. აკადემიებში გარდა სალვოსმეტ-  
ყველო საგნებისა ასწავლიან სხვადასხვა მეცნიერე-  
ბას, ასწავლიან ძველსა და ახალ ენებს; იწყება დიდი  
ხნიდან გაუქმებული ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის  
მაღაროების დამუშავება, რითვისაც ერეკლე საზღვარ-  
გარეთიდან იწერს ამ საქმის საუკეთესო მცოდნებს.  
ტფილისში არსდება ზარაფხანა, საღავა სჭრიან ქართულ  
ფულს. ტფილისშივე ვხედავთ კერამიკის ჩინებულად  
მოწყობილ ქარხანას. ქართველი მწერლები და მეცნიე-  
რები ერთმანეთს ეჯიბრებიან კულტურულ მუშაობაში.  
ერეკლეს მეფობის დროს გადაიდგა ნაბიჯები ქართული  
თეატრის შესაქმნელათ. თარგმნიან სხვადასხვა ენებიდან  
სასცენო თხზულებებს. მაგალითად, დავით ჩოლოყაშვი-  
ლი თარგმნის ფრანგულიდან რასინის „იფიგენიას“,  
უმაღლეს წერტილამდე აღის ქართული ლირიკა მაღალ-  
ნიჭიერი პოეტის ბესიკის შემოქმედებაში; იწერება საუ-  
კეთესო წიგნი, „კალმასობა“, იქმნება ქართული გრამა-  
ტიკა.....

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ირანის ჩამოშორების  
შემდეგ საქართველო თანდათან დგება მყუდრო, კულ-  
ტურული კხოვრების გზაზე. იგი თანდათან იშლება

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მიღებულ ჭარდილი  
ბები, და აღორძინების გზას აღვება.

6

X მაშინდელი ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მდგომა-  
რეობას ყველაზე უფრო ახსიათებს რუსეთის მთავრო-  
ბის საიდუმლო აგენტი, კინმე მანგოვი, რომელიც 1760  
— 1762 წლებში ცხოვრობდა და „მოღაწეობდა“  
ტფილისში. ის თავის მთავრობას ასე აუწერს მეფე ერე-  
კლესა და ქართლ-კახეთის მდგომარეობას 1762 წელს:  
„საქართველოს მეფე (ორიგინალში მეფის ძე) ირაკლი  
სრულ ძლიერებაში იმყოფება, როგორც ეს შეეფერება  
ნამდვილ თვითმშეყრობელს (самовладельцу); საქართვე-  
ლოს ყველა თავადნი, აზნაურნი და მდაბიონი მის სრულ  
მორჩილებაში არიან“. — შემდეგ მანგოვი იძლევა ცნო-  
ბებს ერეკლეს შეიარაღებული ძალების შესახებ. დაუს-  
რულებელი თავდასხმისაგან ქვეყნის დასაცავად  
ერეკლეს ჰყოლია ექვსი ათასი კაცისაგან შემდგა-  
რი მუდმივი ჯარი; საჭირო დროს მას შეძლება ჰქო-  
ნია ამდენივე ჯარის გამოყვანისა. ომის საჭიროების მი-  
ხედვით ის შეიარაღებულ ძალას ქირაობდა აგრეთვე  
ყაპარდოს ჩერქეზებისაგან. „აზლა ირაკლის არც ერთი  
მხრიდან არ მოელის ომის საშინაოება: ირანს იგი თვი-  
თონ ეპყრობა მფარველობით. თურქეთის საზღვრები-  
დანაც ის უზრუნველყოფილია“.

მანგოვის ცნობებს XVIII. საუკუნის სამოციან  
წლების ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობას  
შესახებ სავსებით აღსტურებს თვითონ მექუ თეიმურა-  
ზი იმ თხოვნაში, რომელიც მან 1761 წელს მიართვა  
რუსეთის ხელმწიფეს ელისაბედს:

„სპარსეთში დაუსრულებელი ანარქიისა და იმ გა-  
რემოების მეოქებით, რომ ისმალეთის მთავრობა ჩვენს  
საქმეებში არ ერევა, ისეთი კარგი პირობები იქმნება საქა-  
რთველოსთვის, რომლის მსგავსიც მას არასოდეს ჰქო-  
ნია, ორი ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფოს მხრით  
საქართველო უზრუნველყოფილია“...

შეიძლება იკითხოთ: თუ ეს ასე იყო, თუ იმ დროს  
ქართლ-კახეთი ამდენად ძლიერი იყო, მაში რატომ მი-  
დიოდა თეიმურაზი რუსეთში, რატომ სთხოვდა მას დახ-  
მარქბას? რაში ესაჭიროებოდა მას ასეთი დახმარება?  
ამის პასუხი თვითონ თეიმურაზ მეორეს მოუსმინოთ:

— „ვფიქრობთ ჩჩეული კორპუსით შევიჭრათ  
ირანში, მოგარიგოთ ურთიერთშორის ცნობილი პარტი-  
ები, დავაწყნაროთ ქვეყანა თა შეერთებული ძალით  
შაჰიდ დავსვათ რუსეთისთვის (პირველ ყოვლისა, რა  
თქმა უნდა, საქართველოსთვის პგ.) სასურველი პირი“. \*

ყველა ეს ფაქტები იმას როდი მოწმობენ, რომ იმ  
დროინდელი საქართველო „დაცემული“ და „დასაღუ-  
პავად გამზადებული“ ყოფილიყოს. პირიქით, ამ ფაქ-  
ტებიდან აშკარა ხდება, რომ ქართლ-კახეთის მეფეებს  
უკვე დაუვიწყნიათ წარსული უბედურება და, უდიდესი  
იმპერიალისტური ზრახვებით წეპყრობილებს, მოუნდო-  
მებიათ ირანში ანარქიის ჩაქრობა და თუ მთელი ირანის  
არა, მისი რამდენიმე პროვინციის მაინცხელში ჩაგდება.

\* „Замышляю отборным корпусом в Персию вступить  
для приведения в соглашение знатных персидских партий  
дабы тем способом, укротя мятежи, стараться совокупными  
силами шаха, доброжелательного Российской на престол Иракский  
взвести“ (см. Московский Центр. архив Феодально-крепост-  
ной эпохи. Грузинские дела, № 1, 1761 г.).

ეს არ თქმა უნდა არ შედიოდა რუსეთის დიპლომატიის  
გეგმებში. მას თვითონ უნდოდა ესარგებლა ირანში გამე.  
ფეხული ანარქიით და, თუ მთლად ვერ დაიპყრობლა მას,  
ირანის ის პროვინციები მაინც შემოერთებია რუსე-  
თისთვის, რომლებიც პეტრე პირველმა წართვა მას  
და, რომლებიც ძლიერმა ნადირ შაჰმა უკანვე გამოს-  
ტაცა რუსეთს... ასეთ დროს რუსეთი ხელავს, რომ სა-  
ქართველოში, იმ საქართველოში, რომელსაც იგი თავის  
ლუკმად სთვლის, იზრდება ძალა, რომელიც მზადა  
ხელიდან გამოსტაცოს ირანის ნაწილები და თვითონ  
დაეპატრონოს მათ.

და რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს  
ხელი შეუშალოს მას, ანარქიის მორეგული ჩახტრების მთე-  
ლი საქართველო. ამ დროიდან იწყება ჩუმი, მაგრამ სას-  
ტიკი ბრძოლა მეფე ერეკლესა და რუსეთის მთავრობას  
შორის. ზემოთ დასახელებული მანგოვის მოხსენებიდან  
ვტყობილობთ, რომ მეფე ერეკლე, მისი მამის თეიმუ-  
რაზის გარდაცვალების შემდეგ, დიდად უკმაყოფილო  
ყოფილა რუსეთის მთავრობისა და ცდილა კიდეც რუ-  
სეთთან ყოველგვარი დამოკიდებულების შეწყვეტას. იმ  
დროს ერეკლეს ბრძანებით აკრძალული ყოფილა სა-  
ქართველოდან ვისიმე რუსეთში გაშვება. საქმე იქამდე  
მისულა, რომ აშტრახანის გუბერნატორი იძელუბული  
გამხდარა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში დაე-  
სვა საკითხი:— ესტყვიტოს თუ არა მან ერეკლესთან  
დამოკიდებულება. კოლეგიას ამაზე გადაჭრით უარი  
განუცხადებია, და გუბერნატორისთვის დაუვალებია:—  
ეცალე მეფე ერეკლე დაარწმუნო, რომ რუსეთის მთავ-

რობა მუდამ იყო და ამიერიდანაც დატჩება მასთან შე-  
გობრულ განწყობილებაში, და რომ რუსეთის არასტადეს  
არ უფიქრნია უარი ეთქვა საქართველოსთვის დაზმარე-  
ბაზეო.

რუსეთის მთავრობის ასეთი პოზიცია ამ საკითხში  
აღვილი გასაგებია. იმ დროს ერეკლესთან დიპლომატი-  
ური დამოკიდებულების შეწყვეტა ეკატერინეს მთავ-  
რობის მხრით ხაფანგში მომწყვდეული მსხვერპლის გან-  
თვისუფლება იქნებოდა. ერეკლესთვის კი ეს დიპლო-  
მატიური დამოკიდებულების შეწყვეტა ორი მხრით  
იყო სასარგებლო. პირველყოვლისა იმით, რომ ის ერეკ-  
ლეს გაათავისუფლებდა რუსეთის კონტროლისაგან ან,  
უკეთ რომ ვთქვათ, მისი პოლიტიკური აგენტებისაგან,  
რომელნიც შრავლად „მოღვაწეობდენ“ ქართლ-კახეთის  
მიწა-ტყალზე და აგიტაციას ეწეოდენ ისედაც ერეკლე-  
თი უკმაყოფილო ქართველ ფეოდალებს შორის. რუსეთ-  
თან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა ერეკ-  
ლესთვის კიდევ იმით იქნებოდა ხელსაყრელი, რომ ერე-  
კლეს შეურიგდებოდენ და დაუახლოვდებოდენ ირანი  
და თურქეთი, რომელნიც სწორედ რუსეთთან კავშირის  
დაჭერასთვის ესხმოდენ თავს საქართველოს სამეფოს.  
იქვს გარეშეა, რომ რუსეთის შიში შეაკავშირებდა გუ-  
შინდელ მოსისხლე მტრებს. ისინი საერთო ძალით გაუმ-  
კლავდებოდენ საერთო მტერს და, უნდა ვითქიჭოთ, მა-  
შინ საქართველოსა და საერთოდ ამიერ-კავკასიის ბე-  
დიც სხვანაირად გადაწყდებოდა. ყოველივე ეს ჩინებუ-  
ლიდ ჰქონდა გათვალისწინებული ეკატერინე მეორეს  
დიპლომატს და სწორედ ამიტომ იგი ყოველ ღონეს  
სხმარობდა ერეკლესთან კავშირის შესანარჩუნებლად.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის დაგვესურათებია ეკატერინეს მთავრობისა და ერეკლეს ურთიერთ დამოკიდებულება, დაწყებული 1762 წლიდან და გათავებული „გეორგიევსკის ტრაქტატით“—1783 წლით. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ და ავხსნათ წინააღმდეგობა, არსებული ერეკლეს მიერ წარდგენილ პირობებსა და იმ აქტს შორის, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ეწოდება. ეს ტრაქტატი სრულიად ეწინააღმდეგება ერეკლეს მიერ წარდგენილ პირობებს და, მიუხედავად ამისა, მაინც დამტკიცებულ იქნა ერეკლეს მიერ.

როგორი პირობები წარუდგინა მეფე ერეკლემ ეკატერინე მეორეს მასთან კავშირის დასადებად? რას თხოულობდა იგი? ის დაახლოებით თხოულობდა შემდეგს:

1. პირველ რიგში ერეკლე თხოულობდა 4000 რუსის ჯარისკაცს, რუსეთის მთავრობის ხარჯით. იგი ამ ჯარით ეპირებოდა ახალციხის რაიონისა და ალაზნის გლომა ლეკების მიერ წართმეულ კახეთის მიწების უკან დაბრუნებას.

2. რუსეთის მიერ მისი, ერეკლეს, შთამომავლობის ერთხელ და სამუდამოდ ცნობას ქართლ-კახეთის ტახტის მექვიდრედ. ასეთი ცნობა მას იმიტომ ესაჭიროებოდა, რომ რუსეთის კარზე ყოველთვის იყვნენ საქართველოს ტახტის პრედენდენტები, რომლებსაც რუსეთის მთავრობა, როცა ამას მისი ინტერესები მოითხოვდა, ყოველთვის უჭერდა მხარს საქართველოში პოლიტიკური წყლის ასამღვრევად.

3. ერეკლე რუსეთს, გაჭირვების შემთხვევაში, სუს-  
ნად სოხოვდა საჭირო თანხას რუსის ჯარის შესანახად.

რა მოვალეობას კისრულობდა ერეკლე ყოველივე  
ზემოთ ჩამოთვლილის სამაგიეროდ? იგი დაახლოვებით  
ასეთ ვალდებულებას კისრულობდა:

1. რუსის იმ ჯარების ხარჯი, რომელსაც დაახმარე-  
ბდენ საქართველოს მისი კუთვნილი მიწა-წყლის დასაბ-  
რუნებლად, ერეკლეს რამდენიმე წლის ვადაში უნდა  
აენაზღაურებია რუსეთის ხაზინისათვის.

2. ეკატირინეს მთავრობისათვის მძევლად უნდა მიე-  
ცა ერთ-ერთი შვილი.

3. ნახევარი შემოსავალი იმ მაღრეულის დამუშავე-  
ბისაგან, რომელიც მაშინ უკვე აღმოჩენილი იყო, ან  
მომავალში იქნებოდა აღმოჩენილი, ერეკლეს უნდა ეძ-  
ლია რუსეთის ხაზინისათვის.

4. ქართლ-კახეთის ქვეშევრდომთა თვითეულ ოჯა-  
ხე რუსეთის ხაზინას უნდა მიეღო 70 კაპეიკი.

5. ერეკლეს ეკატირინესთვის უნდა ყოველწლი-  
ურად ეძლია 2000 ვედრო საუკეთესო ღვინო ყიზლიარ-  
ში მიტანით.

6. მისთვისკენ ყოველწლიურად უნდა ეგზავნა 40  
საუკეთესო ბედაური.

7. იმ ოლქების მცხოვრებლებისაგან, რომლებიც  
რუსეთის ჯარის დახმარებით იქნებოდენ დაპყრობილი  
და საქართველოსთვის შემოერთებული, რუსეთის უნდა  
ყოველწლიურად მიეღო კომლზე 70 კაპეიკი. იმავე  
პროვინციების მცხოვრებლებს რუსეთის ხაზინისთვის  
ყოველწლიურად უნდა ეძლიათ 200 ფუთი აბრეშუმი.

8. ქართლ-კახეთის ყველა ოლქს, როგორც უკვე  
არსებულთ, ისე იმათ, რომლებსაც დაიპყრობდენ და სა-

შეფოს ჟეშოუერთებდენ, რუსეთისათვის უნდა ეძ  
ლიათ იმდენივე ჯარისკაცი კომლზე, რამდენსაც შიდა  
რუსეთის მცხოვრებლები აძლევენ.\*



ასეთი იყო ის პირობები, რომლებიც ერეკლეს დიპ-  
ლომატებმა წარუდგინეს ეკატირინეს მთავრობას.

აგა შეადარეთ ეს იმას, რაც ცნობილია „გეორგიევ-  
სკის ტრაქტატის“ სახელით და რასაც რატიფიკაცია  
უყო თვითონ ერეკლემ. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ტრაქტა-  
ტის მხოლოდ ორი-სამი მთავარი მუხლის შინაარსს.

— „მეფე ქართლისა და კახეთისა თავისი და თავის  
მემკვიდრეთა სახელით პირობას სდებს, რომ სამუდა-  
მოდ უარყოფს ირანისგან ან სხვა რომელიმე სახელმწი-  
ფოსაგან დამოკიდებულებას და სცნობს მხოლოდ სრუ-  
ლიად — რუსეთის თვითმშეკრობელობას, მის უზენაეს  
უფლებას, მის მფარველობას და აღუთქვამს მას რუსე-  
თის ტახტისადმი ერთგულებას და მუდამ მზადყოფნას  
მისი საჩვენებლობისათვის, საჭარ და როცა ამას რუსეთის  
ინტერესები მოითხოვენ.

— ქართლ-კახეთის მეფები სამემკვიდრო ტახტზე  
ასვლის წინ მოახსენებენ სრულიად რუსეთის იმპერა-  
ტორის კარს და გამოითხოვენ ქართლ-კახეთის ტახტზე  
ასვლის ნებართვას და მიიღებენ მისგან ინვენსტიტუ-  
რას, რის შემდეგ ისინი იღებენ ფიცს რუსეთის იმპერიის  
ერთგულებაში და მისი უზენაესი უფლებათა ცნობის  
შესახებ“.

ეს არის თავი და თავი გეორგიევსკის ხელშეკრულე-

\* Б у т к о в . Материалы. II, 119 გვ.

ბაში. რას პირდება ეკატირინეს მთავრობა ყოველი აშის  
ნაცვლად ქართლ-კახეთის მეფეებს?

— „მათი იმპერატორებითი უდიდესობა მათი და მა-  
თი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს და აიმედებს  
ქართლ-კახეთის მეფეებს და მათ მემკვიდრეებს, რომ  
მათ არასოდეს არ მოაკლდებათ რუსეთის მოწყალება  
და მფარგელობა“.\*

და ქართლ-კახეთის მეფეებს ამ სრულიად უშინა-  
არსო აღთქმის საფასურად ქვეშევრდომობის ფიცსა და  
თავისთავზე უარის თქმასაც არ აკმარებენ. მათ აიძულე-  
ბენ: რუსის ჩინოვნიკების დაუკითხავად, მათ ნებადაურ-  
თველად არავითარი დამაკიდებულება, უბრალო მეზო-  
ბლური მიწერ-მოწერაც კი არ იქონიონ არც ერთ სა-  
ხელმწიფოსთან, სახიანებსა და სამთავროებთან.

როცა რუსეთის დიპლომატიის მიერ ამ ტრაქტატის  
ირგვლივ წინასწარ წარმოებულ მუშაობას ვეცნობით,  
დაუჯერებლად, სრულიად მოულოდნელად გვეჩვენება  
ის ეფექტი, რომელიც მიიღო ეკატერინე მეორემ გეორ-  
გიევსკი დადებული ხელშეკრულების სახით. როცა მას აც  
კომედიის მთავარ როლში „ქართლის კანონიერი მემკვიდ-  
რე“ ალექსანდრე ბაქარისე გამოჰყავდა, იგი სრუ-  
ლიადაც არ ფიქრობდა, რომ ასეთ ეფექტს მიიღებდა,  
ასე შორს წავიდოდა საქართველოსთან დამოკიდებულე-  
ბაში და თავის მინისტრებს წინადადებას აძლევდა უფ-  
რო ცოტას დასჯერებოდენ. გავიხსენოთ თვით გეორგიე-  
ვსკში დადებულ ხელშეკრულების ავტორის და ბეჭბო-  
როდკოს წერილი თ—დ პატიომკინთან: „მისი იმპერა-  
ტორებითი უდიდესებულების აზრი ასეთი იყო, რომ  
თქვენი ბრწყინვალების მეშვეობით საქართველოს მე-

\* იქვე, გვ. 123 - 128.

ფეხბან (ერეკლესა და სოლომონთან) დადებულიყო  
საკავშირო ტრაქტატი, რომელშიაც სრულიადაც არ მო-  
და ყოფილიყო ნახსენები სიტყვა მათი რუსეთისადმი  
ქვეშევრდომობის შესახებ, ისინი ნახსენები უნდა ყოფი-  
ლიყვნენ მოკავშირეებად რუსეთის იმპერიის საფარველ  
ქვეშ.\*

გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი კი სრული  
წინააღმდეგობაა, როგორც ეკატერინე პირველის აქ გა-  
მოთქმული სურვილისა, ისე ერეკლეს მიერ წარდგენი-  
ლი პირობებისა. გეორგიევსკის ტრაქტატიდან ჩვენ აშკა-  
რად ვხედავთ, რომ ეკატერინე იღებს ყველაფერს, მისი  
კონტრაგენტი კი არაფერს, გარდა უბრალო, სრულიად  
უშინაარსო დაპირებისა მოწყალებისა და მფარველობის  
შესახებ, აგრეთვე იმ ნივთების ღირებულებისა, რომელნიც  
ინვენსტიტურის\* სახით რუსეთის ხელმწიფეს უნდა გა-  
მოეგზავნა ქართლ-კახეთის მეფეებისათვის.

ქართველმა დიპლომატებმა ეს მშვენივრად იციან,  
მაგრამ ისინი მაინც იღებენ ასეთ პირობებს. რატომ?

ემ კითხვაზე პასუხს იძლევა ალექსანდრე ამილახო-  
რი, რომლის წერილებსაც ვბეჭდავთ წინამდებარე წიგ-  
ნის დამატების სახით.

9

როგორც არ უნდა დავაფასოთ ეკატერინე მეორესა  
და ერეკლე მეორეს შორის გეორგიევსკში დადებული

\* „Мнение е. в. было, чтобы через Вашу светлость за-  
ключить с Грузинскими царями союзный трактат, не-  
именуя их подданными, но союзниками от им-  
перии Рос. покровительствуемой“.

ზელშეკრულება, ერთი კი უეჭვლია, რომ იგი წარმოადგენდა საქართველოს კისერზე დასახრჩობად ჰელბრულთოვს. ამ ხელშეკრულებეს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია საქართველოსთვის რუსეთის დახმარების მხრივ და, ამავე დროს, ამ აწყარად გამომუღავნებულმა რუსეთის ქვეშევრდომობამ საქართველოს აუჯანყა მთელი სამუსულმანო სამყარო. გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება მუსულმანთა სახელმწიფოებმა პირდაპირ ომის გამოცხადებად მიიჩნიეს ერუკლეს მხრივ. ყველასათვის აწყარა იყო, რომ ეს აქტი საქართველოს ტერიტორიას ხდიდა ძლიერი რუსეთის ბატონობის ბაზად ამიერ-კავკასიაში. ყველამ იცოდა, რომ თუ რუსეთი კავკასიონის ქედს გამოსცდებოდა, იგი მარტო საქართველოთი არ დაკმაყოფილდებოდა, რომ იგი მალე აუგებდა წესს კავკასიის სხვადასხვა ერებს და, ბოლოს თურქეთსა და ირანზე-დაც მიიტანდა იერიშს. ამ უკანასკნელებს უბრალო კეთილგონიერება უკარნახებდა, რომ სანამ რუსეთი კავკასიის ქედს გამოსცდებოდა მისთვის მოეშალათ ეს ბაზა. ამიტომ მათ დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში „მოლალატე“ საქართველოზე.

აქედან იწყება ახალი ხანა საქართველოს უბედურებისა. შეკრეს პირი თურქეთმა და დალესტანმა, მათ მიემხრენ ზოგიერთი ქართველი ფეოდალები და ერთი კვირა თუ არა, ერთი თვე მაინც არ გაიკლიდა ისე, რომ ქართლ-კახეთს თავს არ დასხმოდენ მტრის ჯარები ხან დალესტანიდან, ხან ახალციხის მხრიდან და ხან ვინ იცის საიდან...

რას აკეთებდა ამ დროს რუსეთის მთავრობა? ეხმარებოდა იგი მის „საფარველ ქვეშ“ მყოფ საქართველოს?

ამ დროს იმას ისე ეჭირა თავი, როგორც უკმაყოფილო სასიძოს, რომელიც მწობლებმა აიძულეს სურვილის წინააღმდეგ დაენიშნა მისთვის არასასურველი საცოლო. კიდევ უარესიც: როცა მუსულმანები ყოველი მხრიდან თავს ესხმოდენ საქართველოს „მოლალატეობისთვის“, ეკატერინეს მთავრობა, დახმარების ნაცვლად, ყოველ ღონეს ხმარობდა კიდევ უფრო დაესუტებია იგი, ხელი შეეშალა მეფე ერეკლესთვის ქვეყნის დაცვის საქმეში. აქ უნდა გავიხსნოთ ერთი ფაქტი, რომელიც ყველაზე უფრო ახასიათებს ეკატერინესა და მისი მთავრობის დამოკიდებულებას ერეკლესთან გეორგიესკში დადებული ხელშეკრულების შემდეგ. ამ აქტს სამართლიანად სთვლიდა ეკატერინეს მთავრობა თავის უდიდეს გამარჯვებად. გახარებულმა ეკატერინემ მაშინვე შეუკვეთა 24 ზარბაზნისაგან შემდგარი ბატარეა ერეკლეს საჩუქრად საქართველოს სამეფო ღერბით. მაგრამ ზარბაზნები კი არ გამოუგზავნა, თუმცა ამის შესახებ რამდენჯერმე იყო აღძრული შესაფერი წეუამდგომლობა ერეკლეს მიერ.

ზედმეტი არ იქნება აქვე მოვიყვანოთ მეორე ფაქტი, რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ ახასიათებს ეკატერინეს მთავრობის დამოკიდებულებას „რუსეთის საფარველქვეშ“ მყოფ საქართველოსთან. ერეკლეს მცირე, სრულიად უმნიშვნელო შეიარაღებული ძალა გამოუგზნეს (მგონი 400 ჯარისჭაცი) პოლკოვნიკ ბურნაშვის მეთაურობით. ერეკლე ებრძვის განჯის ხანს, რომელიც ყოველნაირად მტრობდა ქართლ-კახეთს და რომელმაც შემდეგ უდიდესი დახმარება გაუწია აღამაშემად-ხანს ტფილისის ახხრებაში. ციხე გარშემორტყმულია ქართველებით; ბრძოლა შეჩერებულია და მო-



რიგების შესახებ წარმოებს მოლაპარაკება. ორი ათის შემდეგ უკვე მოელიან ხანის წარმომადგენელს საბოლოო შეთანხმებისათვის. ამ დროს ბურნაშოვი მეფეს უცხადებს:—მე ნაბრძანები მაქვს უკან დავბრუნდე და ხანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა არ მივიღო. მან აყარა თავისი ჯარი და გ შორდა ერეკლეს, ესე-იგი, მოიქცა ისევე, როგორც 1770 წელს მოიქცა გრ. ტოტ-ლებენი, რომელმაც ურეკლე თავისი მცირერიცხოვანი ჯარით მოიტოვა თურქების ოცდახუთიათასიანი კორპუსის პირისპირ.

ნუთუ ყოველიგი ეს არ ამტკიცებს, რომ ეკატერინე გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ აწარმოებდა ისეთ პოლიტიკას, როგორსაც აწარმოებდა ინდოეთში „ცხიერი ალბიონი“, რომელმაც ჩუმი შეთანხმებით ველურ ნადირ-შაჰს ააკლებია ქვეყანა და შემდეგ მცველისა და მფარველის ნიღაბით მოევლინა მიწასთან გასწორებულ ბენგალის, მიეღო იგი თავისი „საფარგელქვეშ“, ესე-იგი, სხვისი ხარჯით, ერთი გროშის დაუსარჯვათ, ერთი თოფის გაუსროლად დაეპატრონა უზარ-მაზარ სახელმწიფოს. ასე იქცეოდა საქართველოში ეკატერინეს მთავრობაც და ამ პოლიტიკის ნაყოფი იყო ის საშინელი და თანაც მოულოდნელი კატასტროფა, რომლითაც დისრულდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა. ეკატერინე მეორეა პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ქართლ-კახეთის არც ერთმა ფეოდალმა, თვითონ ერეკლეს ღვიძლმა შვილმაც კი, არ მოისურვა მეფისთვის დახმარების გაშენა და ერთი მუჭა პატრიოტების ამარა დასტოვა იგი აღა-მაჰმალ-ხანის 70 ათასიანი ჯარის პირდაპირ კრწანისის ველზე, სადაც

1795 წ. 12 სექტემბერს გარდატყდა საქართველოს /  
პოლიტიკური ხერხემალი.

საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრი

ამ კატასტროფაში ეკატერინეს მთავრობის როლი  
ყველასთვის თვალსაჩინოა. იქვეს გარეშეა, რომ მან ჩუმი  
თანხმობით კარს მოაყენა მის „საფარველ ქვეშ“ მყოფ  
საქართველოს აღა-მაჟად-ხანი და იმავე დროს ქართლ-  
კახეთის ფეოდალებს შორის აგიტაციას ეწეოდა ერეკ-  
ლეს წინააღმდეგ... ამის შემდეგ რუსეთის მთავრობა  
უბრძოლველად, სხვისი ხარჯით დაეპატრონა წელში  
გატეხილ საქართველოს, ერთი ხელის მოსმით წაუშალა  
მას პოლიტიკური სახე და რუსეთის გუბერნიად გა-  
მოაცხადა იგი.

## 10

რა მისცა საქართველოს მშრომელ ხალხს რუსეთის  
თვითმშეყრობელობამ?

მართალია, მან საქართველო გაათავისუფლა თურ-  
ქეთისა და დაღესტნის ძალადობისაგან, მაგრამ თვით  
რუსეთის თვითმშეყრობელობის უღელი კიდევ უფრო  
მძიმე და აუტანელი გამოდგა. თვითმშეყრობელი რუსე-  
თის ბატონობის ხანა ნამდვილი საფლავი წეიქნა ქართ-  
ველი ხალხის ეროვნული და კულტურული შეგნებისა  
და მისი თვითცნობიერებისათვის. თვითმშეყრობელობამ  
ქართველ ხალხს პოლიტიკურ უფლებებთან ერთად  
მოუსპო მისი ათასის წლობით შექმნილი კულტურა;  
მოუსპო კულტურის ყოველი სახე და თვით რუსთავე-  
ლის ენა ძალის ენად იქნა გამოცხადებული. მან ხე-  
ლოვნურად დამუჯვა არა მარტო ქართული სკოლა,  
არამედ თვით მისი ინტერესების ერთგული დამცველი  
ექლესიდანაც ჭი განდევნა ქართული ენა, რომელიც  
ერთად ერთი ენა იყო ხალხის დაბალი ფენებისათვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამსახურის მიერ გამოცემის მიზანის მიხედვით

რუსეთის თვითმშემცირობელობას არც ხალხის ფიზიკური არსებობისათვის დაუყენებია კარგი დღე. არ ერიდებოდა დაპყრობილი ერების ფიზიკურ განადგურებას. მან ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა კავკასიის მთიულები, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა იგი ყაბარდოელებს, ლეკებს, ოსებს. ასეთ-სავე დღეს აყენებდა იგი თავის „ერთმორწმუნე“ ქართველ ხალხს, თუ კი ის მის წინააღმდეგ რაიმე უკმაყოფილების გამოთქმას გაბედავდა. რუსეთის თვითმშემცირობელობა ხწირად მიმართავდა უსაშინელეს პროცესიას: ამხედრებდა ერთ ერს მეორეს წინააღმდეგ და აჟლეტინებდა მათ ერთმანეთს. ამის საშინელი მაგალითი ჩვენ დავინახეთ თვით პირველი რევოლუციის დროს,—1905 წელს,—თათარ-სომეხთა ურთიერთ ხოცვა-ულეტის სახით. ებრაელების აკლება და მათი ხოცვა ხომ ჩვეულებრივ მოვლენად იყო მთელს თვალუწვდენელ რუსეთის იმპერიაში. მკაცრი იყო ირანის შაჰების პოლიტიკა, როცა ისინი ქართველ ხალხს ატოვებიებდენ თავის მიწაწყალს და ირანის შორეულ პროვინციებში ერექტოდენ დასასახლებლად. მაგრამ ამ მხრით კიდევ უარესი იყო საქართველოში რუსეთის თვითმშემცირობელის პოლიტიკა. ის ხალხს ხელიდან აცლიდა მისთვის აუცილებელ საჭირო მიწა-წყალს და შიდა რუსეთიდან ჩამოსულ გლეხებს ასახლებდა შვეუნის გარუსების მიზნით. აღვილობრივი მცხოვრებლები კი რჩებოდენ უმიწაწყლოდ და სიმწილით იხოცებოდენ.



კიდევ უფრო დიდი იყო ის ზიანი, რომელიც ქართველ მშრომელ ხალხს მიაყენა რუსეთის თვითმშემცირობელობამ.

ასეთ აუტანელ პირობებში ხალხი ძალაუნებურად უნდა გამოთხოვებოდა თავისი ეროვნული ღირსების გრძნობას, პატივ-მოყვარეობას, სიამაყეს, ურომილობისა დაც ერი არ ერობს და ადამიანი არ კაცობს. ერის ცხოვ-რებაში პოლიტიკური სახის დაკარგვას უდიდესი გარ-დატეხა მოსდევს თვით ხალხის ფსიქოლოგიაში. ის თან-დათან კარგავს თავისი ყოველგვარი ღირსების გრძნო-ბას, რომლის ადგილსაც იჭერს ახალ ბატონისადმი მო-ნური მორჩილების გრძნობა. ასეთ ისტორიულ პირობებ-ში ხალხის ზედაფენები ყოველთვის აჭარბებენ ახალი ბატონისადმი ერთგულებაში. ამასვე ვწედავთ XIX საუკუნის საქართველოშიც. აქ მარტო მაღალი წოდების გვარების გარუსებით, ქართული ტანისამოსის ევროპიუ-ლით წეცვლით კი არ გათავებულა საქმე. გადაგვარების პროცესი უფრო ღრმად შეწრა თვით ხალხის ზედაფე-ნებში. გაძლიერდა ლტოლვა ახალი ბატონის ენის, მისი ლიტერატურის, მისი ზნე-ჩვეულების შეთვისებისა-კენ. ამას ძალაუნებურად შეეწირა ყოველივე ეროვნუ-ლი, ათასის წლობით მოპოებული ღირებულებანი. კარ-გია ყოველი ის, რაც ახალი ბატონობის არის; ცუდია ყოველი ის, რაც ქართულია, რასაც ქართული შემოქმე-დების ბეჭედი აზის...

ასეთი ფსიქოლოგია თავისთავად შემუშავდა ქართ-ველი ხალხის ზედაფენებში.



ამრიგად თვითმპყრობელობამ სულიერად გაათახ-სირა ქართველი ხალხის ზედა ფენები, გადაგვარების გზაზე დააყენა ისინი. საბედნიეროდ, ეს სენი არ განუკ-

56  
საქართველოს ისტორიული მუზეუმი

დიათ ქართული ხალხის ქვედაფენებს, მის მშრომელობის წილს. პირიქით, თვითმპყრობელობის ველურმა მოუტანა მას, რაღაც ეს პოლიტიკა ყოველთვის აძლევდა ხალხს ბრძოლის იმპულს. თვითმპყრობელობა ებრძოდა ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, ქართულ კულტურის მთელ კომპლექსს, ებრძოდა ყოველივე იმას, ურომლისოდაც ხალხის არსებობა შეუძლებელია. გადაგვარებული ქართველი თავად-აზნაურობა ქართულ ენისა და კულტურის გარეშედაც ადვილად წავიდოდა, ხალხის მშრომელი ნაწილი კი უიმისოდ ვერ იარსებებდა. ამიტომაც იყო, რომ თვითმპყრობელობის უხეშ ექსპანსიან ქართველი ხალხის ამ ნაწილში ბრძოლით უპასუხა. ამ მხრივ XIX საუკუნის საქართველოს ისტორია უდიდესი ნაციონალური და კლასობრივი ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს. მშრომელი ხალხი იბრძვის ბატონყმობის მძიმე ულლისაგან გასათავისუფლებლად, აგრეთვე თავისი კულტურისა და ტერიტორიის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ქართველ მშრომელ ხალხს ბრძოლა ყოველთვის ორ ფრონტზე უხდებოდა; იგი ყოველთვის იძულებული იყო ორნაირი ბრძოლა ეწარმოებია. მასთან შედარებით უფრო ბედნიერ პირობებში უხდებოდა ბრძოლა შიდა რუსეთის მშრომელ ხალხს. თვითმპყრობელობა არ ემუქრებოდა მის ნაციონალურ სახეს, მის ენას, მის კულტურას. ამიტომ იქ ხალხი ებრძოდა თავის კლასობრივ მტერს, აწარმოებდა წმინდა კლასობრივ ბრძოლას. საქართველოში კი ბრძოლა მუდამ უფრო რთულ ხასიათს იღებდა. ქართველი მშრომელი ხალხი მუდამ ორმავ ბრძოლის აწარმოებდა. XIX საუკუნის საქართველოს ჭურაზე ერთხელაც არ ჩამქრა-

ლა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი. ჭართველი /  
პროლეტარიატი მუდამ ბრძოლაში, მუდამ უროსფრთხოები  
გრძემლის ჟეა იყო, მას მუდამ ორის მხრიდან სცემდა  
ვერაგი მტერი. ამ დაუსრულებელ ბრძოლის ცეცხლში  
გამოიჭედა იგი, ამ ცეცხლში გარკინდა და გაფოლადდა  
იგი...

11

თებერვლის რევოლუციამ დასცა რუსეთში თვით-  
მკურობელობა. უზარმაზარ სახელმწიფოში თავმოყრილი  
ერები განთავისუფლდენ თრთავიანი არწივის ბასრი  
ბრჭყლებიდან. მაგრამ თვითმპურობელობის მიერ მიყე-  
ნებულ ჭრილობათა საერთო ძილით განკურნების ნაცვ-  
ლად, მათგან ზოგიერთინი, ბურუუაზიულ-ნაციონალის-  
ტური პარტიების ზეგავლენით, იარაღით ხელში დაერიენ  
ერთმანეთს. ისინი გაიტაცა იმპერიალისტურმა ზრახვებ-  
მა; მოინდომეს ცალკე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს  
დაარსება, კიდევ მეტი: თავისი პატაწინა რესპუბლიკის  
ტერიტორიის გადიდება მეზობლების ხარჯზე.

ამ გზას, სამწუხაროდ ვერც მრავალ ეროვნებიანი  
ამიერ-კავკასია ასცდა. იგი ხელში ჩაუვარდა ნაციონა-  
ლური ბურუუაზიის პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც  
ვიწრო ნაციონალურ პრინციპზე მოინდომეს ქვეყნის  
მოწყობა. საქართველოს დაეპატრონენ მენშევიკები,  
აზერბეიჯანს — მუსავატისტები, სომხეთს — დაწნაკები.  
შეიქმნა სამი ნაციონალური რესპუბლიკა თავისი სახელ-  
მწიფო საზღვრებით, შეიარაღებული ძალებით, განსა-  
კუორებული რაზმებით და საერთოდ სახელმწიფოს ყვი-  
ლა ატრიბუტით.

აი სწორედ აქ აღმოჩნდა, რომ პატარა ბურუუა-  
ზიულ სახელმწიფოებსაც ისეთივე იმპერიალისტური

ზრახვები ჰქონიათ, როგორც დღი ბურუუზის  
ხელმწიფოებს და ვერც კი მოასწრეს ამ რესპუბლიკურმა  
ჩამოყალიბება, რომ საფლავებიდან უკვე ამოძვრენ  
ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბოროტი სულები, ძველი  
კოშმარები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ანად-  
გურებდენ ჩვენს ქვეყანას, სისხლის მორეგში ახრჩობ-  
დენ ხალხს. აქ, ჩვენს თვალშინ განმეორდა ძველი ბერძ-  
ნული ლეგენდა არგონავთებზე. იაზონის როლში გამო-  
ვიდენ ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლები,  
როლებმაც მოლიპული ქვა (Камень преткновения) გაუ-  
გორეს ფეხქვეშ საღათას ძილისაგან გამოლვიძებული  
ამიერ-კავკასიის ერების მეთაურებს. მედეა-გამცემლები-  
რომლებმაც ამ ხალხს უმღერეს გეკატის ძილისპირი და  
აპკურეს ჯადო-აიაზმა, ერთობ ბევრი აღმოჩნდა ჩვენ-  
ში და აირია მონასტერი...

ომი სომხებთან, ომი აფხაზეთთან, ომი ოსეთთან,  
აზერბეიჯანთან... სულ ომი და ომი!...

## 12

და ვინ იცის როდის და რით გათავდებოდა ეს  
მდგომარეობა, რომ ოქტომბრის რევოლუციის არ შე-  
მოენათებია ჩვენშიც... ამის შემდეგ ბოროტი სულები  
საუკუნოდ მიიმალ-მოიმალენ. იაზონები და მოღალატე  
მედეები კიდევ უფრო ადრე გარდაიხვეწენ... დამყარდა  
საბჭოთა წყობილება. ხალხი აღსდგა ნაციონალურად,  
პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად. მას  
დაუბრუნდა ყოველგვარი უფლებები. ეკატერინე მეო-  
რესა და ერეკლე მეორეს შორის გეორგიევსკში დადე-

პული ყაჩალური ტრაქტატისა და კიდევ უფრო ყაჩალუ-  
რი ალექსანდრე პირველის მანიფესტის ნაცვლად გვანი-  
შილო საბჭოთა კონსტიტუცია... დაუსრულებელი ომები-  
სა და ძმათა სისხლისლვრის ნაცვლად მან ხელში აიღო  
ნამდალი და ჩაწერი და საბჭოთა დიდ კავშირში შემავალ  
უველა სხვა ერებთან ერთად ენერგიულად შეუდგა ახალი  
ქვეყნის შენებას, სოციალისტურ მშენებლობას.



თუ რაში გამოიხატება ეს მშენებლობა ყველამ იცის.  
ყველა ხედავს იმ ბუმბერაზულ მშენებლობას ყოველ  
დარჯში, რომელსაც დღეს საბჭოთა საქართველო აწარ-  
მოებს. აბა რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ან რა საჭი-  
როა ყოველივე იმის დასახელება, რასაც ყველა ხედავს,  
ყველას შეუძლია თავისი საკუთარი ხუთი გრძნობით გა-  
ნიცადოს? მაგრამ მაგალითისთვის საჭიროდ მიგვაჩნია  
ამ მშენებლობიდან დავასახელოთ აქ ერთი რამ ისეთი,  
რაც შეაღვენდა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭა-  
ვიძის იდუმალი ნატვრის. საგანს და რაც დღეს საბჭოთა  
საქართველოში ფაქტად იქცა.

ილია უდიდესი სეპარატისტი იყო. ის ოცნებობდა  
საქართველოს რუსეთისაგან პოლიტიკურად განთავისუფ-  
ლებაზე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ოცნებობდა, რომ  
საქართველო ეკონომიკურად საკუთარ ფეხზე დამდგარი-  
ყო. ცნობილია, რომ საქართველოს საკუთარი პური არა  
ჰქონიდა. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა-  
დროის სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ყოველ-  
წლიურად რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ  
ექვსიდან ათ მილიონამდე ფუთი პური. ამ სტრიქონების  
დაწერს არა ერთხელ გაუგონია თვითონ ილია ჭავჭა-  
ვიძი.

ძისაგან: — „საქართველოს თავისუფლება უშინაოს სიტყვა იქნება მანამდე, სანამ მას თავის საკუთრი ტორიაზე საკმაო პური არ ექნებაო“. პოეტი ოცნებობდა ექვს მილიონ ოქროს მანეთზე, რომლითაც ფიქრობდა ალაზნის, ტირიფონის და სხვა ველების მორწყვის საქმის მოვეარებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაიყვანა სარწყავი არხები საქართველოს მინდორ-ველებზე, ჟექმნა მათზე კოლექტიური მეურნეობა, რაც უზრუნველყოფს საბჭოთა საქართველოს საკუთარი პურით.



ერთი მაგალითიც კიდევ. დასავლეთი საქართველო, მისი ზღვის განაპირა ნაწილების მცხოვრებლები იღუპებოდენ ფიზიკურად, მათ ანადგურებდა მალარია. ისინი იწამლებოდენ კოლხების აყროლებული ჭაობებით. დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის რიცხვი კი არ იზრდებოდა, არამედ, პირიქით, კლებულობდა წლითი-წლობით. რამდენიმე წლის წინათ ამ სტრიქონების აუტორმა გამოიანგარიშა საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის პროცენტი 1864 წლიდან, ყმების განთავისუფლებიდან,—1913 წლამდე,—და იცით რა შედევი მიიღო? დასახელებულ პერიოდში, როცა მოსახლეობის რიცხვი ერთი-ორად და ორნახევრად უნდა გაზრდილია, იგი მხოლოდ 0,32 პროც. გაიზრდა. ეს თავისთვის სამწუხარო მოვლენაა, რადგან თქვენ ვერ შეხვ-

დებით მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ასეთ დაბატუმის მაჩვენებელს, გარდა საფრანგეთისა, რომლის მცხოვრებ-  
თა ბუნებრივი ყოველწლიური ზრდა, მსოფლიო იმპე-  
რიალისტურ ომამდე ხშირად 0,12 პროც. არ აღმატე-  
ბოდა. მაგრამ დასავლეთ საქართველოსთვის ასეთი შიჩ-  
ვენებელიც გადამეტებულია, რადგან მასში შედის იღ-  
მოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ბუნებრივი ზრდის  
ასე თუ ისე ნორმალური პროცენტი, რაც გავლენას ახ-  
დენს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რიცხობ-  
რივი ზრდის მაჩვენებლებზე... ასე ფიზიკურად ნადგურ-  
დებოდა ხალხი დასავლეთ საქართველოში, ასე იწამლე-  
ბოდა იგი კოლხიდის ჭაობებში. მართალია, აქ დიდ  
როლს თამაშობდა სახნავ-სათესი-მიწების სიმცირე, სიმ-  
შილი და სხვ., მაგრამ მთავარი მაინც კოლხიდის ჭაო-  
ბები იყო. იგი წამლავდა ხალხს და თანაც გამოუსადევ-  
რად ხდიდა ვებერთელა ტერიტორიას, რომლის ხივრცი  
ასი ათას ჰექტარს აღემატება.

დღეს რას ვხედავთ? საბჭოთა ხელისუფლებამ პირ-  
ველ დღიდანვე მიიტანა იერიში კოლხიდის ჭაობებზე,  
ხალხის ამ საშინელ მტერზე. დაკვრითი საქმით გამოაც-  
ხადა იგი... და იქ, სადაც გუშინ სიკვდილის საშინელი  
ცელი ადამიანებს მუსრს ავლებდა, დღეს გაისმის ტრაქ-  
ტორების გუგუნი, გაისმის ბედნიერი, სიკვდილის დამ-  
თურვენელი, მკაცრ ბუნებაზე გამარჯვებული ჭართვე-  
ლი მუშის, ჭართველი კოლმეურნის მეღგარი ხმა.

კოლხიდის ყოფილ ჭაობებში, ჭართველი ხალხის ამ  
სასაფლაოზე დღეს გადაჭიმულია ედემის ბალი, აყვავე-

ისეთია საბჭოთა საქართველოს სოციალისტური  
მშენებლობა, რომელსაც ყველა ხედავს, რომელზედაც  
დღეს ყველა ლაპარაკობს. მაგრამ არის ამ მშენებლობის  
კიდევ ერთი ისეთი დარგი, რომელიც აღამიანს თვალში  
არ ეჩირება, რომელზედაც, სამწუხაროდ, შედარებით  
ცოტას ლაპარაკობენ და ღირებულებით კი ყველა სხვა  
მშენებლობაზე თუ უფრო ძვირფასი არა, ნაკლები მაინც  
არ არის. მოგახსენებოთ ნაციონალური პრობლემის გადაჭ-  
რის შესახებ.

ჩვენ ზემოთ განვითარეთ მკითხველის ყუ-  
რადლება იმ დაუსრულებელი ბრძოლის სურათებზე,  
რომელსაც აღვილი ჰქონდა საქართველოს მიწა-წყალზე  
საუკუნეთა განმავლობაში. ერთი ერთ ებრძოდა მეორეს,  
აღამიანები პირდაპირ ნადირობდენ ერთმანეთზე: ხო-  
ცავდენ, ტყვეთ ყიდდენ ერთმანეთს.

ეს ბრძოლა, ეს ნაციონალური შუღლი, როგორც  
დავინახეთ, ვერ მოსპო ვერც თებერვლის რევოლუციამ.  
აქაც იჩინა თავი ნაციონალურმა ქიშპობამ. ქვეყანა გაი-  
ყო სომხებად, ქართველებად, ოსებად, თურქებად მათი  
განსაკუთრებული ინტერესებით. და თებერვლის რევო-  
ლუციის შემდეგ, იმათაც კი, ვინც სოციალიზმის მზეს  
ფიცულობდა, ისევ მიმართეს ნაციონალური საკითხის  
ძველი მეთოდებით გადაჭრას; ისევ ცეცხლსა და მახ-  
ვილს მიანდეს ეს საკითხი.

დღეს რასა ვხედავთ? დღეს თქვენ ერთ კოლექტურა /  
ში ნახავთ თავმოყრილს სომებსა და ქართველს, ფრანგებს  
და ოსს, ლეკსა და ჩერქეზს. ყველა ისინი ერთად ეწე-  
ვიან ჭაპანს, ყველა ისინი საერთო ძალით აძლენებენ ახალ  
ქვეყანას, სოციალისტურ ქვეყანას.

საქმე თვით ამ ნაციონალური საკითხის გადაჭრის  
შეთოდშია. საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, სა-  
ლაც სამუდამოდ მოგვარებულია ნაციონალური საკით-  
ხი. და აი აქ, ამ საკითხის გადაწყვეტაში მოსჩანს ლენინ-  
სტალინის გენიოსობა. საბჭოთა კავშირში სამუდამოდ  
დასამარებულია ის საშინელი კოშმარი, რომელიც ნა-  
ციონალური საკითხის სახით ათეულ საუკუნეთა მან-  
ძილზე სწამლავდა კაცობრიობას, სისხლის მორევში ახრ-  
ჩობდა მას... საბჭოთა კავშირში არ არიან თეთრ და  
შავქველიანი ერები; აქ არ არის არც ველიკოროსი, არც  
შალაროსი. აქ ჩუვაშები ისეთიგი სრულუფლებიანი წევ-  
რები არიან საბჭოთა დიადი კავშირისა, როგორც ყო-  
ფილი „ველიკოროსები“, რომელთა სახელშიოდებაც კი  
კოშმარად აწვა თავს რუსეთის იმპერიაში შემავალ ყვე-  
ლა სხვა ერებს, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში  
დასახლებულ ერებს, რომლებიც თავის საკუთარ ოჯახ-  
ში „ინოროდცების“ სახელით იყვნენ მონათლული. საბ-  
ჭოთა კავშირში ყველა ერს აღდგენილი აქვს თავისი სა-  
კუთარი ნაციონალური სახე, ნაციონალური კულტურა,  
ენა, ზნე-ჩვეულება, სკოლა. აქ არა თუ არ იჩაგრება რო-  
მელიმე ერი, არამედ პირიქით, ყველა უფლებით არიან  
აღჭურვილი ისეთი ერებიც კი, რომლებსაც ან სრულიად

არ ჰქონიათ საკუთარი ამბანი და მწერლობა, ან ჰქონიათ, მაგრამ ისტორიის უსამართლობასთან ბრძოლაში დაუკარგავთ კულტურის ეს უდიდესი იარაღები. საბჭოთა კავშირში ასეთ ერებს დღეს აქვთ თავისი საკუთარი მწერლობა, ლიტერატურა. აქ ყველას უდიდესი საშუალება მიეცა თავისი ნაციონალური კულტურა ააყვაოს, სწეროს თავის ენაზე, იაზროვნოს... აქ ერთი ერი ხელს არ უშლის მეორეს, პირიქით,

აქ ერთი ერი ეხმარება მეორეს, უზიარებს მას თავის გამოცდილებას, აწვდის მას რაც თვითონ კარგი რამე მოეპოება. დღეს შევჩენკოს ლექსებს ისევა მღერიან ქართველი, სომეხი, თათარი და სხვა კოლმეურნეები, როგორც თავისი საკუთარი პოეტების ლექსებს. ქართული სულიერი შემოქმედების უდიდესი განძი „ვეფხის ტყაოსანი“ დღეს საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერის ენებზე ითარგმნება... საბჭოთა კავშირში თავმოყრილი ერები კარგად გრძნობენ, რომ მათ ერთი საერთო მიზანი აქვთ, რომ ისინი აკეთებენ საერთო საქმეს, აშენებენ საერთო ქვეყანას, სოციალისტურ ქვეყანას. ყველა ისინი ემსახურებიან საერთო საქმეს, სწორედ ისე, როგორც ადამიათის ორგა იზმის ყველა შემაღვენელი ნაწილი. ამიტომაც აქ აგარენა ერთმანეთზე ზრუნავს, ერთმანეთს შველის გაჭირვების თროს.

კოლექტიური მეურნეობა — ეს მარტო მატერიალური სიმდიდრის წყარო როდია. ეს ადამიანის სულიერად გარდაქმნის სკოლაცაა. აქ იბადება, იზრდება და იქცება ახალი ადამიანი, ისახება ახალ-ახალი მიზნები, სწრმოებს ბრძოლა ამ მიზნების გადასაჭრელად. თვით საბჭოთა კავშირი — ეს ერთი უზარმაზარი, საზღაპრო

კოლექტიური მეურნეობაა, რომელშიაც საერთო ძალა/ იჭედება ყველა მისი შემადგ ნელი ნაწილის ბერძნობა/ ბა. აქ განხორციელებულია პრინციპი ერთი ყველასა- თვის და ყველა ერთისთვის. ამიტომ არის, რომ დღეს აქ ყველა უზრუნველყოფილია პოლიტიკურად, ნაციონა- ლურად, მატერიალურად, კულტურულად, აქ ყველას მოეპოება არსებობის წყარო...

ეს არ ყოფილა არსად, არასოდეს და არც შეიძლე- ბა ყოფილყო იმ ქვეყნებში, სადაც კერძო საკუთრების პრინციპი იყო და არის გამეფებული, სადაც შრომის ყვე- ლა იარაღი შეადგენდა და შეადგენს რამდენიმე „რჩეუ- ლთა“ საკუთრებას, სადაც ხალხის 99 პროც. ყოფნა არ- ყოფნის საკითხი ამ რამდენიმე „რჩეულთა“ ნება-სურ- ვილზე იყო და არის დამოკიდებული. საბჭოთა კავშირ- ში ერის მთელი ქონება სახელმწიფოს ეკუთვნის, შრომის ყველა იარაღი მშრომელთა კუთვნილებას შეადგენს. მუ- შის მიერ შექმნილი დოკუმენტის ნაწილი, რომელიც სხვაგან კერძო კაპიტალისტების ჯიბეში მიღის აქ თვით მუშაო- სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს და იმაგვ მუშას უბრუნდება სხვადასხვა სახით. ეს ქმნის ენთუზიაზმს, ეს აძლევს მუშას იმპულსს უფრო ნაყოფიერი მუ- შაობისთვის. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ის უმაგალითო, ისტორიაში ჯერ არნახული და გაუგონარი მოვლენა, რო- მელიც მდგომარეობს წრომის პათოსში, შრომით გატა- ცებაში და რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით სტა- ნოვარი მოძრაობას სახით. საბჭოთა კავშირში შრომა- ღიარებულია ცხოვრების ბერკეტად. შრომა და მშრო- მელნი არაან. აქ ქვეყნის პატრიონი, კინ არის დღეს ჩვენში

ჭარჩინებული (зиатны) პირები? — მუშები! კოლმეური  
ჩეები! ვის მკერდს ამშვენებს ჩვენს კავშირში ცლდოდეთ  
უ ჯილდო — ლენინის სახე? — მუშისა! ლმეურინისა!

14

საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის  
ერთ უდიდეს საქმედ უნდა ჩაითვალოს ნაციონალური  
საკითხის გადაჭრა, ნაციონალური შეულლის საუკუნოდ  
მოსპობა. ეს ისეთი გამარჯვებაა, რომლის მსგავსიც ჯერ  
არ ახსოვს ისტორიას.

რაზე იყო დამყარებული ეს საშინელი სენი, რომე-  
ლიც მრავალი საუკუნის განმავლობაში შეადგენდა კა-  
ცობრიობის უდიდესი უბედურების საგანს? რაზე იყო  
დამყარებული კავკასიაში მობინადრე ერებს შორის არ-  
სებული დაუსრულებელი ბრძოლა? რა შეადგენდა თუნ-  
დაც დაღესტანსა და საქართველოს შორის საუკუნოების  
განმავლობაში არსებული დაუძინებელი მტრობის წა-  
ფუძველს?

ეს საკითხი ღირს იმად, რომ ცოტათი მაინც შევა-  
ჩეროთ მასზე მკითხველის ყურადღება.

ამიერ-კავკასიაში მობინადრე ერებს დღევანდელ  
ადგილებში დასახლების პრობლემა ჯერ შესწავლილი  
არ არის. არავინ იცის, რომელი ერი საიდან მოვიდა,  
როდის მოვიდა და სხვ. მხოლოდ ერთი კი შეიძლება  
გამორკვეულად მიეკიჩნიოთ. სახელდობრ ის, რომ კავ-  
კასიის მთებში მობინადრე ერები: ლეკები, ოსები, სვა-  
ნები და სხვ. ოდესალაც დასახლებული იყვნენ კავკასიო-  
ნის ორივე მხარეზე, შავსა და კასპიის ზღვებს ტუა გა-  
დაჭიმულ ველებზე და რომ ყველა ისინი განდევნებს მათ  
შეძლებ საიდანლაც მოსულმა მათზე ძლიერმა ერებ-  
მა: ქართველებმა, რუსებმა და სხვებმა, რომლებმაც

წართვეს მათ მათი ძველი სამყოფელი და იძულებული  
გახდეს კავკასიონის მთებში მოენახათ თავშესაფარი.  
კავკასიონის მთებმა ისინი დაიცვა მტრის მახვილი-  
საფან, მაგრამ შემდეგ კი ნამდვილი დედინაცვლობა  
გაუწია. ვერავითარი საზრდო ვერ მიუჩინა მათ, გარდა  
სუფთა ჰაერისა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთიელ ხალხ-  
თა უმეტესობა იძულებული გახდა ხელოვნურად შეეჩ-  
რებია მოსახლეობის ბუნებრივი რიცხობრივი ზრდა.  
ცნობილია, რომ მთაში ზოგიერთი ხოცავდა ახლად  
შობილ ბავშვებს, მეტწილად ქალებს, რადგან მათი გამო-  
კვების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ყველა ხომ ამ გზას ვერ  
დაადგება და ბევრი მათგანი იძულებული გახდა თოვს,  
ხმალსა და ხანჯალს დანდობოდა და ბარში მცხოვრებ  
ერების ხარჯზე ერჩინა თავი. ლეკები, მაგალითად, იძუ-  
ლებული შეიქნენ თავისი შეიარაღებული ძალა აზის-  
სხვადასხვა სახელმწიფოსთვის მიეყიდათ. თვითონ ერეკ-  
ლე მეორესაც ხშირად ჰყოლია ლეკების მუდმივი ჯარი  
5.000 კაცამდე, რომლებსაც ყოველთვიურად უხდიდა  
ჯამაგირს... ასეთ ნიადაგზე ძალაუნებურად უნდა შემუ-  
ტავებულიყო სხვისი ქონების მიკუთვნების გრძნობა;  
ყაჩალობა, მტაცებლობა. ამისდამიჩედვით იქმნება ხალხის-  
ფსიქოლოგიაც. იგი უდიდესი პატივისცემით ეპყრობა  
ყაჩალს; მის საქებრად სთხზავს ლექსებს; აქ არც ერთი  
ახალგაზრდა ქალი არ გაყვება ცოლად ისეთ ლაჩარს,  
რომელიც ყაჩალობაში თავს ვერ ისახელებს.

აქ ყაჩალობა შეიქმნა ყოჩალობის, ვაჟკაცობის, გამ-  
ზედაობის, თავგანწირების სინონიმი.

ამიტომ სავსებით გასავებია, რომ როცა XIX  
საუკუნეში რუსის მთავრობამ ლეკების წარმომადგენ-  
ლებს წაუყენა მოთხოვნა: — რუსეთის ტახტს ერთგულე-  
ბა შემოჰყიცეთ და მძევლები მოგვეცითო, ისინი ამაზე  
აღვილად დაეთანხმენ; მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ ფი-  
ცის ერთ-ერთი მუხლი მოითხოვდა მათ მიერ ყაჩალო-  
ბაზე ხელის აღებას, ლეკებმა უარი განატადეს:



„ქურდობა და ყაჩალობა—ჩვენი ხვნა-თესვაზე მომზადებენ კეთვრობდენ ჩვენი წინაპრები; ამის გარდა მათ არავითარი ხელობა არ დაუტოვებით ჩვენთვის. რაც კი გვა-ბადია, შეკრებილია ქურდობითა და ყაჩალობით. თუ ამაზე უარი ვთქვით, ხომ უნდა დავიხოვოთ სიმშილათ რუსეთის ქვეშევრდომბაში. თქვენი ნებაა, მაგრამ იცო-დეთ, რომ ჩვენ ამ ჩვენი ხელობის დასაცავად ვიბრძო-ლებთ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წევთამდე. უკეთესია იარაღით ხელში დავიხოვოთ, როგორც პატიო-სანი ხალხი, ვიდრე სიმშილით ამოვწყდეთ“.\*

აქ საყურადღებოა განცხადება: იარაღით ხელში დავიხოცებით, როგორც პატიოსანი ხალხი და ყაჩალო-ბას არ დავაგდებთო. აქ პატიოსნება და ყაჩალობა ერთი და იგივე მცნებაა და ეს სრულიად გასაჯებია. ყოველი-ვე სხვა საწუალებას მოკლებულ ადამიანისთვის ცხოვ-რების ერთად-ერთი წყარო—ყაჩალობა ისეთივე პატიო-სანი საქმე იყო; როგორც ხვნა-თესვა მიწის მუშისათვის.

### 15

ასეთი იყო მიზეზი „ავკაცობისა“ და მტრობისა მთა-სა და ბარს შორის. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო

\* Воровство наша пашня и соха; сим жили наши предки и они никого другого пропитания в наследство нам не оставили. Все, чем мы владеем, воровством собранное имение и так должно будет нам в Российском поданстве с голоду умереть. Пусть с нами делают что хотят; мы будем себя защищать до последней капли крови, и лучше нам умереть честными людьми, нежели с голоду. (Михаил Чулков — Историческое описание Российской коммерции, т. II, ч. II, стр. 501—502, изд. 1795 г. Спб.)



ამ მიზეზის მოსპობა. დღეს დაღუსტანელ გლეხსაც კარიბები შეადგენერირება მეტად მარტინის მიზეზის მიზეზი არსებულ მცირეოდენ სახნავ-სათეს მიწებზე, რომელიც რამდენიმე მებატონის ან კულაკის საკუთრებას შეადგენდა, დღეს მოწყობილია კოლექტიური მეურნეობები. საბალახოები, რომლებზეც ძველად მხოლოდ რამდენიმე მებატონის ან კულაკის ჯოგები სძოვდენ, დღეს მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენს.

საბჭოთა ხელისუფლებამ გული გაუხსნა პირქუშ დედამიწას და მასში დაფარული სიმდიდრე ამოაქვს იმავე ხალხის საკეთილდღეოდ. გაჩალდა მრეწველობა; ყველას საქმე გაუჩნდა, ყველა თავისი საკუთარი შრომით ირჩენს თავს. და თუ გუშინ მთიელი ყაჩალობას „პატიოსან“ საქმედ სთვლიდა, დღეს მისი წევილები არა თუ არაფერს მოსტაცებენ ბარში თავის მეზობლებს, არამედ, პირიქით, მათთან ერთად ეწევიან ცხოვრების ჭაპანს, მათთან ერთად აშენებენ ახალ სამყაროს, სოციალისტურ სამყაროს.



ასეთია დღეს საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური, ნაციონალური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა.

ასეთ ერს დღეს მტერიც კი გაუწერს ანგარიშს. შემთხვევითი მოვლენა კი არ არის ამას წინათ აღვილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა:—ნეოპლიტანიის სამეცნიერო აკადემიასთან არსებული აღმოსავლეთის ინსტიტუტი პრემიას ნიშნავს „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ საუკეთესო გამოკვლევისათვისთ.

რას გვეუბნება ეს პატარა ამბავი? იგი ყველაზე  
უფრო ცხადჰყოფს საბჭოთა საქართველოს კულტურის  
ზრდას.

მენშევიკების ხელისუფლების დროს, იმ დროს, რო-  
ცა საქართველოს რესპუბლიკა „ოცდა ორი დიდი სა-  
ხელმწიფოს მიერ იყო (კნობილი“,—როგორც ამას ხში-  
რად გაიგონებდით დამფუძნებელი კრების ტრიბუნი-  
დან,—ხშირად დაბრძანდებოდენ ჩვენში ევროპის თითქ-  
მის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები (იტა-  
ლიის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა სავოიელმაც კი  
„გაგაბედნიერა“ თავისი სტუმრობით), მაგრამ მათ ერთ-  
ხელაც არ უკითხავთ ჩვენთვის:—ვინა ხართ? რანი იყა-  
ვით გუშინ? რა სულიერი განძი გაბადიათო.—ისინი გვი-  
კითხებოდენ მხოლოდ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის შე-  
სახებ. მათ აინტერესებდათ მხოლოდ ჩვენი მარგანეცი,  
ნახშირი, — თვითონ სავოიელი პრინციც წაბრძანდა  
ტყვარჩელში: ნახშირის დასათვალიერებლად,—ხე-ტყე,  
ლვინო და სხვა ისეთები, რის მოტაცებაც ან ჩალის ფა-  
სად მიღება მათ სურდათ.

დღეს? დღეს ფაშისტური იტალიის უდიდესი სამეც-  
ნიერო დაწესებულება ქართველი ერის სულიერი შე-  
მოქმედების უდიდესი განძის „ვეფხის ტყაოსნის“ შესწავ-  
ლას შესდგომია.

თავისთვალი იბადება კიოთხვა: რა მოხდა?

მოხდა ის, რომ აბუჩად აგდებული, წელში გაწყვე-  
ტილი, ყოველ უფლებას მოკლებული ქართველი ხალხი  
წელში გაიმართა; ის პოლიტიკურ ძალად იქცა და ამი-  
ტომ მას დღეს ანგარიშს უწევინ, მის წარსულს სწავ-  
ლობენ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი

ეს ყველაზე უფრო ახასიათებს საბჭოთა საქართველოს სიდიადეს, მის პოლიტიკურსა და კულტურულ ძლიერებას. მეტი რომ არაფერი მოგვეპოებოდეს საბჭოთა მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მოღვაწეობის შესასწავლად, ეს ერთი ფაქტიც სრულიად საკმაო იქნებოდა იმის დასანახად, თუ რომ გორ გამოცვლილა საქართველო, როგორ გაზრდილა და გამაგრებულა ქართველი ხალხი ნაციონალურად, კულტურულად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად; როგორიცენ მას ანგარიშს თვით ფაშისტური ქვეყნებიც, ის ქვეყნები, რომლებიც გუშინ გაძარცვას გვიპირებდნენ. იტალია დღეს მთელი ქვეყნის დასანახად ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს აბისინელ ხალხს, იტაცებს მის მიწა-წყალს. რატომ? იმიტომ, რომ აბისინია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით ოთხაური მეტია ქართველ ხალხზე, უპატრონოა, ნაციონალურად წელში გატეხილია. მას ყველა ერევა. საქართველოს კი ანგარიშს უწევენ. კიდევ მეტი: მის კულტურას სწავლობენ, მის ლიტერატურულ შედევრებს თარიმნიან. რატომ? იმიტომ, რომ საქართველო ძლიერია.

იგი ძლიერია არა თავის შვილთა მრავალრიცხოვანით, არამედ იმით, რომ ის განუყრელი ნაწილია იმ დიადი პოლიტიკური სხეულისა, რომელიც დედამიწის ერთ მეექვედზეა გადაჭიმული, რომელსაც საბჭოთა დიდი კავშირი ეწოდება და რომელიც შიშის ზარსა სცემს ძველ სამყაროს, შეუჩერებლად მიღის წინ და აშენებს ახალ ქვეყანას, ახალ სამყაროს.

თი აქ არის საქართველოს სიძლიერე! ეს უნდა შეიცნოს ყველა ქართველმა, ეს უნდა კარგად იკოდეს ჩვენში

အနာလျှာစံရွှေပါမ လှ မာမိန် လှ မိုးကြောဂ္ဂ မာမို့န် လှ မိုးကြောဂ္ဂ<sup>၂၁၃၃</sup>  
ဝါဆို တာဒိုက် စာပိုက်တာ စာပျော်တွေ့လှုံး၊ ဗျာများလိုက် စာ-  
ပျော်တွေ့လှုံး၊

ရာနိ ဒါယာဒိုက် ဂျူမို့န်?

ရာနိ ဒာရ်တဲ့လှေး?

ဤ ဗုံးလှ ဗုံးလှ စာပိုက်တာ ဇာတ ကာဒိုက်မှု ဖျော်သာလှ  
ပါ ပုဒ္ဓာ ဒေဝါရာ ရှေ့ပျော်လှေ့ကျောမ၊ မာတ ဗုံးလှ ဗုံးလှ ရှေ့ပျော်၊ ရာမိ  
မာတ စာလှ စာပိုက်တာ ဗျာများလိုက် စာပျော်တွေ့လှုံး၊ ရှေ့ပျော်လှေ့ကျောတ ကာဒို-  
က်မှု၊

၃. ဘေးလှေ့ခေါ်လှေ့၏။

ალ. ამილახორი, როგორც პოლი-  
ტიკური მოდვაწე, მწერალი და  
მოაზროვნე

## XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობიდან

აღექსანდრე დიმიტრის-ძე ამილახორი, როგორც  
პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და  
მდაზრდვნე

### I

მრისხანე ნადირ-შავის სიკვდილის დღიდანვე დაიწყო მისი ხმლით განმტკიცებული ირანის სახელმწიფოს რლვევა და ქვეყანა ისევ ისე გადაიქცა ორეულობისა და ტახტის მოტრფიალეთა შორის ბრძოლის ასპარეზად. ამ გარემოებით სარგებლობენ ირანის ყველა ვასალური სამეფოები და სახანოები; თავისუფლდებიან მისი მძიმე უღლისაგან და ცდილობენ დამოუკიდებლად არსებობას. ირანის არევ-დარევით ყველაზე აღრე სარგებლობს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. ის ყველაზე აღრე იშორებს თავიდან ირანის უღელს და ენერგიულად ჰკიდებს ხელს თავისი სამეფოს დამოუკიდებლობის საჭეს. კანობილია. რომ პატარა სახელმწიფოებს ისეთივე ასულითალისტური მაღა აქვთ, როგორც დიდ სახელმწიფოებს, და ერეკლეც მაღა სტოვებს ქვეყნის თავდაცვის ფარგლებს და შეტევაზე გადადის. ის მაღა იპყრობს და აღებს ხარჯს ვანჯისა და ერევნის სახანოებს და იწყებს

ოცნებობას საქართველოს სამეფოს ძელ ფარგლებში  
აღდგენაზე.

მაგრამ ერეკლეს ასეთ შემოქმედებას გაფაცა აღდგენაზე  
ადევნებს თვალყურს თვითმპყრობელი რუსეთის დია-  
ლომატია, რომლის ინტერესებს სრულიად ეწინააღმდე-  
გება საქართველოს სამეფოს განმტკიცება და გაძლიე-  
რება. პირიქით, რუსეთი თვითონ ფიქრობს ისარგებლოს  
ირანის არევ-დარევით; ის უცდის მხოლოდ მოხერხებულ  
დროს, რომ როგორმე ჩამოიშოროს გზიდან მისი მთავა-  
რი მეტოქე თურქეთი. საქართველოს კი რუსეთის მთავ-  
რობა უყურებს ისე, როგორც თურქეთის წინააღმდეგ  
ბრძოლაში დამხმარე ძალას... და ის სრულიად მოუ-  
ლოდნელად ხედავს, რომ საქართველოს სამეფო ერეკ-  
ლე II ხელმძღვანელობით თვითონ უპირებს განწირულ  
მსხვერპლს რუსეთის ხელიდან გამოგლეჯას, ცდილობს  
ირანის ხარჯზე გადიდებასა და გაძლიერებას.

აი იმისი მთავრი მიზეზია, რომ რუსეთის მთავრო-  
ბა ამ დროიდან უფრო ენერგიულად იწყებს მუშაობას  
საქართველოს სამეფოს დასარღვევად. ამ მიზნის განსა-  
ხორციელებლად ის გზავნის თავის აგენტებს საქართვე-  
ლოს ყოველ კუთხეში; ეწევა აგიტაციას, აწყობს აჯან-  
ყებას და ამხედრებს ერეკლეს წინააღმდეგ ქართლისა  
და კახეთის უფრო ძლიერსა და გავლენიან ფეოდა-  
ლებს; ამხედრებს ერეკლეს წინააღმდეგ იმერეთის მეფე  
სოლომონ პირველს, რომელსაც უიმისოდაც არ აძლევს  
მოსვენებას ერერეკლეს „გამაერთიანებელი“ გეგმების;  
აღუთჭვამს მას დასმისაუსას, როგორც ოუზიმოს. ისე  
კრეკლეს წიმააღმდეგ. რუსეთის მთავრობა ერეკლეს წი-  
ნააღმდეგ აწარმოებს უდიდეს მუშაობას კავკასიის

მთიელებს შორის; უკრძალაფს მათ დაეხმარონ ერეკლეს,  
შეიარაღებული ძალით, რომელთაც საჭირო დროზე  
ყოველთვის ქირაობდენ ხოლმე ქართველი შეფეხების მიზანისა  
და მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის მიზანის

ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებათა შორის ყვე-  
ლაზე თვალსაჩინო იყო ის, რომელსაც მიზნად ჰქონდა  
ერეკლესა და მისი ოჯახის ყველა წევრების ამოწყვეტა  
და რომელიც მოუწყვეს მას 1765 წელს.

ეს შეთქმულება მალე გამოიყლა ვნდა; მას ჯალათის  
ხელით გაუკეთა ლიკვიდაცია მეფე ერეკლემ. აჯანყების  
თითქმის ყველა მონაწილე, მათი მებაირახტრე ბატონი-  
შვილ პაატასთან ერთად, დაიღუპნენ. გადარჩა მხოლოდ  
ამ სისხლიანი საქმის ორი მონაწილე: თავადი დიმიტრი  
ამილახორი, რომელსაც გამოძიებამ ვერ დაუმტკიცა შეთ-  
ქმულებასთან უშუალო დამოკიდებულება, და მისი მცირე  
წლოვანი შვილი ალექსანდრე, რომელიც, როგორც საქ-  
მიდან სხანს, თუმცა უნდობიულ მონაწილეობას იღებდა  
შეთქმულებაში, მაგრამ სიკვდილს ვადაურჩა თავისი  
მცირეწლოვანების მიზეზით. ალექსანდრე იმ დროს მხო-  
ლოდ თხუთმეტი წლის იყო. მაგრამ ეს ჭაბუკიც ვერ  
ასცდა ჯალათის ხელს, რომელმაც ის საუკუნოთ დასა-  
ხიჩა: მოსკოვი ცხვირი და გადაუჭრია მარცხენა ფეხის  
მთავარი ძარღვი. დიმიტრი ამილახორს კი ვიზუზე პირ-  
უკუღმა შემჯდარს, ვირის კუდით ხელში, ხალხის სასა-  
ცოლოდ დაატარებდნენ ქალაქში სწორედ იმ დროს, რო-  
ცა შტკვრის პირად, ანჩისხატის ტაძრის მახლობლად  
გამალებული მუშაობდა ჯალათის ნაჯახი და კოცონში  
იწოდნენ შეთქმულების ზოგი მონაწილენი.

## II

აი ეს ჯალათის ხელით დასახიჩრებული ჭაბუკი  
ალექსანდრე ამილახორი არის ჩეენი შროშის მთავარი  
გმირი.

შეოქმულებათა მთავარ ხელმძღვანელების სიკვდილით დასჯის შემდეგ დიმიტრი ამილახორი თავის შვილ ალექსანდრესთან ერთად მოათავსეს მის სახლში პოლიცის სასტიკი მხედველობის ქვეშ. ასეთ მდგომარეობაში ისინი დარჩენ (1770) წლამდე. სწორედ ამ წელს მთელს ქართლს მოედო საშინელი ჭირი, რომელმაც მარტო ტფილისში 4000 კაცზე მეტი იმსხვერპლა. აბა ასეთი უბედურების დროს ვინ მოიცლიდა ამილახორებისთვის. ამით ისარევებლა ახალგაზრდა ალექსანდრემ და ტფილისიდან გაიპარა. დიდი ტანჯვა-წვალებით მიაღწია მან თავის ძმასთან ერთად იმერეთის მეფე სოლომონამდე, რომელმაც სიხარულით მიიღო გამოქცეულები, მისცა მათ საიმედო თავშესაფარი და საზრდოდ რამოდენიმე სოფლის მიცემა დაპირდა დროებით, სანამ ისინი აზ დაიბრუნებდნენ ერეკლეს მიერ წართმეულ მამულებს. ამილახორებმა ასეთ წყალობაზე უარი მოახსენეს იმერეთის მეფეს და სოხოვეს რომ მხოლოდ რუსეთში გაქცევის საშუალება მიეცა მათთვის. სოლომონმაც მისცა მათ საჭირო ფული, მისცა წერილები ჩერქეზთ მთავართან, მოზღოვისა და ყიზლიარის კომენდანტებთან, რომლებსაც თხოვდა ხელი მოემართათ ამილახორებისათვის... მეფე სოლომონის გულუხვი დახმარების შეოხებით გაქცეულებმა მალე მიაღწიეს ასტრახანს. აქ ისინი 1771 წლის 21 დეკემბერს განშორდნენ ერთმანეთს და გაუდგნენ გზას ბედის საძებრად: ალექსანდრე რუსეთისაკენ; მისი ძმა იოანე კი ირანისაკენ.\*



ალექსანდრე ამილახორი რუსეთში მალე შეიქნა იქაურ ქართველთა კოლონიის ერთ-ერთი ივალსაჩინო

\* История Георгианская, 99,104

წევრი. უნდა ვიფიქროთ, რომ ის დიდ მონაწილეობას  
 იღებდა იმ დიდ კულტურულ საქმეში, რომელსაც მოწირეობა  
 მოეძღვნენ იმ დროს რუსეთში ქართველთა კოლონიის ზო-  
 გიურთი წევრები. ის დიდის ენერგიით შეუდგა თვით-  
 ვანვითარების საქმესაც, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ  
 ივიწყებდა თავის მოსისხლე მტერს მეფე ერეკლეს. რაკი  
 მასთან საბრძოლველად სხვა იარაღი არ გააჩნდა, მან  
 მიმართა კალამს და შეეცადა წერის საშუალებით მაინც  
 ევრო რამე ერეკლესათვის. ამ საქმეში ალექსანდრემ საკ-  
 მაო ნიჭი გამოიჩინა. მისი კალმის პირველი ცდის ნა-  
 ყოფი იყო „ისტორია გეორგინსკაია“ — პოლიტიკური  
 პამტვლეტი, მთლიანად მიმართული „ქართლის სამეფო  
 ტახტის მომტაცებელ“, „უზურპატორ“ მეფე ერეკ-  
 ლეს წინააღმდეგ. ეს წიგმი აღ. ამილახორმა დაბეჭდა  
 1779 წ. მაგრამ იგი სტამბილან გამოსვლისთანავე იქნა  
 აკრძალული და მოსპობილი, რადგანაც ამ დროს ეკა-  
 ტერინე II და მისი მთავრობა მთელი თავისი ძალო-  
 ნით ცდილობდნენ ერეკლეს გულის მოგებას, რადგან  
 მასთან აპირებდნენ მათთვის დიდად სასარგებლო კავში-  
 რის დადებას, რაც ორიოდე წლის შემდეგ გამოიხატა  
 „გეორგიევსკის“ ტრაქტატში. აბა ასეთ დროს ეკატერი-  
 ნე II როგორ მისცემდა ნებას ერეკლეს წინააღმდეგ და-  
 წერილი წიგნის გავრცელებას და აღ. ამილახორის  
 პირველ ლიტერატურულ შრომას კერ უშველა იმ გა-  
 რემონტამაც, რომ იგი მიძღვნილი იყო რუსეთში იმ  
 დროს ყველაზე უფრო გავლენიანი კაცის, თავადი პო-  
 ტომჭინისაღმი.

„ისტორია გეორგიანსკაია“ დაწერილია მეტის-მეტად  
 ტენდენციურად; ავტორი თავისი წიგნის ყოველ სტრი-

ქნაში ცდილობს როგორმე დაამდაბლოს ერეკლე; აწერს  
მას ყოველგვარ ბოროტებას, უყენებს მას ბრალდე-  
ბას საქართველოს სამეფოს დაღუპვაში და იმა ამილახო-  
ცდილობს გაბეროს თავისი გვარის წევრების, ამილახო-  
რების, ამაგი ქვეყნის წინაშე. ამ თვლასაზრისით აშე-  
ქებს ავტორი თავის წიგნში არა მარტო 1765 წლის  
აჯანყების ისტორიას, არამედ ერეკლეს მეფობის მთელ  
ისტორიასაც. მიუხედავად ასეთი დადი ნაკლია, ალექ-  
სანდრე ამილახორის ეს ნაშრომი მეტის-მეტად საყუ-  
რადღებოა; გასში ავტორი იძლევა ძვირფას მასალას,  
როგორც დასახელებული შეთქმულების, ისე საზოგა-  
დოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს  
ისტორიის შესასწავლად.

ალექსანდრე ამილახორის მეორე შრომა, რომელიც  
ავტორს დაუწერია ქართულად და ჩვენამდე ხელნაწერად  
მოუღწევია, არის ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“.  
მესამე მისი თხზულება წარმოადგენს პატარა ბროშუ-  
რას სათაურით „В Астрахане“. ეს ბროშურა ავტორს  
ხელნაწერად დარჩა; იგი დაბეჭდა პროფ. ალ. ხახანა-  
შვილმა 1911 წელს.\* ეს ბროშურა დაწერილია კარგი  
რუსული ენით, ჩინებული დიალოგებით, რომელიც დღე-  
საც მისაბაძია ბევრი ჩვენი თანამედროვე ქართველი  
დრამატურგისათვის. ამ ბროშურაში ავტორი იჩენს  
საზოგადოდ დიდ ერუდიციას, თავისი დროის პოლიტი-  
კური ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნას; მას აქვს წმინ-  
და ისტორიული ვნიშვნელობა და უდიდეს ინტერესს  
წარმოადგენს განსაკუთრებით უკელა იმათვის, ვისაც

\* К материалам по драматической литературе XVIII века.  
Изд. Имп. О—ва ист. и древностей Российской при Московском Университете, Москва, Синодальная типография.

სურს ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი ათეულზ  
წლების ისტორიის შესწავლა, უფრო კი რუსეთ—**საქართველო**  
თვეულოს შორის 1783 წელს დადებული „გეორგიევსკის  
ტრაქტატის შესწავლა.

### III

ამ დროებით კი ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს  
აღ. ამილახორის მხოლოდ მეორე ნაშრომი: „**ბრძენი**  
**აღმოსავლეთისა**“.

წინდაწინვე უნდა განვაცხადოთ, რომ ალექსანდრე ამილახორი, როგორც დასახელებული ტრაქტატის ავტორი, არის საფრანგეთის ფილოსოფოსების უშუალო გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით უ. რუსოს, მონტესკიეს და კოლტერის. მაგრამ იმდროინდელ ქართველ მოაზროვნეს ესეც დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს. ჩვენს ავტორს არ შეიძლება უდიდეს მიღწევად არ ჩაუთვალოთ ის, რომ იგი არა თუ კარგად იცნობს იმდროინდელი ეპროპის ფილოსოფოსების აზრებს, ის კიდეც ცდილობს ამ აზრების თავისი სამშობლო ნიადაგზე გადმონერვას და მათ პრაქტიკულად განხორციელებას. ამ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამას ალექსანდრე ამილახორი ახერხებს 10—15 წლით ადრე საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, როცა მან დასწერა თავისი ტრაქტატი. ჩვენი ავტორი ცდილობს თავისი ახალი მოძღვრება საფუძვლად დაუდოს საქართველოს სამეფო წეს-წყობილებას და ისე შორს მიღის ამ მხრით, რომ 1782 წელს, იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი თხზულების ხელნაწერი, ურჩევს „აღმოსავლეთის ბრძენის“ მოძღვრება „შერთვ სიქველესა შენსა“ და ქვეყანა ისე მართე, როგორც ჩემს ტრაქტატშია ნაჩვენებიო.

სწორედ ამ თვალსაზრისით ვეცდებით ჩვენ შევის-  
შავლოთ და დავაფასოთ ალექსანდრე ამილახორის ნაშ-  
რომი, რომლის არსებობაც დღემდე მხოლოდ რამდენი-  
ნიშე ქართველმა მწერალმა თუ იცოდა. მით უფრო  
განსაცვიფრებელია, რომ ტრაქტატში გამოთქმული აზ-  
რები, როგორც ამას ქვემოდ დავინახავთ, დაედო საფუძ-  
ვლად მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურასა და  
აზროვნებას. დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ  
ამილახორის ტრაქტატის ზეგავლენას ჯერაც ვერ  
შოინელებდა ქართული ლიტერატურა, ის დღესაც იქნე-  
ბოდა ქართველ მარქსისტება და ნაციონალისტებს  
შორის ბრძოლის სავნად, თუ არ მოესწრო ოქტო-  
ბრის დიდ რევოლუციას და სტორის არქივისათვის არ  
ვადაეცა, როგორც თავადაზნაურობა, ისე მათი იდეო-  
ლოგია და იდეოლოგიები.

ეს გარემოება ჩვენ გვაძიულებს უფრო დაახლოე-  
ბით გავეცნოთ ასეთი დიდი გავლენიანი და მნიშვნელობის  
თქზულების ავტორს.

#### IV

ალექსანდრე დიმიტრის-ძე ამილახორი დაი-  
ბადა 1750 წ. 20 მარტს. ის მეორე შვილი იყო დიმიტრი  
ამილახორისა და მისი მეულე მარიამ ორბელიანის ასუ-  
ლის თხუთმეტი შვილიდან. დიმიტრი ამილახორი მოელს  
ზემო ქართლში ითვლებოდა ყველაზე მდიდარ, ძლიერ  
და გავლენიან ფეოდალად. ის ფლობდა რამდენიმე  
ციხე სიმავრეს და სავაჭრო პუნქტს; ტფილისში მას  
ჩინებული სასახლე ჰქონდა მეფის სასახლის მახლობლად  
ანჩის ხატის ტაძრის გვერდით. მის შვილებს ყავდნენ  
სპეციალური აღმზრდელი და მასწავლებლები, რომლე-

ბიც მათ ასწავლიდნენ სისტემატურად. სამწუხაროდ,  
ჩვენ არ ვიცით თუ ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები, რა/  
საგნებს ასწავლიდნენ ისინი ამილახორის შვილებს, მაგ  
რამ ცნობილია, რომ, როგორც ქართველ მეფეების სასახ-  
ლეში, ისე ქართველ დიდებულთა ოჯახებში, განსაკუთ-  
რებით მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ექიმებად და მას-  
წავლებლად იყვნენ ფრანგი მისიონერები, რომლებიც  
თავის მოწაფეებს ასწავლიდნენ ძველსა და ახალ ენებს, მა-  
თემატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას და სხვ. დადასტუ-  
რებით შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ამილახორის  
მასწავლებლებიც ფრანგი, თეათინლების ორდენის ბე-  
რები იყვნენ, რომლებისაგანაც მან შილო იმ დროს შესა-  
ფერი მეცნიერული მომზადება.

ამ მხრით დიმიტრი ამილახორის შვილები ყველა  
სხვა მღიდარი თავადების შვილებზე უფრო უკეთეს  
პირობებში იყვნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც  
დიმიტრის ოჯახი დაენათესავა მეფე თეიმურაზ II  
ოჯახს: მისმა უფროსმა ვაჟმა გიორგიმ, რომელსაც მის-  
მა ბიძამ, ცნობილმა გიორგი ამილახორმა, უანდერძა თავი-  
სი აუარებელი სიმდიდრე, შეირთო თეიმურაზის ქალი,  
ბატონიშვილი ელისაბედი. ახალგაზრდების დანიშვნა  
მოხდა, როცა ელისაბედი ერთი წლის ძლიერ იყო, საჭრო  
კი ორი წლისა; დაქორწილდნენ, როცა ვაჟს შეუსრულ-  
და 18 წელი, ხოლო ელისაბედის—16 წ. ახალგაზრდების  
დანიშვნის დღიდან მათი დაქორწინებამდე დიმიტრი  
ამილახორის შვილები იზრდებოდნენ სამეფო კარზე,  
მეფის შვილებთან ერთად. ეს კი იმ დროს დიდ რამეს  
ნიშნავდა. ჩვენ ახლა დადასტურებით ვიცით, რომ საქარ-  
თველოს უკანასკნელ მეფეთა შვილები იღებდნენ თავის  
დროის შესაფერ ცოდნასა და განეითარებას. საკმაო

შოვიგონოთ ზოგიერთი მათვანი, რომ ეს გადაწყვეტილებულად არ მოვეჩენოს. ბატონიშვილი ითანე იყო **შე-18** საუკუნის ერთი დიდი მწერალთაგანი; მის კალამს ეკუთვნის ისეთი ლიტერატურული შედევრი, როგორიც არის „კალმასობა“, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი ავტორი იყო არა მარტო დიდი მწერალი, არამედ დიდად განათლებული კაციც. მისი მხატვრულად დაწერილი წიგნი ფერდალური საქართველოს ისტორიის შესასწავლად იმდენ მეცნიერულ ცნობებს იძლევა, რომ მარტო ამ წიგნის საშუალებით შეიძლება კაცმა ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს ძველ საქართველოზე. შეორე ბატონიშვილი თეიმურაზი, იყო წევრი რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა; ის ხელშძლვანელობას უწევდა ქართულ ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს მარი ბროსეს; თვითონ იყო ნიჭიერი მწერალი და ისტორიკოსი. გამოჩენილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ დაგვიტოვა ისეთი მეცნიერული განძი, რომლის მსგავსიც, აკადემიკოს ნ. ი. მარის ავტორიტეტული თქმით, იმ დროინდელ ეკროპასაც არ მოეპოვებოდა. გიორგი მეფის შვილი, მემკვიდრე დავითი, რომელიც რაღაც ჩვენთვის ვაუგებარი მიზეზებით, არ სარგებლობს ქართულ მწერლობაში მისმიერ სრულიად დამსახურებული სიმპატიით, იყო დიდად განათლებული პიროვნება. მეფე ერეკლემ თავის საყვარელ შვილის-შვილს დავითს სპეციალურად გამოუშერა გერმანიიდან იქ „ცნობილი მეცნიერი“ ითავს იკაბისძე გეტინგენი, რომელიც სიკვდილამდე არ მოშორებია თავის საყვარელ მოწაფეს. დავითი გატაცებული მოწაფე იყო ვოლტერისა. მან გადმოთარგმნა ქართულ ენაზე მონტესკიეს მთავარი შრომა L'esprit de lois, შეადგინა კანონთა კრებული, რომელიც, სამწუხაროდ,

ჯვრ არ არის შესწავლილი, მაგრამ მისი თითო-ორთული  
მცოდნეთა განცხადებებით, ის გაცილებით უფრო პუშჩინუ-  
რია ვახტანგ VI კანონზე და უფრო უახლოვდება იმ-  
დროინდელი განათლებული სახელმწიფოების კანონ-  
მდებლობას. თვითონ მარი ბროსე ასე ახასიათებს საქარ-  
თველოს უკანასკნელ მეფეთა შვილებს: „ისინი თავის  
დროს ანდომებენ თავის სამშობლო ლიტერატურას.  
დაწყებული გრამატიკიდან და ლექსიკოლოგიდან და  
გათავებული სამკურნალო და სამხედრო მეცნიერებით,  
ყველაფერი იპყრობდა მათ ყურადღებას. დავთი, იოანე,  
ბაგრატი, ოქროპირი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ყო-  
ველივე იმას, რაც კი იმ დროს ყურადღების ღირსი  
იყო, რასაც კი აღამიანის გატაცება შეეძლო“.\*)

აი, როგორ პირობებში იზრდებოდა ალექსანდრე  
ამილახორი. ამ მხრით ის კიდევ უფრო კარგ პირობებში  
უნდა ყოფილიყო 1765—1770 წლებში, როცა იგი.  
ფიზიკურად დასახიჩრებული, იძულებული იყო მუდა-  
სახლში მჯდარიყო. ასეთ პირობებში ნიჭიერ ახალგაზრდა  
სხვა რა უნდა ეკეთებია, თუ არა თვითგანვითარების საჭ-  
მე და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში მუშაობა? მარ  
თალია, მას კარში არ უშვებდნენ, მაგრამ მასთან გისცელ  
არ იყო აკრძალული, განსაკუთრებით ფრანგი ბერების  
თვის, რომლებიც ძველებურად განაკრძობდნენ მასთან  
შეცადინეობას. სრული უფლება გვაქვს ვითიქროთ, რომ  
ალექსანდრე ამილახორი ამ ბერების მეოხებით იცნობდა  
ზემოთ დასახელებული ფრანგი ფილოსოფოსების მოძღვ-  
რებას. ცხადია, ეს ბერები არ იქნებოდნენ ამ ფილოსო-  
ფოსების მომხრე, მაგრამ ჩვენი სასულიერო სემინარიების

\* М. БРОССЕ—Очерки истории и литературы Грузии, гл. 365

მასწავლებლები კი იყვნენ მომხრე იმ მეცნიერთა მოძღვანებისა, რომლებსაც გვაიძულებდნენ „ოპროვერლათ“<sup>1</sup> მით უდიდეს სამსახურს უწევდნენ მათ მიერათვალწუნებული იდეების გარტელების საქმეს. დადასტურებით ცეიძლება ვთქვათ, რომ გარდა ფრანგული ენისა ალექსანდრემ ბერძნული ენაც იცოდა. თავის „ისტორია გეორგიანსკაია“-ში ის თვითონ გვეუბნება, რომ ხშირად დიდი ხნობით იჯდა ბერძნების არქიეპისკოპოსთან და მსჯელობდა სხვადასხვა მეცნიერულ საკითხებზე.\* ეს მტკიცდება მისი ბრძმურიდანაც „В Астрахани“, სახელდობრ იმ ადგილიდან, სადაც ავტორი გვიხსნის სიტყვას — პოლიტიკა. \*\*

## V

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე ვთქვათ ჩვენი ავტორის ხასიათის უარყოფით მხარეებზედაც.

ჩვენ ვიცით, რომ იგი, როგორც მამის, ისე დედის მხრით, ეკუთვნოდა საქართველოს უდიდესი ფეოდალების ჩამომავლობას, ეგრეთწოდებულ დიდებულთა უჯახებს, რომლებიდანაც მან, ეტყობა, მემკვიდრეობით კილო თავისი გვარითა და ჩამომავლობით სიმაყე, რაც მეადგენდა განსაკუთრებულ თვისებას ქართველ დიდებულთა ხასიათისას. ეს უკანასკნელები თავის თავს თვლილნენ ტოლად და სწორად ქართველთ მეფეებისა, რომლებიც თავისი მხრით თავის ჩამომავლობას იწყებდნენ ებრაელთა მეფე დავითიდან. ძნელი გასაგებია, თუ როგორ თავსდებოდა ალექსანდრე ამილახორში ქრისტი

\* История Георгянская, 80

\*\* В Астрахани, 7

შხრით ისეთი უაღრესად ლიბერალური იდეატი, რომლებიც  
თაც გაულენთილია მისი „ბრძენი აღმოსავლეთისა“, მეო-  
რეს შხრით იდეა თავისი საკუთარი გვარეულობის გაღ-  
მერთებისა. ჩევნს ავტორს თავისი გვარი გამოჰყავს არა  
იმ როლიდან, რომელიც ამილახორებს ჰქონდათ მინიჭე-  
ბული მეფის კარზე, არამედ არაბთა ემირის ან ამირისა-  
გან, რაც ნიშნავს მფლობელს, პატრონს, ქვეყნის მმარ-  
თველს და სხვა.

ალექსანდრე ამილახორის ამ შხრით დასახასიათებ-  
ლად საქმაოა მოვიყვანოთ მისი წერილებიდან ერთი  
აღგიღი. არაბეთის ერთ ერთი ემირი ან ამირი, რომელ-  
საც ჩევნი ავტორი სთვლის თავისი გვარეულობის მამათ-  
მთავარად, ბრძოლის ველზე ტყვედ უვარდება ხელში  
მტერს. ის მიჰყავთ გამარჯვებულ ჯარის სარდალთან  
თუ მეფესთან, წინადადებას აძლევენ მიწაზე განრთხმით  
თაყვანი სცეს მას, რისთვისაც დატყვევებულ ამილახორის  
პირდებიან განთავისუფლებას და. წართმეულ სამეფოს  
დაბრუნებას. მაგრამ ტყვეობაში მყოფი ემირი ამა-  
ზე არ ასწოდება. მასზე არ მოქმედებს მტრის მუქარაც-  
მაშინაც კი, როცა მას ხელფეხშეკრულს თავდაღმა დე-  
ბენ მტრის ფეხებთან, ის რაღაცნაირად ახერხებს ზურგ-  
ზე გაღაბრუნებას, რომ მტერმა მისი პირქვე გდება  
თაყვანისცემად არ მიღლოს.—„მე თვითონ ვარ შეფე და  
არ შემიძლია მხედარის თაყვანი ვცეო“—ყვირის იგი, როცა  
ჯალათი თავის მოჭრით ემუქრება მას.—

თავისი გვარეულობის დიდების შეორე საბუთად  
ავტორს ის მოჰყავს, რომ ანდუყაფაზ ამილახორს,  
ჭარულოს იმ ფეხდაღს, რომელიც მრისხანე შაჰაბასის მარ-  
ჯვენა ხელს შეადგენდა და თავგამოდებით ექმარებოდა  
მას კახეთის ხალხის ამოულეტაში, რისთვისაც ჯილდოდ

შეთაბასმა თავისი შეიღლის შეიღლი შერთო კოლხური  
 ეს უდიდესი საბუთია ალექსანდრე ამილახორის გათვალისწინების  
 იმის დასამტკუცებლად, რომ ამილახორის გვარი დაუწევა  
 თესავდა თვით მაჰმადის. ჩვენი ავტორი თავისი გვარის  
 ასეთუისე გამოჩენილ წევრებს ისე კი არ ისენიებს, თუ  
 არა მეფეური პატივისცემით; ანდუყაფარ ამილახორის ის  
 უწოდებს ანდუყაფარ I-ს; გივა I-ს; გივი II-ს, გივი III-ს;  
 თავის მამას დიმიტრის ის უწოდებს დიმიტრი პატ-  
 ველს, თუმცა მას თავისთავად არაფრად უსახელებია  
 თავი ქართლის ისტორიაში. ის ისე შორის მიღის თა-  
 ვისი გვარის გაღმერთებაში, რომ ალექსანდრე ბატონი-  
 შვილს იმიტომ კი არ უთმობს ქართლის ტახტის მემ-  
 კვიდრის უფლებას, რომ იგი მეფის შვილია, არამედ  
 იმიტომ, რომ ის ხნით მაზე უფროსია; „როგორც უფ-  
 როსს ჩვენს შორის“, ესე—იგი მაზე და მის ძმაზე უფ-  
 როსს. ამ მხრით ჩვენს ავტორს კიდევ უფრო ახასიათებს  
 მისი „ეპიტაფია“ და დიალოგები „ასტრახანში“, რომ-  
 ლებსაც აქვე დამატებად ვგეჭდავთ.

## VI

ძნელი ასახსნელია ჩვენი ავტორის ხასიათის ასე  
 გაორება; მაგრამ შეიძლება ამას მოენახოს ახსნა იმ პი-  
 რობებში, რომლებშიაც ის ცხოვრობდა სიცოცხლის ბო-  
 ლო ათეულ წლებში. ის წერილები, რომლებითაც ჩვენ აქ  
 ვსარგებლობთ მის დასახასიათებლად და რომლებსაც ის  
 სწერდა ვიზორების ციხის ბნელ საკანში, სადაც ის მოკლე-  
 ბლული იყო როგორც აღამიანების საზოგადოებას, თუ ასე-  
 თად არ მივიღებთ ციხის აღმინისტრაციას, ისე წმინდა  
 ჰაერსა და „მწვანე მოლს“; ეს მისი წერილები ჯერ  
 შესწავლილი არ არის, მაგრამ მათი ზერელე გადათვა-

ლიკრებიდანაც კი შეიძლება იმ დასკვნას დავადგეთ,  
რომ ჩვენი ავტორი იმ დროს არ იყო მოღად ნორმულების  
სულიერ განწყობილებაში. ყოველ შემთხვევაში ვიბორ-  
გის ციხის ტესალი ალექსანდრე ამილახორი ძალიან  
ცოტათი თუ ჰერცებლის წყალისავით დაუდეგარ  
პოლიტიკურ მებრძოლს და იმავე დროს ღრმა მოაზროვ-  
ნე ავტორს „აღმოსავლეთის ბრძენისას“. ციხეში აუტა-  
ნელმა და ხანგრძლივმა ყოფნამ ის გააბორობა. მტერ-  
თან ბრძოლის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული,  
უნდა ვითიქროთ რომ მხოლოდ წარსულში ეძებდა  
რამე მის შესაფერს. და რა კი იქაც ვერაფერ სანუგე-  
შოს ხედავდა, ძალაუნებურად უნდა ჩაეჭიდა ხელი იმ  
ფრქულისათვის, რაც მისი გვარის გადიდებულად წარმო-  
დგენაში მდგომარეობდა. ასეთი აზრები მით უმეტეს  
უნდა დაბადებოდა მას, მაშინ, როცა ხედავდა, რომ იმ  
დროინდელი რუსეთის ბედის გამგენი, „ვიღაც უჯიშონი“,  
დღეს ვრაფებისა და უბრწყინვალესი თავადების სახელებს  
ატარებდნენ და ის, ძველის ძველი თავადი, ალექსანდრე  
ამილახორი, ძველი არაბეთის ემირების ჩამომავალი,  
თვით წინასწარმეტყველი მაპმაღის ნათესავი, ამ ვიღაც  
უჯიშოებს საკანში ჰერცებლის თავადების სახელებს  
ა-მუდარას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ასეთ  
მდგომარეობაში ასეთ აღამიანს ორ შეიძლება შოვთხო-  
ვოთ სულიერი წონასწორობა...

ასე იყო თუ ისე, ის კი აშკარაა, რომ ჩვენი ავტორი  
დაჯილდოებული იყო შეუდრეველი და თანაც დაუკმა-  
ყოფილებელის თავმოყვარეობით. ამის შემდეგ გასავე-  
ბია, რომ ასეთი ხასიათის აღამიანი უეჭველად უნდა  
ყოფილიყო უაღრესად აქტიური. ერეულეს წინააღმდეგ

შეთქმულებს შორის, რომ ის დაუშრეტელი ენერგიით  
უნდა შეძროს ლებოდა „უზურპატორ“ შეფერ ერეკლეს  
ჩვენ უკვე ვიცით, რომ ალექსანდრე ამილახორმა-  
რუსეთში მოღვაწეობა ერეკლეს წინააღმდეგ ლიტერა-  
ტულური ბრძოლით დაიწყო. მაგრამ ასეთი ბრძოლა მას-  
ვერ დააკმაყოფილებდა, მით უმეტეს, როცა მისი პირვე-  
ლი წიგნი მზის სინათლეზეც არ გამოსულა, ისე  
დასწვეს ცეცხლში. ის ხედავს, რომ კალამი გამოუსა-  
დეგარი იარაღია ერეკლესთან ბრძოლაში, და ის ხელ-  
ახლა მიღის კავკასიაში, სადაც რუსეთის მთავრობის  
უნებლიერ აგენტი ალექსანდრე ბატონიშვილი 1766 წლი-  
დან „მოღვაწეობდა“ ერეკლეს წინააღმდეგ. \*

1782 წელს, სწორედ იმ დროს, როცა გეორგიევსკის  
ტრაქტატის მოსამზადებელი მუშაობა რუსეთის მთავ-  
რობის მიერ უაღრეს წერტილამდე იყო აყვანილი, ჩვენს  
ავტორს კხედავთ ბატონიშვილ ალექსანდრე ბაჭარის-ძეს-  
თან ერთად იმერეთში და ბოლოს დერბენდში, სადაც,  
როგორც ის ამაში ღრმად იყო დაჩრდინებული, მათ  
შეზღად ჰყავდათ 50 ათასი კაცისაგნ შემდგარი ლეგის  
ჯარი. ისინი ამილახორისავე თქმით, უცილიან კიდევ  
დამატებითი 10 ათას კაცისაგნ შემდგარ ჯარს, და

\* ალ. ამილახორი თვით რუსის მთავრობას გამოუგზავნია საქარ-  
თველოში, როგორც ენერგიული კაცი, ალექსანდრე ბაჭარის-ძის და-  
სახმარებლად მეფე ერეკლეს წინააღმდეგ. ამის შესახებ ის თვითონ  
ჩვეუბნება თავის დიალოგში: „პენსიით გამომისტუმრეს, მაგრამ სა-  
მგზავრო კი არ მომცეს“-ო. უნდა ვითიქროთ, რომ ამილახორის გა-  
მოგზავნა მთავრობას დაგვიანებით მოსვლია და მისი მოქმედება ერეკ-  
ლეს წინააღმდეგ იმდენად საჭიროდ არ დაუნახავს და მისი მგზავ-  
რობაც ცოტა შეუჩირებია.

ჩვენთვის, რომლებიც კარგად ვიცნობთ დღესას  
საკითხის შესახებ არქივებში დაცულ მასალებს, ცხადის,  
რომ მათი დერბენდში გაჩერების მიზეზი იყო არა დამა-  
ტებითი ჯარების მიღება; ჩვენ სრული საფუძველი  
გვაქვს ვთქვათ, რომ მათ სულაც არ მოეპოვებოდათ  
დერბენდში არავითარი ჯარი. ყოველ შემთხვევაში, ისე-  
თი რაოდენობის ჯარი, რომლითაც მათ შეძლებოდათ  
ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც 50 ათასიანი,  
ისე 10 ათასიანი ჯარის მოგროვება მოჭორილი იყო  
მათი მასპინძლის, რუსის მთავრობის აგენტის, შამხალის  
მიერ, რომელიც მათ ატყუილებდა:—50 ათასი კაცი მზად  
არის, კოტა მოვიცადოთ, 10.000 კაციც მოვაკროვოთ და  
უფრო დათ ძალებით დავესხათ თავი ერეკლესი. ვისთვის  
იყო საჭირო ასეთი ფიქცია? ეს ესაჭიროებოდა რუსეთის  
მთავრის მას რომ ამით სურია: რეგისტრაცია ერეკლესთ-  
ვის ერთგვარი *memento mori*, დაეფრთხო იგი და აეძუ-  
ლებია დასთანხმებოდა ისეთ პირობებს, რომელზეც უიმი-  
სოდ ერეკლე, არასოდეს არ ჩასთანხმებოდა, რუსეთის  
მთავრობა არ შეცდა: ერეკლე, რომელიც დარწმუნებული  
იყო ასეთი დიდი ჯარის არასებობაში მისი სამეფოს  
წინააღმდეგ, მართლაც წავიდა დათმობის გზაზე. ამ  
ფიქციით დამტრთხალი ერეკლე იძულებული შეიქნა  
უარი ეთქვა ყველა იმ პირობებზე, რომელიც მან თავის  
პროექტში წამოუყენა ეკატერინე მეორეს და დასთანხმე-  
ბოდა ამ უკანასკნელის ყველა პირობებზე. გეორგიევსკ-  
ში რუსეთსა და საქართველოს მორის 1783 წ. დადგებული  
ტრაქტატი, სამწუხაროდ ჯერ კრიტიკულად შესწავლი-  
ლი არ არის. მარგამ იმ საბუთების მიხედვით, რომლე-

პიც ამლა ჩვენს განკარგულებაშია, სრული უფლება  
გვაქვს განვაცხადოთ, რომ საქართველოსათვის საბერძნები  
წერო გეორგიევსკის ტრაქტატი ნაყოფია არა ერეკლეს  
თავისუფალი ნებისყოფისა, არამედ რეალურად არ  
არსებული 60 ათასი მეომარისაგან შემდგარი ლეკის ჯა-  
რისა. ჩვენთვის დღეს აშკარაა, რომ ალექსანდრე ბატო-  
ნიშვილს და მის დამხმარე ალექსანდრე ამილახორის  
დეკბერნდში არავითარი ჯარები არ ყავდათ, რომ ეს  
მოჭორილი იყო რუსის მთავრობის ოქროთი მოსკო-  
ფულ შამხალის მიერ; რომ ეს ჯარები იყო უბრალო  
ფიქცია, მაგრამ ორივე ალექსანდრე კი დარწმუნებული  
იყვნენ მის რეალურად არსებობაში. რომ ეს ასეა, ამას  
ჩვენ ვტყობილობთ თვითონ ამილახორის ერთი წერი-  
ლიდან:

„ერეკლემ, რაკი დაინახა, რომ საქართველოზე თავს  
დასასხმელად მომზადებულია სამოცი ათასი მეომარისაგან  
შემდგარი ლეკის ჯარი, მიაშურა რუსეთის სამეფო  
სახლს და ეკატერინე მეორეს დაუქვემდებარი როგორც  
თავისი თავი, ისე მის მიერ „მოტაცებული სამეფო“.\*:

საერთოდ ალექსანდრე ამილახორის, როგორც ეს,  
ასე ყველა სხვა წერილები იმდენად ნათელს ჰქონენ  
გეორგიევსკის ტრაქტატის მოჭახრაკების საქმეს, იმდენად  
აშექებენ ახალი სხივებით ამ სრულიად შეუსწავლელ  
მომენტს საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულების  
ისტორიაში, რომ ჩვენ იძულებული ვართ ყველა ეს  
წერილები დავურთოდ ამ ჩვენ შრომას დამატების სა-  
ხით. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით რომ, როგორც ქართლ-

\* იხ. ამ წიგნის დამატება № 2, წერილი III. ამასშე ლაპარაკობს  
იგი „დიალოგებშიც.“

კახეთის სამეფო ტახტის შემცვიდრე, ისე მისი სანჩიაპან-  
ჩო, ალექსანდრე ამილახორი ერთობ გვიან მიხედვენ,  
რომ ისინი უბრალო პაივები იყვნენ რუსეთის მთავრო-  
ბის ხელში. ისინი ამაში დარწმუნდნენ მხოლოდ მას შემ-  
დეგ, როცა გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი უკვე  
ხელმოწერილი იყო, როცა უკვე გადაწყვეტილი იყო  
საქართველოს პოლიტიკური არსებობის ყოფნა-არყოფ-  
ნის საკითხი. ისინი ამაში დარწმუნდნენ მხოლოდ მას-  
შემდეგ, როცა ერველესთან საქმის გათავების შემდეგ,  
რუსეთის მთავრობამ შამხალს მოსთხოვა ბატონიშვილისა  
და ამილახორის დაჭრა და რუსეთისათვის გადაცემა...

— 1783 წლის 10 დეკემბერს, ესე იგი გეორგიევსკ-  
ში ხელშეკრულების დადებიდან 3-4 თვის შემდეგ, ორი-  
ვე ალექსანდრე ჩასვეს რუსეთის მთავრობის მიერ სპე-  
ციალურად მათთვის გამოგზავნილ გემში და გაგზავნეს  
ასტრახანს, სადაც ისინი მივიდნენ, „დიდი ღველვის შემ-  
დეგ“; აյ ისინი დააშორეს ერთმანეთს: ბატონიშვილი  
წიყვანეს სმოლენსკში; ამილახორი კი ჩასვეს ვიბორგის  
ციხის საკანში, სადაც მან აუტანელ პირობებში, თითქმის  
მთელი თვრამეტი წელი, გაატარა.

ეკატერინე მეორეს „მეგობარი“. მეფე ერველებ  
გულის მოსავებად, ამილახორი ჩასვეს სამხოლო საკანში;  
მასთან არ უშვებდნენ არავის, არ გამოყავდათ სასეირ-  
ნოდ ბნელ და ნესტიან ოთახიდან; არ აძლევდნენ არაფერ  
საზრდოს გარდა პურისა და წყლისა და ის იტანჯებოდა  
„ცის ლაუკარდისა და მწვანე ველებს დანატრებული“.—

მაგრამ მისი შებრძოლი ბუნება ვერ შეჩინებოდა  
ცოცხლად დასამარებულის მდგომარეობას და როგორილაც  
კიდევ ახერხებდა ციხიდან წერილების გზავნას, რომ-  
ლებშიც ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, ეკამათებოდა ამა

სოფლის ყველა ძლიერთ, დაწყებული თვითონ ეკატე-  
რინე მეორედან და გათავებული მისი ფავორიტი ზუბო-  
ვით.

ერთიანობის  
გადამდინარე

— „თქვენ უკეთელად დიდებული და ძლიერი ხართ,  
— წერს იგი ეკატერინე მეორეს, — მაგრამ თქვენზე ძლიე-  
რი ჩემი ბედია, რომელიც გაიძულებს თქვენ ჩემდა  
საღევნელად. ცხრა წელიწადია რაც მე ვზივარ საშინელ  
საკანში; მთელ ამ დროს განმავლობაში ჩემს თვალებს  
არ უნილავს არც მწვანე ბალახი, არც ხის ფოთლები. მე  
თვითონაც არ ვიცი რისთვის. ამ ცხრა წლიდან ხელი  
უკანასკნელი წელი ისე გავიდა, რომ მე პურისა და  
წყლის გარდა ერთი კაპეიკიც არ მიმიღია ხაზინიდან.  
ჩემთვის სასაზღვროებლად“...

ეს წერილი თავდება ისეთი ენერგიულ მიმართვით,  
რომლის მსგავსიც, საეჭვოა. რომ ვისმესვან მიეღოს ყოვ-  
ლად ძლიერ მეფე ქალს.—

— გეშინოდეს. დედოფალო, საკუთარის გულისა,  
რომ თქვენ მან არ გაგრძნობინოს თუ რა საშინელებაა  
უსამართლოდ დასჯა უკანასკნელი ქვეშევრდომისაც,  
შით უმეტეს საშინელებაა უსამართლოდ წამება თავისა—  
ვე მახლობელი ძმისა, უიმისოდაც საკმაოდ უბედური  
ალექსანდრე ამილახორისა.\*

— რატომ? რატომ მტანჯავენ? რა დანაშაულისა-  
თვის ვარ დამწყვდეული მთელი ათეული წლები ბნელ  
საკანში?

ამ კითხვებით მიმართავს ის ყველას. მაგრამ ყველა  
სდომეს. არსაიდან ხმა, არსაიდან პასუხი; ის ყველას დავი-  
წყვების. ის ზის ბნელსა და ნესტისან საკანში მის შემ-

\* წერილი დათარიღებულია 1792 წ. 17 ოქტომბერი, ივენ წერ  
ილი IV.

დევაც კი, რაც მეფე ერებული შეცვე დოღი ხანია მცველ  
რის და მისი გულის მოვებისათვის უკვე არ არის საჭირო  
რო მისი მოსისხლე მტერის ტანჯვა-წამება. ის პარაგის  
ახსოვს. ან ვისთვის არის საჭირო ძველი დაფულეთილი და  
უკვე ნაგვის გოდორში გადაგდებული ნიღაბი, რომლიც  
თაც ეკატირინე მეორეს მთავრობა ასე მოხერხებულად  
იფარავდა თავის მტაცებლურ ყაჩალურ სახეს...

და უბედური ტუსაღი სიკვდილამდე დარჩა ჰეინქს  
ვონება მიხდილი გმირის მდგომარეობაში, რომელიც  
თავისი მწვავე კითხვებით მიმართავდა ხოლმე ვარსკვლა-  
ვებს, მაგრამ ისინი კითხვების ახსნის ნაცვლათ მხოლოდ  
ჩუმი და ცივი ციმციმით უპასუხებდნენ.

და ეს უაღრესად ტრაგიკული პიროვნება, ეს ნი-  
კიერი მოაზროვნე, საქართველოს ეს პირველი უტოპის-  
ტი დარღვევა სადღაც ცარიზმის აყროლებულ საქანში.  
დაიღუპა „მწვანე ბალახსა და ხის ფოთლებს“ დანატრე-  
ბული.

## VII

ასეთია ჩვენი ავტორის ტრაგიკული ბედი.

ახლა ვავეცნოთ მის ტრაქტატს, რომლის სრული  
სათაური ასეთია: „ბრძენი აღმოსავლეთისა, გინა განზ-  
რახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართებლობისა“.

ტრაქტატი ვაყოფილია ათ თავად. მათში ავტორი  
უხება ყველა იმ საჭირობო სოციალურ საკითხს, რო-  
მელაც წამოიჭრა მე-18 საუკუნის ევროპაში, რომელიც  
არტერესებდა ამ საუკუნის საუკეთესო მწერლებსა და  
პოლვაწეებს. ტრაქტატი დაწერილია დიდი რევოლუ-  
ციის თით-თხუთმეტი წლით ადრე. აქედან აშეარა, რომ  
ჩვენს ავტორის თავისი აზრების გამოსახატავად არ შეეძ-

ეს ეხმარა ის ფორმები, რომელიც გამოიმუშვა  დიდ-  
შა ჩევოლუციამ. ის თანამედროვე საქართველოს სახულებითაც არ იცნობდა იმ  
გადოების შვილი იყო. ის სრულებითაც არ იცნობდა იმ  
ძალებს, რომელებმაც გამოიწვიეს დიდი რევოლუცია. ის  
ხედავდა ერთი მხრით მეფესა და მის უმაღლეს წოდებას,  
მეორეს მხრით მიწის მუშებს, გლეხებს. ავტორი  
სრულდითაც არ ფიქრობს ამ საზოგადოების შემადგენე-  
ლი ელემენტების შეცვლას, ან რომელიმე მათგანის. მეო-  
რეს ხარჯით განვითარებას და მოსპობას. ის, რა თქმა  
უნდა კმაყოფილი არ არის სახელმწიფოში არსებული  
წეს-წყობილებით. ის ფიქრობს სახელმწიფო აპარატის  
განახლებაზე, მაგრამ რევოლუციისა და ბრძოლის გზით  
კი არა; ცდილობს გამონახოს ისეთი წამალი, რომლის  
საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამ არსებულ ელე-  
მენტებზე დაყარებული სახელმწიფო აპარატის საო ე-  
თესოდ ა?ძძრევება, მისი პროგრესი კ. ო წარმართვა.

ამილახორის სახელმწიფოებრივი კონცეპცია, რო-  
გორც ხედავთ, ძველია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის  
სრულიად ახალი მეთოდით უდიდება სახელმწიფო აპარა-  
ტის გაუმჯობესების საკითხს. დავიწყოთ იქიდან, რომ  
მისი მეფე—ეს „ღმერთის მიერ დადგენილი“ არსება კი  
არ არის ხალხზე საბატონოდ. მას ღმერთთან არავითა-  
რი დამოკიდებულება არა აქვს. ამილახორის ღმერთი  
სულაც არ ერევა მიწიერ საკითხებში. აქ მეფეს ირჩევს  
თვითონ ხალხი, თვითონ ხალხი ანდობს მას თავისი ბე-  
დისა და ქვეყნის მართვა-გამგეობის საჭეს. ანდობს მა-  
ნამდე, სანამდე მას ღირსეულად ეჭირება ხელში ეს  
საჭე. მაგრამ თუ მან ვერ გაამართლა ხალხის არჩევანი,  
თუ მან არ მოისურვა ხალხის დავალებათა ასრულება და  
თვითნებობა დაიწყო, ხალხს სრული უფლება აქვს ჩა-

მოაფილის ის ტახტიდან და მის მაგიერად სხვა, უფრო  
ლირისი შეფერ აირჩიოს.

ამილახორის იდეალური მეფე ის არის, რომელიც  
ასე უყურებს თავის ერისადმი მოვალეობას; რომელიც  
თავის სწორადა და ძმებად თვლის იმათ, რომლებმაც  
აღჭურვეს იქ მეფის უფლებით და ეპყრობა მათ ისე,  
როგორც მოყვარული უმფროსი ძმა უმცროს ძმებს და  
საკუთარი სიცოცხლეც კი არ ეზოგება მათი ბედნიერე-  
ბისათვის; რომელიც მუდამ ჟამს იმის ფიქრშია, თუ რო-  
გორ მოუპოვოს მათ ბედნიერება და კეთილდღეობა.

ამილახორი არა ცნობს მეფეს, რომელიც თავს  
თვლის განუსაზღვრელ უფლებებით აღჭურვილად,  
თვითმშეკრძლად, „თვითუფლაზ ერთ, ზედა თავისა“ და  
ერს ისე უყურებს, თითქოს ის გაჩენილი იყოს მისი, მე-  
ფის, დიდებისა და ბედნიერებისათვის.

ვაი იმ ერს, რომელიც თავის ბედს, თავის მსწრაფლ  
მარბენად სიცოცხლეს ანდობს ისეთ მეფეს, რომელიც  
ერის კეთილდღეობის ნაცვლად ეძებს მხოლოდ თავის  
ბედნიერებას და ერს კი ისე უყურებს „ვითარ სამღე-  
რელსა რასმე ნივთსა“.

ჩვენი ავტორის იდეალიდან ძლიერ შორსა დგას  
მეფე, რომელისაც

„დაუციწყია ფიცი თავიხი და ვალი, რომლითაც იგი  
ვალდებულ ექმნა ერსა, რომელსაც აღუთქვა უკანასკნე-  
ლი სიცოცხლის შეწირვა მიხი მშვიდობისა და ბედნიე-  
რებისათვის“.

ამილახორის იდეალიდან ძლიერ შორსა დგას  
ერიც, რომელიც თავისს უიმისოდაც ხანმოკლე სიცოცხ-  
ლეს ანდობს ისეთ კაცს, რომლის შესახებ მან არ იცის  
არაფერი, არც ზნე, არც ჩვეულება, არც მიღრეკილება

შისი, არავითარ ყურადღებას არ აქციებს მის პირად ლიტ-  
სებებს და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ცნობილია მარტინ  
შვილია, ირჩევს მას მეფედ და ანდობს თავის ბედ-  
ილბალს.



ამრიგად, ჩვენი ავტორი წინამდებეგის მეფის უფ-  
ლებათა მემკვიდრეობით გადაცემისა. ამა თუ იმ კაცის  
მამა-პაპამ შეიძლება მართლაც დაიმსახურა ერთს ყუ-  
რადღება და ნდობა. ის მართლაც ლირსეულად დააფა-  
სა ერთა და ოღვიურვა იგი მეფის გვირგვინით. მაგრამ  
აქ რა შეუძია მეფის შვილები? ავტორი ცნობს მამა-პა-  
პათა ქვეყნის წინაშე დამსახურებას, მაგრამ ის პატივს  
სცემს მხოლოდ ადამიანის პირად ლირსებას; მან თავი-  
სი საკუთარი ლირსებით უნდა დაიმსახუროს სახელი  
„მამულთ მამობისა“ და არა მემკვიდრეობით. მეფე, რო-  
მელსაც სხვა გზით მიუღია სამეფო ტახტი მტერია ერი-  
სა; მას არ შეიძლება მიენდოს ქვეყნის ბედი. „ესე გვარ-  
თა მწყემსთა არა თუ კაცთა, პირუტყვთაცა მწყემსად,  
ღმერთო, შევუზადდები“, — დაასკვნის ავტორი  
თავის აზრებს ისეთ მეფეზე, რომელიც მემკვიდრეობით  
იღებს სამეფო გვირგვინს და არა ხალხის არჩევით.

შემდეგ ავტორი გვასწავლის თუ როგორი განწყო-  
ბილება უნდა არსებობდეს „მთავართა სამეფოთასა“ შო-  
რის, და სწორედ აქედან იწყება სოციალური პარ-  
მონიის აპოლოგია. ის გვასწავლის საზოგადოებ-  
რივ კლასებს შორის სრული თანხმობის აუკუ-  
ლებლობას და თუმცა სხვა სიტყვებით, მაგრამ მაინც  
სარგებლობს ჩვენი კარგი ნაცნობი მენენი აგრიპას ცნო-  
ბილი არგუმენტებით, რომლითაც ის სარგებლობდა

აფანესი გული და სახელმწიფოსავან განყენებული ხალხის  
გულის მოსაგებად: სახელმწიფო ორგანიზმი ჰგავს აღნიშვნის  
მიანის სხეულს, რომლის ერთი რომელიმე ნაწილის დაა-  
ვადება და მოშლა აავადებს და შლის მთელ ორგანიზმს.

ალექსანდრე ამილახორის აზრითაც ყველა არსებუ-  
ლი წოდებები შეადგენებს სახელმწიფოს მთლიანი ტანის  
ცალცალკე სხეულებს; ყველა მათ შორის უნდა არსე-  
ბობდეს სრული თანხმობა; ყველა ერთგულად უნდა ას-  
რულებდეს თავის მოვალეობას: თავმა იფიქროს და გა-  
ნაგოს, ფეხებმა იარონ, ხელებმა იმუშაონ და მთელ  
სხეულს საზრდო მიაწოდონ; კუჭმა კი ეს საზრდო გადა-  
ხარშოს, სისხლად აქციოს და გულს მიაწოდოს, უკანასკ-  
ნელმა კი ეს სისხლი დასწმინდოს და ყველა სხეულებს  
გაუნაწილოს. თუ ეს ჰარმონია დაირღვა, თუ სხეულები-  
დან რომელიმემ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, თუ  
ერთი სხეული მეორეს არ დაეხმარა, აღამიანი კვდება.

ასეთია სახელმწიფო ორგანიზმიც. „მეფე ბრძენი,  
შექმნილი თავად ერისა თვისისა, თანამდებ არს შეკ-  
რებათ თვითეულთა ასოთა შესაფერად თვისთა, რომელ-  
თა ერთბაშად კეთილ დამცველ იყვნენ ერისა თვისისა“...



„სამღვდელო წესთათვის“ მიძღვნილ თავში ავტორი  
გვივლინება ვოლტერის ნამდვილ მიმდევრად, მის ერთ-  
გულ მოწაფედ, მისი აზრების მქადაგებლად. ეს საერ  
თოდ მძიმე ენით მოსუბრე მწერალი, სამღვდელოება  
და ექლესიაზე მსჯელობის დროს აქ იქ ჰიუმორის  
შიმართავს ხოლმე.

სასულიერო კანონი, — გვეუბნება ავტორი, — ი  
თავიდან კეთილ შიზნებს ისახავდა, ის გვპირისებოდა

პორთუგებასთან ბრძოლის კეთილის გამამარჯვებლად, მაგრამ დიდი ხანია, რაც ეკლესია ნაცელად კეთილისა და მშვიდობისა მთელ ქვეყანაზე გამოიდის ბორიტებისა და ძალ-მომრეობის მცველად და ქომაგად. არ ვიცი ვის ბაძავს ამ შემთხვევაში ეკლესია: ქრისტეს თუ ანტი-ქრისტეს. მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ქრისტე არავის არ ექადოდა ხმლითა და ძალმომრეობით; მისი ამ ქვეყნიური მოადგილენი კი ხშირად მიმართავენ ხოლმე ხმალს. ქრისტე გვიქადაგებდა მოყვასის სკუპარულს; ესენი კა ერთმანეთს შეაჩვენებენ. ქრისტე გვასწავლიდა თავ-მდაბლობას, უბრალოებას; ესენი კი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ხელში ჩაიგდონ სახელმწიფო ძალა-უფლება. ქრისტე მთელი მსოფლიოს ერთ სამწყემსოდ გადაქცევას ცდილობდა, მისმა მოადგილეებმა კი ეს ვაკრომწყემსებული ქვეყანა გაამრავლმწყემსეს.

ჩვენი ავტორი არავითარ კეთილს არ მოელის ეკლესიისაგან, ვინაიდან ერთი ეკლესია (სარწმუნოება) ძეორეს მტრობს და შეაჩვენებს. სარწმუნოება უფრო ერთგულად ემსახურება ბორიტებას, ვიღრე ქრისტეს მიერ ჭადაგებულ მშვიდობას და სათნოებას. ავტორი მოითხოვს სჯულის მესვეურთავან; ნუ დევნიან, ნუ ავიწროებენ სხვა სარწმუნოების მაღიარებლებს; ყველას მისცენ ნება იწამონ და ირწმუნონ ისე, როგორც მათ სურთ. „ნებას ვცემდეთ რჯულისაებრ თავისისა აღსა-ჯინა, ვინათვან უფლება სულისა მათისა არ არის ჩვენ-და მოცემულ, და არცა ვეპასუხებით მათშინა ლმერისა და არცა ვსცოდებთ წინაშე მათისა სიწმინდისა“.



„ლექსანდრე ამილახორს ქვეყანა უერ წარმოუდგე-ათა ვაჭრობა ალებ-მიცემისა და ვაჭრების გარეშე. ის

პირდაპირ გამოდის ვაჭრობისა და ვაჭრების აპოლონი  
 ტად და ამ მხრივ სრულ წინააღმდეგობას წირმოადგენს საქართველოს  
 ბევრი მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა და მოღვა-  
 წეთა, რომლებსაც ქართველი კაცისათვის ვაჭრობა-  
 ოლებ-მიცემის საქმე დამამდაბლებელ ხელობად მიაჩნდათ  
 და, უთმობდნენ რა ასეთი ადამიანის ღირსების „დამაშ-  
 რაბლებელ“ ხელობას სომხებს, წამდაუწუმ იმეორებდნენ:

„ქართველს შეურცვეს დავთარი,  
 სომხებსა ხმლისა წვერია“!

არაფერი და არავინ ისე არ ამდიდრებს ქვეყანას.  
 როგორც გამრავლება ვაჭრებისა და ვავრცელება ვაჭრო-  
 ბა-ალებ-მიცემობისა, — გვეუბნება ავტორი. ვაჭრები  
 მოივლიან მთელ ქვეყანას და მთაქვთ სახელმწიფოსა-  
 თვის ყოველივე სიმღიდორე. ამიტომ ყველა ვალდებუ-  
 ლია ხელი შეუწყოს სახელმწიფოში ვაჭრობის გაძლიე-  
 რებას და ვაჭრების გამრავლებას. ნურვინ ნუ შეურაც-  
 ყოვს ვაჭარის, რაღგანაც ის არის „სიმღიდორე ჯარისა“,  
 „შემმოსველი ერისა“ და „დიდება მეფისა“. ვაჭარი ვავს  
 იმ გონიერ ფუტკარს, რომელიც ყოველგან აგროვებს  
 სიტკმოებას და ამზადებს თაფლს. და თუ ვაჭარი ჩვენ  
 ხანდისხან კიდეც გვაწყენინებს, ჩვენ მას უნდა მოვეპყ-  
 რათ ისეთივე მოთმინებით, როგორც ეპყრობა სკოს  
 პატრონი ფუტკარს, რომელიც მას ხშირად ნესტრავს  
 ხოლმე.

ჩვენი ავტორი მოითხოვს ვაჭრებისა და ვაჭრობის  
 სრულ თავისუფლებას. ამ საგანზე მისი აზრი შეიძლება  
 ვამოეთქვათ იმ ფორმულით, რომელიც უფრო გვიან  
 გურნებ ჩამოაყალიბა (წობილ laissez faire, laissez  
 passé-ში).

\* \* \*

აღ. ამილახორი გამოდის მიწის მუშების უდიდეს  
 დამცველად. ის ვერ შერიგებია იმას, რომ მიწის მუ-  
 შები ხარისხით ითვლებიან ყველა სხვა წოდებებზე დაბ-  
 ლა და იმავე დროს მათი შრომა უფრო საჭირო და სასარ-  
 გებლოა ყველა სხვების შრომაზე. შეიძლება ადამიანმა  
 მოითმინოს ყოველგვარი გაჭირვება და ნაკლოვანება, მაგ-  
 რამ არ შეიძლება მოითმინოს უცურობა, რომელსაც იძლე-  
 ვა მიწის მუშა, — გვეუპნება ავტორი და გადადის  
 თავის ხაყვარელ საზოგადოებრივი ჰარმონიის იღეაზე.—

ყველასათვის ცხადია, რომ მიწის მუშა უსაჭიროები  
 სხეულია სახელმწიფო ორგანიზმისა, რომ სახელმწიფოს  
 არც ერთ შემადგენელ ნაწილს არ შეუძლია უიმისოდ  
 ასებობა, ვინაიდან ყველა ეს სხეულები ერთი მეორეზე  
 არიან დამოკიდებული, ყველა ერთნაირად საჭიროა  
 ერთმანეთისათვის. მათში ყველა თანასწორია. არც  
 ერთ მათგანს არ შეუძლია დაიკვეთოს: მე სხვას ვჯობი-  
 ვარო. ჩვენ ყველანი ერთი მეორეს დასახმარებლად ვიშ-  
 ვებით, ერთიმეორისაგან გამოვიზრდებით. ჩვენ ყველას  
 ბოლოც ერთი გვაქვს: ყველანი ერთნაირათ გავალთ ამა  
 სოფლილან; ვკვდებით ერთნაირად და თანასწორად; არც  
 ერთი ჩვენგანი არ სჯობს მეორეს, არც ერთი ჩვენგანი  
 არ არის მეორეზე უარესი ან უკეთესი.—

\*

აქვთ დოკი მანძილი ას არის თუ არა ყველა  
 საზოგადოებრივი კლასების თანასწორობის გამოცადე-  
 ბამდე, გლეხების ბატონყმობის უღელიდან განთავისუფ-  
 ლებამდე მარც, მაგრამ ჩვენი ავტორი ამას გაუტბის.

რატომ? იმიტომ, რომ ეს დაარღვევს მის მიერ წარმოდგენილ იდეალურ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს აუცილებელი ხაჭიროა, რომ მისი ყველა ნაწილები დარჩენ თავთავის ადგილზე, ერთგულად აასრულონ თავიანთი მოვალეობა. თავადი ემსახუროს ქვეყანას ხმლით, კაჭარი სხვადასხვა საჭონლის მოზიდვით, გლეხი პურით; მეფემ ერთგულად აასრულოს როლი თავისა, რომელიც განავებს მთელ სახელმწიფო ორგანიზმს.—

როგორ შეიძლება ხელებმა ფეხების როლი აასრულონ, ფეხებმა კიდევ თავის მავიერობა იკისრონ. ეს ხომ მოსპობდა მთელი სახელმწიფოს სხეულს. არა, ყველა ჩვენვანმა უნდა აასრულოს მხოლოდ თავისი მოვალეობა. ნეტარ არს ერი, რომელიც გრძნობს ყველა ამას, რომლის გულშიცა დაიბუდებს ასეთი აზრი და შეხედულება.—



ილექსანდრე ამილახორი არ ტოვებს უყურადღებოდ კანონმდებლობასაც. კანონმდებლელი ანგარიშს უნდა უწევდეს: 1. მდგომარეობას უამისას, 2. ჩვეულებასა და ხეებს ერისას, რომლისთვისაც ეს კანონები იწერება და 3. ერის ბუნებით მიღრეკილებას. ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი იდეალური კანონმდებლობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო ან საზიანო იყოს ყველა ერებისათვის. ამ სამ დასახელებულ პირობათა დაუცველად კანონი სარგებლობის ნაცვლად ვნებას მოუტანს ხალხს, რადგანაც ის ეწინააღმდეგება მის სულიერ მიღრეკილებას და -შეზღუდავს მის თავისუფლებას. ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი კლიმატური ან სხვა პირობები, ზრდეთვე ყოველ ხალხს აქვს თავისი საკუთარი ზნე-ჩვე-

ულება. ამიტომ არ შეიძლება ერთი რომელიმე **სახელმწიფო კულტურული მუზეუმი** გადავნერგოთ მეორე სახელმწიფოში.—

ავტორი ეხება სისხლის სამართლის კანონებსაც და ენერგიულად გამოდის აღამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ის თანახმა წავართვათ დამნაშავეს ყოველითერი, მაგრამ არა ის. რის მიცემაც მისთვის ჩვენ არ შეეგვიძლია. „აღამიანის მოკვლა შეუძლია ყველას, მისი გაცოცხლება კი არავის“. სასჯელის უმაღლეს ხარისხათ ჩვენი ავტორი თვლის დამნაშავის სამშობლოდან გაძევებას.



ჩვენი ავტორი გამოდის ხალხის სწავლა-განათლების უდიდეს აპოლოგეტათ. განსაკუთრებით ის მოითხოვს, რომ ის პირნი, რომლებიც დადგენილი არიან ხალხის ხელმძღვანელებად, იყვნენ განათლებულნი მეცნიერების სხივით, რაღვან „ბრძან არ შეუძლია იყოს ბრძან წინამძღოლი“.



ხმალი, სამხედრო ძალა, ჩვენი ავტორისათვის იმდენად არის სასურველი, რამდენად ის მიმართულია ადამიანის სიკოცხლის დასაცველად, „არა თუ ოდენ უბრალოდ სისხლის ღვრად ერთისაოდენ სახელისათვის“. მაგრამ ის ხედავს, რომ ხმალს მეტი ბოროტება მოაქვს ადამიანისათვის ვიდრე სიკეთე. „შემოღებითგან მისა, ვგორებ, უმეტესი რიცხვი მოწყლულ არის მით, ვიდრე ბუნებით სიჭურველისა სიკვდილისა მიერ. და ამისათვის, არა თუ შემომღებელი მისი მხმარებელითურთ ვაჭო, თუ

ჩელნიცა მისისვე განძრახვით ჩვენდა მოცემულ იყოს  
ლმერთისაგან, განძრახვასაცა მისა შევუზარდები  
უძვირეს კბილთა მხეცთასა შევრაცხ მას, ვიდრე ურჩე-  
ულესად ასოთ კაცთათვის. და ესრედ მხმარებელი მისი  
არა უსახელოვანეს არს მომხმარებელთა დარიშხანისა".  
ჩვენი ავტორი განცვითრებას გამოსთვამს იმის შესა-  
ხებ, რომ ის ვინც დარიშხანით წამლავს აღამიანს ბო-  
როტად არის მიჩნეული და ის პირები კი, რომლებიც  
გაცილებით მეტ ხალხს ხოცვენ საომარი იარაღებით,  
ხალხის გმირებად არიან მიჩნეული და სარგებლობენ  
უდიდესი პატივის ცემით. ხმალი უნდა ემსახურებოდეს  
მშვიდობიანობის საქმეს და მხოლოდ მაშინ იქნება მა-  
ტარებელი ღირსი პატივისცემის და სიყვარულისა.  
„უკეთუმცა ჭეშმარიტისა სახელოვნებისა მეძიებელ  
არს ვინმე, რაი არს უსახელოვანეს მშვიდობისა?" —  
გვეკითხება ავტორი.



დასასრულ ამილახორი ურჩევს ყველას გონების თვა-  
ლით განჭვრიტონ ამ ქვეყნად თავისი დანიშნულება;  
ჩაიხდონ თავისი საკუთარი გონების სარკეში, დაუკვირ-  
დნენ მას „გულხმიერად“ და იქ დაინახავენ, რომ აღამია-  
ნის მთელი სიცოცხლე შესდგება სამი მთავარი ეტაპისა-  
გან: ჭირითა და ვაებით შობა, შრომით ცხოვრება და  
სულ მაღა არარად ჭევა, სიკვდილი. მაგრამ თუ ჩვე-  
ნი გონების სარკე დაბინდულია ჩვენი თავმოყვარეობის  
ორთქლით, მაშინ ჩვენი გონება აღვება შემცდარ გზას  
და შორდება ჭეშმარიტებას; მაშინ ჩვენ ყოველიფერი  
ვვეჩვენება არა ისე, როგორც ის სინამდვილეშია, არა-  
მედ სულ სხვანაირად: ჩვენი ამ ქვეყნად მოსვლა მოგვი-

ჩვენება არა ტანჯვად, არამედ შვებად; წუთიერო <sup>ჩვენი</sup>  
სიცოცხლე—არა შრომად, არამედ განცხრომად; <sup>ჩვენი</sup>  
ჩქარ მორბენალი სიცოცხლის დღენი—დაუსრულებლად.

თუ ჩვენ ასეთი შემცდარი აზრი არ გვიქნება ამ  
ქვეყნად ჩვენს დანიშნულებაზე, თუ ჩვენ ყველანი შე-  
ვიგნებთ ჩვენს მოვალეობას ერთმანეთისა და ქვეყნი-  
სადმი, მაშინ ყველანი ბედნიერი ვიქნებით. ამიტომ ავ-  
ტორი შემდეგ რჩევას იძლევა: მეფემ არასოდეს არ უნ-  
და გადალახოს ზომიერების საზღვარი; მთავარნი და  
თავადნი ნუ მოისურვებენ თავისი ხარისხით თავის თა-  
ვის განდიდებას; მხედარნი ნუ იქნებენ თავს თავისი  
ხმლის სიმახვილით; ვაჭარი ნუ გამოუდგება გადამეტე-  
ბული პირადი სარგებლობის ძებნას; მიწის მუშამ იმუშა-  
ოს დაუზარებლად და თავდაუზოგველად.—

### VIII

დაახლოებით ასეთია „აღმოსავლეთის ბრძნის“  
შინაარსი აქ, როგორც ხედავთ, თითქმის ყველაფერია:  
ხალხისაღმი მეფის არჩევის უფლების მინიჭება, მეფის  
უფლების შეზღუდვა ხალხის ინიციატივის სასარგებ-  
ლოდ, უმაღლესი წოდებისა და სამღვდელოების კრი-  
ტიკა, მიწის მუშისა და ხალხის ძირი ფენების მის  
მაღალ ფენებთან გასწორების აუცილებლობა, ვაჭრო-  
ბისა და ვაჭრების ინტერესების დაცვის საჭიროება. მაგ-  
რამ აქ თავი და თავი მხოლოდ ერთი რამ არის და  
ყველაფერი ემსახურება ამ ერთ რამეს.

ეს ერთი რამე მდგომარეობს საზოგადოებრივი ჰარ-  
ბონის დამყარებასა და განმტკიცებაში. ავტორის აზ-  
რით, როგორც დავინახეთ, სახელმწიფო ერთი მთლიანი  
ორგანიზმია; იქ არ არსებობს წოდებრივი თუ კლასობ-

հոցո օնքրերեսեծուն; այ պատճառ տաճախորհա; ~~ՀԱՅԱՍՏԱՆԻ~~  
պացելու վարդեծ դա կլասու վարմուածցենս յըրտու ~~ՀԱՅԱՍՏԱՆԻ~~  
Շիշունու նախուն: ամ մտելու սննդա յմսաեղբարդու պայ-  
լա յս նախունակու: յս մտելու սաելմթուու, յս մտելու  
յրու յըրտագ ալեթյուլու, հոմլուն սատազեմու գագս յըրուն  
Յոյշ նքոնիու ալքյուրցունու, մուս Յոյշ արհեցու Յոյշ,  
հոմյուլուց, հոցունու տապու, այրուունցիւ յըրունուլու որ-  
շանունչմուն պայլա Շեմագցենելու նախուն:



Իցենս ազգունս ար ակմայութունուն տաճամելրուց  
սաելմթուու Եյս-Եյոնունու սրա տայ մյ-18 սայցունուն  
սայսարտացելումու, ահամից պացելուան. մաս սթամս, հոմ  
տաճամելրուց սաելմթուու-Եյոնունու սննդա գայտմուն  
աջանու աեալուն, յուզրու ցոնույշ դա յանոնույշ սայցացել-  
նու գամկարցեցու սաելմթուուուն. մացրամ ամուսաւուն ու Նա-  
պունու արա տցլուն ծրմունուս; ու միւրու կլաստա ծրմո-  
ւունուս, միւրու պացելուարու ~~Կապոլլուցուրու~~. մետո-  
ւունուս. ու յայքս პոլությունու սնյուլունուս մորհինուն  
մշցունոնիուն սամշալունուն. ռա սապունու ծրմունու? ռացու  
ցունունունու, ռացու գայլուարուտ օգամունուն սուսելու?  
Իցեն եռմ պայլանու մեյքու ցարու. Իցեն պայլանու եռմ Շեմա-  
գցենելու նախունու ցարու ոմ մտլունու որշանունուս,  
հոմյուլունու ցիրտեծ սաելմթուու դա հոմյուլունու ար  
Շեյսկանու օարսեծուն պայլա մուս Շեմագցենելու նախուն-  
նուս ցայսիարեծլուն.

Օմուկում հունու ազգունու ցամունուս սահոցալուցեծրուց  
Քահունունուս մյալացցեծլուն դա հուն ցեցացու, հոմ ալյա-

## IX

საიდან წარმოიშვა ასეთი იდეოლოგია? ჩვენ ვი-  
ცით, რომ XVIII საუკუნის საქართველოში კლასთა  
შორის ბრძოლა დუღდა და გადმოდიოდა. ჩვენ აუარე-  
ბელი მასალები გვაქვს ხელში იმის დასამტკიცებლად,  
რომ, როცა ხალხი ან, ამილახორის სიტყვებით რომა  
ვთქვათ, ქართველი მიწის მუშები გარეშე მტრებთან  
ბრძოლიდან მოიცილიდნენ, მთელი თავისი ძალონით  
აწარმოებდნენ ბრძოლას თავისი მებატონების წინააღ-  
მდეგ, ცილობდნენ ბატონ-ყმობის უღელიდან თავის-  
განთავისუფლებას.—

მაშ საიდან მოიტანა XVIII საუკუნის ნიჭიერმა  
მოაზროვნებ საზოგადოებრივი ჰარმონიის ასე გაღმერ-  
თება? ნუ თუ საფიქრებელია, რომ ამ იდეოლოგიას  
არავითარი ნიადაგი არ მოეპოებოდა საქართველოს  
სინამდვილეში და ალექსანდრე ამილახორმა გადმოგვცა  
მხოლოდ ის, რაც მან სადღაც წიგნებში ამოიკითხა?—

ჩვენთვის ეს აზრი ყოვლად მიუღებელია; ის სრუ-  
ლებით არ შეეფერება სინამდვილეს. ვიმეორებთ, რომ  
ჩვენი ავტორის თანამედროვე საქართველოში კლასთა  
შორის ბრძოლა გაჩაღებული იყო, მაგრამ იმავე დროს  
იყო ნიადაგი კლასობრივი ჰარმონიის მქადაგებლისათვი-  
საც. ჩვენი ავტორი არც ისე უნიადაგოა, როგორც ეს  
პირველ შეხედვით გვეჩვენება. კლასთა შორის ჰარმო-  
ნიის იდეას ხშირად უკარნახებდნენ მას მისი დროის  
საქართველოს პოლიტიკური პირობები.

როგორი იყო ეს პირობები?

შე-18 საუკუნის პირველ ნახევრის საქართველო,  
მონტესკიეს შედარება რომ ვიხმაროთ, წარმოადგენდა  
ქარვასლას, რომელშიც ხან ერთი კარიღან შემოღილა  
მტერი, ხან მეორედან.

აბა ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მე-18 საუკუ-  
ნის საქართველოში, როცა ოვით ხალხის ფიზიკურ არსე-  
ბობას მტერი სიკვდილით ემუქრებოდა, როცა ხალხს ხში-  
რად უდგა წინ ყოფნა-არყოფნის საშინელი საკითხი,  
კლასობრივი ჰარმონიის დამცველად გამოსულიყო მწე-  
რალი, მოაზროვნე, პოლიტიკური მოღვაწე.—განსა-  
კუთრებით **XVIII** საუკუნის პირველ ათეული წლე-  
ბიდან, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც რუსეთის  
იმპერატორმა პეტრე პირველმა ირანისაკენ გამოი-  
ლაშქრა და ქართლის მეფე ვახტანგ VI გადაიბირა,  
საშინელი ხანა დაუდგა საქართველოს. ამ დროიდან ირა-  
ნი, თურქეთი და დაღესტანი, რომელსაც სიკვდილით  
ემუქრებოდა სამხედრო ფეოდალური რუსეთის ექსპან-  
სია, მთელის თავისი ძალ-ლონით დაირაზმენ რუსეთისა  
და მისი მომხრე საქართველოს წინააღმდეგ. საქართვე-  
ლოში ისინი აწარმოებდნენ პირდაპირ ხალხის ფიზიკუ-  
რად მოსპობის პოლიტიკას. ისინი არ ინდობდნენ ამ ხალ-  
ხის არც ერთ ნაწილს, არც ერთი წოდებისა და კლასის  
წარმომადგენლებს; რა თქმა უნდა აქ გამონაკლისს ჟეად-  
გენდნენ ის ფეოდალები, რომლებიც ირანისა და თურქე-  
თის აგენტები იყვნენ და მათ ეხმარებოდნენ ქართველი  
ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ მოვარდ-  
ნილი მტერი ერთნაირის სიმკაცრით ანადგურებს, როგორც  
გლეხებს, ისე მაღალი წოდების წარმომადგენლებს.  
ჩვენ ვიცით ასეთი მაგალითები: თურქების პატარა ჩი-  
ნოვნიკები, რომლებსაც ცხენების მირთმევა ცოტათი

დაუგვიანეს, უნაგირით კაზმავენ ქართლის ორ ცნობილ  
თავადს: გიორგი ქართველიშვილსა და მანუჩარ  
ყაფლანიშვილს, უდებენ მათ პირში ლაგაშს, ~~ჯდებიან~~  
ზურგზე და დეზების ჩხვლეტითა და მათრახის ტკაცუ-  
ნით მანამდე აჭერებენ მათ, სანამ ეს უბედურები ძალ-  
ლონე მიხდილი ორ დაეცემიან თავისი ჯალათების ქვეშ.  
(ქართლის ცხოვრება, 89).

რად ლირს თუ და მარტო მი არბაბის მოგონება,  
რომელიც მრისხანე ნადირ-შაჰი 1747 წელს შეაწერა  
ქართლსა და კახეთის სამეფოებს. ეს თითქმის თრი მი-  
ლიონი გერცხლის ფული უნდა გადაეხადა ქართლ-კახე-  
თის ყველა წოდებას, დაწყებული ულარიბეს გლეხი-  
ლან და გათავებული დიდი ფეოდალებით და თვითონ  
მეფეებით, თეიმურაზ მეორეს შეაწერეს გადასახადად  
200 ათასი მანეთი. ხოლო ერეკლე მეორეს 150 ათასი  
განეთი...

ასეთი მაგალითები აუარებელი იცის საქართველოს  
ისტორიაში, ყოველ ამას არ შეიძლება არ ჰქონოდა თა-  
ვისი გავლენა. თავისთავად ცხადია, რომ ეს გარემოება  
დროებით მაინც შეასუ ტებდა კლასობრივი ბრძოლას  
სიმკაცრეს და წარმოშობდა კლასობრივი ჰარმონიის  
იღუზიებს.

აი ის ნიაღავი, რომელზეც დაიბადა და აღიზარდა  
ალექსანდრე ამილახორი, აი ის ლაბორატორია, რო-  
მელშიაც შეიქმნა „ბრძნი აღმოსავლეთისა“, — რო-  
მელშიც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა კლასობრივი  
ჰარმონიის ფილოსოფია. ეს სრულიად გასაგებია, რაკი  
საზოგადოების ყველა კლასები ერთნაირად იტანჯებიან  
მტრების მიერ, რა კი იმათ შეერთებულის ძალით უნდა

დაიცვან საერთო სამშობლო, მათ შორის არ არსებული /  
და არც უნდა არსებობდეს რაიმე განსხვავება. ამიტომ  
ისინი თანამშორები არიან გარეშე მტრების წინაშე,  
მათთან ბრძოლაში. აშენან სრულიად ბუნებრივი იყო  
ასეთი დასკვნა: გაუმარჯოს სოციალურ ჰარმონიას, გაუ-  
მარჯოს antant cordial-ს!

## X

აქ თავისთავად იბადება საკითხი, რომელზეც გვინ-  
და შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ჩვენ უკვე გავეცანით ალექსანდრე ამილახორს,  
როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს და როგორც მოაზ-  
როვნეს. ჩვენ ვიცით, რომ ის მეფი ერეკლეს შეურიგე-  
ბელი მტერია. ვიცნობთ მის სოციალურ იდეალებს,  
რომელებიც სრულიად ეწინააღმდეგებიან ერეკლეს იდეა-  
ლებს. იქნება გარეშეა, რომ ამილახორის სოციალური  
იდეალები კიდევ უფრო ეწინააღმდეგებიან სოციალურ  
იდეალებს ალექსანდრე ბატონიშვილისას, რომლის გა-  
მეფებისათვისაც ის ასე თავგამოდებით იბრძოდა.

კითხვა იბადება: რატომ იბრძოდა ასე თავგამოდე-  
ბით ეს მოუსვენარი აღამიანი? ნუ თუ ვიღაც ბატონი-  
შვილის ინტერესებისათვის. ნუ თუ მარტო იმიტომ,  
რომ ტახტიდან ჩამოეგდო ერთი ტირანი და მის აღ-  
ვილზე დაესვა შეორე, პირველზე კიდევ უარესი ტირანი.  
რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ერეკლეზე ყოველ-  
მხრით უარესი. იყო, არ შეიძლებოდა არ ცოდნოდა  
ალექსანდრე ამილახორს. მარტო ის, რომ ალექ-  
სანდრე ბატონიშვილი პეტერბურგში ეკუთვნო-  
და იმ ოფიცერთა წრეს, რომელიც გარს ეხვია რუ-

სეთის იმპერატორს პეტრე II მესამეს არ ახასიათებს კუნძული გი მხრით ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენდენტს. მაგრა ამავე დროიდან მარცხნილი დროიდან მარცხნილი იყო ფიზიკურად და წაართვა მისი დიდი საცხოვრებელი! მაგრამ ეს მოსაზრება მიუღებლად მიგვაჩნია „აღმოსავლეთის ბრძენი“-ს ავტორისათვის. ჩვენი ავტორი მაღალი იდეებით გამსჭვალული ჰუმანისტია და არა ისეთი ადამიანი, რომლსაც ამოძრავებს მხოლოდ შურისძიების გრძნობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „აღმოსავლეთის ბრძენი“-ს ავტორს ამოძრავებდა უფრო დიდი მიზანი, ვიდრე უჩეკლესადმი პირადი მტრობის გრძნობა. აქ არც ის მოსაზრება არის მისაღები მხედველობაში, რომ ვითომ ალექსანდრე ამილახორი იცავდა ქართლის ბაგრატიონების დინასტიის ინტერესებს კახელ ბაგრატიონების დინასტიის წინააღმდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალექსანდრე ამილახორი მიზნად ისახავდა არა მარტო ერეკლეს დამარცხებას და მის მაგიერად ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ალექსანდრე ბატონიშვილის თავისტან, არამედ ამ სამეფოში თავისი „აღმოსავლეთის ბრძენის“ იდეალების განხორციელებასაც. მას სრული უფლება ჰქონდა საამისო იმედები დაემყარებია ალექსანდრე ბატონიშვილზე, რომელიც ასე დიდად იყო მისგან დავალებული.

ჩვენ არ ვიკით თუ როგორი იყო სოციალური იდეალები იმ ქართველ ემიგრანტებისა, რომლებიც მომწყვდეული იყვნენ რუსეთის მთავრობის მოჯადოებულ წრეში და ყოველის ღონით ამღვრევდნენ საქართველოს სამეფოს ისედაც ამღვრეულ წყალს. აღვილად შეიძლება

დავიჯეროთ, რომ მათ არავითარი იდეალები არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რასაც მათ ავალებდა მათთვის „სამოქმედო მოყვარე“ რუსეთის მთავრობა. მაგრამ იგივე არ შევ-  
ვიძლია ვთქვათ ალექსანდრე ამილახორზე, რომლის-  
თვისაც მისი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ და მისი პოლიტი-  
კური იდეალები სულაც არ წარმოადგენდნენ რაღაც გან-  
ყენებულ ცნებას. სრულიად პირიქით, ამ ტრაქტატში  
გამოთქმული იდეები შეადგენდნენ მის სოციალურ  
credo-ს, მისი სარწმუნოების სიმბოლოს, რომლის გან-  
ხორციელებასაც მან შესწირა მოელი თავისი სიცოცხლე-

ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ალექსანდრე ამილახორი, კიდეც რომ მორეოდა მეფე ერეკლეს და  
მის ადგილას ალექსანდრე ბატონიშვილი დაესვა, შეს-  
ძლებდა თავის სახელმწიფო იდეალების თუნდაც ნაწი-  
ლობრივ განხორციელებას. თვითონ მის მიერ ასე დი-  
დად ამაგდებული ბატონიშვილი, როცა ის გაიგებდა,  
რომ ეს მისი თანამებრძოლი ხალხის პოლიტიკურ  
უფლებებზე ზრუნავს და მეფის არჩევას უქადაგებს,  
პირველი გასწირავდა მას სასიკვდილოდ. მაგრამ ამილა-  
ხორი ასე არ ჰყოიქრობდა. ის ტიპიური უტოპისტია  
და უტოპია ხომ მიტომ არის უტოპია, რომ მას არავითარი-  
ნიადაგი არ მოეპოება ფეხთ ჭვეშ, თუნდაც მის ავტორს-  
ის რეალობად ჰქონდეს წარმოადგენილი. ჩვენ ვფიქრობთ,  
რომ ჩვენი ავტორის თანამებრძოლი ალექსანდრე ბატო-  
ნიშვილის ხელში საქართველო გაცილებით უფრო ცუდ  
პირობებში იქნებოდა, ვიდრე მეფე ერეკლეს ხელში  
იყო, რადგანაც ცნობილია, რომ ალ ბატონიშვილი მოკ-  
ლებულ იყო ყველა იმ ლიტსებებს, რომლებითაც უხვად  
იყო დაჯილდოებული მეფე ერეკლე. მარტო ერეკლეს  
დიდი სამხედრო ნიჭი რად ლირდა?

ჩვენ გვგონია, რომ ალექსანდრე ამილახორი პირ-  
დაპირ შეპყრობილი იყო იმ იდეებით, რომლებიც მან  
დაგვიხატა. თავის ტრაქტატში. ამას ჩვენ გვიმტკიცებს  
შემდეგი ფაქტიც. ჩვენმა ავტორმა, რა კი დაინახა, რომ  
რუსეთის დიპლომატიამ უკვე დაითანხმა ერეკლე რუსეთ-  
თან ხელშეკრულების დადებაზე და ქართლ-კახეთის  
სამეფო ტახტის პრეტენდენტისა და პირადათ მისი საქმე  
საუკუნოდ წაგებულია, ის გულის ტკივილით ტოვებს  
იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს სტუმართ მოყვარე  
სახლს და მადლობის ნიშნად უძღვნის მას თავისი ტრაქ-  
ტატის ხელნაწერს შემდეგი წარწერით:

„უღლონობითა ჩემითა სხვა ვერაისა მპოვნელი შესა-  
ფერსა მეფობისა თქვენისა ხაძღვნოთა, მოგიძლვნი მცი-  
რედსა ამას ნაშრომსა ჩემსა განძრახვასა აღმოსავლეთის  
ბრძნისა. გიოდე კეთილად და შერთე სიქველეთა შენსა  
განძრახვაცა აღმოსავლეთისა ბრძნისა მის“.

აქედან ცხადია, რომ ალექსანდრე ამილახორი, რო-  
გა მან სამუდამოდ დაკარგა თავისი სოციალური იდეა-  
ლების თავისივე ხელით განხორციელების იმედი, ცდი-  
ლობს შეაპაროს იგი მეფე სოლომონს და ურჩევს მას  
განახორციელოს იგი თავის სამეფოში, ესე იგი წარმარ-  
თოს იმერეთის სამეფო ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მის  
ტრაქტატში. ცხადია, მეფე სოლომონი მაშინ არ იცნობ-  
და ამილახორის „ნაძღვნობის“ შინაარს; რომ ცოდნო-  
და, რა თქმა უნდა, მადლობას არ ეტყოდა ავტორს ასე-  
თი ძლვენისათვის.

## XI

ვუსვამთ რა ხაზს ალ. ამილახორის მოღვაწეობის ამ  
მხარეს, ჩვენ გვგონია, რომ ინდოელ ვაჭარს შახამი-

რიანს, ჩვენის აზრით, ინგლისის მთავრობის აგვიტს,  
რომელსაც მიწერ-მოწერა ჰქონდა მეფე ერეკლესთან და  
რომელსაც ის ურჩევდა კონსტიტუციანური წეს-წყობი-  
ლების შემოღებას, ჰყავდა დიდი წინამორბედი მოაზროვ-  
ნე უტოპისტის ალექსანდრე ამილახორის სახით, რომე-  
ლიც გაცილებით მაზე აღრე ფიქრობდა საქართველოს  
სამეფოს სრულიად უვარების აპარატის გაჯანსაღებას.

სახელმწიფო აპარატის რეფორმის აუცილებლობის  
აზრი ერთობ პოპულარული იყო მე-18 საუკუნის უკა-  
ნასკნელი ათეული წლების საქართველოში. თითონ მე-  
ფე ერეკლე, რომელიც დასახელებულ შახამირიანთან  
კონსტიტუციის პროექტის შესახებ აწარმოებდა მიწერ-  
მოწერას, ეტყობა არ ყოფილა კმაყოფილი თავისი სამე-  
ფოს წეს-წყობილებით. ასეთივე რეფორმატორად გამოი-  
ყურება საქართველოს ჭახტის მემკვიდრე დავითი, რაც  
აშკარავდება მისი შრომებიდან. დავითმა თარგმნა ფრან-  
გულიდან მონტესკიეს უდიდესი შრომა L'esprit de lois:  
ქართულ ენაზე; დაწერა კანონთა კრებული, რომელიც,  
როგორც ზემოთაც ვთქვით, ჯერ შესწავლილი არ არის,  
მაგრამ მისი ზერელეთ გაცნობილანაცა სჩანს, რომ გა-  
ცილებით მაღლა დგას ვახტანგ VI კანონების კრებულ-  
ზე...

ნუ თუ ეს არ ამტკიცებს, რომ მემკვიდრე დავითი  
არ იყო კმაყოფილი საქართველოს სამეფო აპარატით,  
რომ ის ეძებდა გზებს მის გასაუმჯობესებლად? ნუ თუ  
შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს უბრალო  
გასართობი და თავშესაქცევი მოქმედება იყო. ნუ თუ:  
ვოლტერის ერთგულ მიმდევარს, გერმანიის „ცნობილი  
შეცნიერეს“ იოსებ გეტინგენის მიერ აღზრდილს და-  
ვითს მეტი არაფერი აზრები არ უტრიალებდა თავში  
გარდა უბრალო დროს გატარებისა?

არა. მდგომარეობა უფრო სერიოზული იყო. ვიდე-  
რე პირველი შეხედვით გვეჩენება. როცა საქართველოს  
სახელმწიფო გემს წყალი შეეპარა, როცა მისი წინასელი  
შეუძლებელი შეიქმნა, როცა ყველა ხედავდა, რომ შას ასე  
არსებობა დიდ ხანს არ შეუძლია, სრულიად ბუნებრი-  
ვია, რომ მის ხელმძღვანელებს უნდა ეფიქრათ თუ არა  
ახალი გემის აშენებაზე, ძველი გემის საფუძვლიანად  
შეკეთებაზე მაინც. ამაზე უნდა ეფიქრათ მწერლებსაც  
და აქ საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ალექსანდრე  
ამილახორი ერთად-ერთი მოაზროვნე ყოფილა იმ დროს,  
რომელიც თხზავდა პროექტებს თავისი ქვეყნის სახელ-  
მწიფო აპარატის გასაჯანსაღებლად, თუმცა, როგორც  
პრაქტიკული მოღვაწე ის კიდევ უფრო ართულებდა  
და აუარესებდა თავისი ქვეყნის მდგომარეობას.

## XII

ახლა იმის შესახებ, თუ ვისი გავლენის ქვეშ იყო  
„აღმოსავლეთის ბრძენის“ ავტორი.

ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ყველაზე პირვე-  
ლად მიაქცია ყურადღება ამილახორის საყურადღებო  
შრომას და კიდევ დაბეჭდა იგი თავის „არქეოლოგიურ  
მოგზაურობაში“, \* სრულიად უკრიტიკოდ სწერს:

„აზრები, რომლებიც გამოთქმულია ამილახორის  
ტრაქტატში, ავტორს უსესხნია რუსული წიგნებისა და  
ავტორებისაგან“.

მერე საიდან სჩანს ეს? ეს იქიდან სჩანსო, — გვეუბ-  
ნება პატივცემული თაყაიშვილი, — რომ ამალახორი  
ხმარობს წმინდა რუსულ მახვილებს, რაც სრულებით არ

\* იხ ექვთიმე თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობა და  
შენიშვნები“, წიგნი 1, გვ 222—241, 1907 წელი.

ჩვევია და არ შეესაბამება ქართულ ენასო. აგრეთვე ავტორი სიტყვა „ქრისტეს“ წერს წმინდა რუსული გვა/ მოთქმით, იწყებს ასო „ხანით“ — „ხრისტე“ და ასე ასე „ქრისტე“, როგორც ამას ქართველი დასწერდათ.

აბა ეს რა საბუთებია? ამილახორს შეეძლო ეხმარა წმინდა რუსული მახვილები, ეხმარა „ჯანის“ მაგიერად „ხანი“, მას შეეძლო თავისი შრომა დაეწერა არა ქართულად, არამედ რუსულად, ფრანგულად ან რომელიმე სხვა ენაზე; დასასრულ შეიძლებოდა მას სულაც არ სკოლნოდა ქართული ენა; მაგრამ რა მნიშვნელობა ეჭნებოდა ყოველ ამას იმის ასახსნელად თუ საიდან ან ვისგან ასესხა ჩვენმა ავტორმა თავისი აზრები, ვისი გავლენის ქვეშ იყო იგი, როცა თავის ტრაქტატს სწერდა და სხვა. ამ კითხვების გადასაჭრელად საჭირო იყო დასახელება ავტორებისა, და მათი ნაწერებისა და არა მახვილების არა სწორი ხმარება ან ამა თუ იმ სიტყვის ქართული ენისათვის უჩვეულოდ გამოთქმაზე მითითება.

ჩვენ აქ შევეცდებით დავასახელოთ ის მწერლები, რომლებსაც უდიდესი გავლენა ჰქონდათ „აღმოსავლეთის ბრძნის“ ავტორზე, მიუთითოთ იმ თხზულებებზე, რომლებითაც ის სარგებლობდა. მაგრამ ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ ე. ს. თაყაიშვილის ეს საეჭვო საბუთებიც დღეს გაუქმებულია. ეხლა უკვე აღმოჩენილია ამილახორის ტრაქტატის უფრო ძველი ვარიანტი, ვიღრე ის, რომლითაც ე. თაყაიშვილი სარგებლობდა; ამ ახალი ვარიანტიდან სჩანს, რომ ამილახორის თხზულებაში სულაც არ მოიპოება ის ნაკლი, რომელსაც იმას თაყაიშვილი უსაყველურებს. დღეს უკვე გამორკვიულია, რომ ეს ნაკლი ეკუთვნის თ-დ დ. გ. ავალიშვილს, რომელსაც 1826 წელს გადაუწერია ამილახორის ტრაქტა-

ტი. ოვალიშვილის ყველა სხვა ხელნაწერების შესწოვლის  
გამოააშკარავა, რომ თაყაიშვილის მიერ დასახელმწიფო  
ნაკლი შეაღვენს ოვალიშვილის განსაკუთრებულ თვისე-  
ბას და ორავთარი საერთო არა აქვს ამილახორთან.\*

ამრიგად, რუსეთის ავტორებისა და რუსული წიგ-  
ნებიდან „სესხის“ საკითხი თავის თავად იხსნება.

ეს უიმისოდაც ცხადი იყო, რაღვანაც იმ დროს, რო-  
ცა ალექსანდრე ამილახორმა თავისი ტრაქტატი დასწე-  
რა, იმ ნაშრომში გამოთქმული აზრები არც თუ ისე  
პოპულარული იყო თვითონ რუსეთის ლიტერატურა-  
ში. მართალია მონტესკიეს L'esprit de lois... პირველად  
1775 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე კრამარენკოვის  
თარგმანით; მაგრამ ამილახორმაც ხომ იმ დროს დასწე-  
რა თავისი ტრაქტატი. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ეს  
ტრაქტატი დაწერილია არა უგვიანეს 1775 წლისა. აბა  
როგორ შეეძლო ჩვენს ავტორს კრამარენკოვის ერთობ  
ტლანქი და დღესაც ძნელად გასაგები თარგმანით სარ-  
გებლობა?

ვიცეორებთ: როცა ამილახორმა თავისი ტრაქტატი  
დასწერა, მისი აზრები არა თუ პოპულარული არ იყო  
რუსეთის ლიტერატურაში, მას ათიოდე მიმღევარი თუ  
ჭავდა. ერთად-ერთი რუსი მწერალი, რომელსაც შეეძლო  
გავლენა მოეხდინა ჩვენს ავტორზე იყო ა. ნ. რადიშჩევი,  
რაღვანაც ზოგი მისი აზრები ჩამოვანან ამილახორის  
აზრებს. მაგრამ არც რადიშჩევის გავლენაზე შეიძლება  
ლაპარაკი და ი რატომ. რადიშჩევი და ამილახორი ხნით  
თითქმის ტოლები იყვნენ. რადიშჩევი დაიბადა 1749  
წლის 20 აგვისტოს, ამილახორი — 1750 წლის 20 ოქ-  
ტომბერს. მაგრამ რადიშჩევი სალიტერატურო სპარეზ-  
ზე გამოვიდა ამილახორზე გაცილებით უფრო გვიან,

\* ი. საჭ. მუზეუმში დაცული ბელინაწერი № 879.

სახელდობ 1789 წელს, როცა მან დაბეჭდა „თ. ვ. კორილი გვიშაულის ცხოვრება“, 1790 წელს ის ბეჭდავს „წერილებს მეგოპრისადმი“ და დასასრულ იმავე წელს ბეჭდავს თავის ცნობილ თხზულებას „პეტერბურგიდან მოსკოვში მოგზაურობას“. ამილახორი კი სამწერლო ასპარეზზე გამოდის ათი წლით ადრე. 1779 წელს ის ბეჭდავს თავის მეფე ერეკლეს წინააღმდეგ მიმართულ პამტლებს: „ის-ტორია გვორგიანსკაია“. ტრაქტატი მას არ დაუბეჭდია, მაგრამ დაწერილი კი არის არა უგვიანეს 1775 წლისა, ესე იგი რადიშჩევის მთავარი ნაშრომის დაბეჭდვამდე 15-16 წლით ადრე. მაშასადამე რადიშჩევიდან სესხების შესახებ ფიქრიც კი შეუძლებელია.

ამისდა მიუხედავად, ცოტაოდენ მსგავსებას ვხელავთ ამილახორის ტრაქტატში გამოთქმულ ზოგიერთ აზრებსა და რადიშჩევის იმ აზრებს შორის, რომლებიც მან გამოსთქვა თავის „მოგზაურობაში“. ორივე მწერლის აზრები რამდენიმედ გვანან ერთმანეთს მონარქის როლის დახასიათებაში. რადიშჩევის მონარქი მხოლოდ პირველი მოქალაქეა ხალხის ს ზოგადოებაში, „первый гражданин народного общества“. ამილახორის მეფეც უპირველეს ყოვლისა განათლებული, ბრძენი, გულოვანი და თავისი ერისთვის თავდადებული ადამიანია. თუ გნებავთ, ეს არის და ეს მათ შორის მსგავსება. განსხვავება კი დიდია. ამილახორის მეფე, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, არ არის ღმერთის მიერ მეფედ დადგენილი არსება; მას ირჩევს თვით ხალხი, რომელსაც უფლება აქვს განდევნოს იგი, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩევლების იმედები. ამილახორი სრულიად უარყოფს მეფის უფლების

\* იხ. მისი აბატი მაბლის ჭიგნი „საბერძნეთის ისტორიაზე ფიქრები“-ს თარგმანის დამატება.

მემკვიდრეობით გადასცლას. ის ხალხს. ასწავლის აღ-  
ჭურვის აღაშიანი მეფის უფლებით არა იმიტომ, რომ იგი ამის ღირ-  
სია თავისი საკუთარი ღირსებებით.

ამილახორი დიდად შორს მიღის რადიშჩევზე გლეხ-  
თა საკითხშიც. რადიშჩევი აღნიშნავს გლეხთა აუტანელ  
მდგომარეობას, გვიხატავს მათი სრული გადაგვარებას  
სურათს, მაგრამ არავითარ ზომებს არ მიმართავს ამ სა-  
შინელი სენის დასაძლევად. ის არ იძლევა ბატონ-ყმო-  
ბის მოსპობის იდეას, თუმცა ძლიერ კარგად იცნობს  
რუს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას: როცა ის  
სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა უკვე ლიკვიდაცია  
ქმნილ იყო პუგაჩევის ცნობილი ბუნტი, რასაც უეჭვე-  
ლად უნდა მოეხდინა გავლენა ახალგაზრდა მწერალზე,  
უნდა მიეცა უფრო რადიკალური მიმართულება შისი  
აზროვნებისათვის. ჩვენ კი რას ვხედავთ? ყოველივე  
ამის შემდეგ რადიშჩევი გლეხების მდგომარეობის გა-  
საუმჯობესებლად მიმართავს რაღაც საცოდავ პოლი-  
ტიკებს: 1) გლეხების ფიზიკური დასჯის აღკვეთა, თუ  
მას სასჯელი მისჯილი არა აქვს სამსაჯულოს მიერ;  
2) გლეხებისათვას მიწის საკუთრებად შეძენის უფლების  
მინიჭება და სხვა ასეთები (იხ. „მოგზაურობა“).

ამილახორი ამ საკითხშიც შორს მიღის რადიშჩევზე.  
აღნიშნავს რა მიწის მუშების ღირსეულად არ დაფუ-  
სებას სხვა წოდებათა მხრით, ის აღიარებს გლეხების  
შრომას ყველა სხვა წოდებათა წარმომადგენლების შრო-  
მაზე უსაჭიროესად და თვითონ მიწის მუშას სახელ-  
მწიფოს ყველა სხვა შემადგენელ ნაწილებზე უფრო სა-  
ჭიროდ და სასარგებლოდ: მართალია, ის, როგორც სა-  
ზოგადოებრივი ჰარმონიის იდეოლოგი, ბოროტების გა-



პოსტიორებლად არ მიმართავს არავითარ რაღიყალულ  
ზომებს, მაგრამ ის ცდილობს გამონახოს რაღაც ფილონის  
სიფრური ქვა, რის საშუალებითაც ფიქრობს საქმის ვა-  
ჰოსტიორებას; ის ცდილობს ჩაუკონოს ყველას, რომ მება-  
ტონე და ვლეხი თანასტიორები არიან წარმოშობით  
და დაბადებით, მათი შრომა კი მებატონეთა შრომაზე  
უფრო სჭიროა სახელმწიფოსთვის. ვთქვით და ვიმეო-  
რებთ, რომ არც ამილახორი მიმართავს რევოლუციურ  
მეთოდებს ბატონ-ქმობის მოსასპობად, მაგრამ თვი-  
თონ ის, რომ იყი გაზვიადებულ, თავის ჩამომავლობით  
ამაყ ფერდალებს ეუბნება, რომ ისინი არაფრით არ  
სჯობიან იმ გლეხებს, რომლებსაც ისინა პირუტყვა  
ჭით ყიდულნენ, თავისთავად რევოლუციური აქტი იყო...

«ნათქვამიდან აშკარაა, რომ ეს ორი მწერალი ზოგ  
რამეში გვანან ერთმანეთს, მაგრამ არც ერთ მათგანს არა-  
ვითარი გავლენა არ შეეძლო ჰქონოდა მეორეზე, რადგა-  
ნაც რადიშჩევს არ შეიძლება ჰქონოდა რაიმე წარმოდგე-  
ნა ამილახორსა და მის ტრაქტატზე ამილახორსაც არ  
შეიძლება ჰქონოდა რაიმე წარმოდგენა რადიშჩევზე,  
რადგანაც მაშინ, როცა რადიშჩევი გამოვიდა სამწერლო  
ასპარეზზე, ამილახორი უკვე ათიოდე წლის ტუსაღი  
იყო ვიბორგის ციხეში»

ერთადერთი, რასაც შეეძლო - გალენის ნოხდენა  
ამილახორზე, ეს იყო „ეკატერინეს ნაკაზის“ რეგვლივ  
„დიდი კომისიის“ მუშაობა, ან უფრო სწორად რომ  
ვთქვათ, დეპუტატების მსჯელობა და მათ მოხსენებები  
ამ „ნაკაზის“ გარჩევის დროს. დეპუტატების მოხსენება-  
თა გადათვალიერების დროს ჩვენ ვპოულობთ კოზ-  
ლოვსკის დეპუტატ აზნაურ კორობინის მოხსენებას,  
რომელიც მას წარუდგენია „დიდი კომისიისათვის“.

„მხოლოდ მაშინ აყვავდება, ან ძლიერი იქნება **საზოგადოება**, — ამბობს კორობინი აგ მოხსენებაში, — როცა კმაყოფილია მისი ყველა ნაწილები. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების მყუდროობა, თავისი სამშობლოს დაცვის გრძნობა, რომელიც აღანთებს მათ“.

ეხება, რა მიწის მუშების საკითხს, კორობინი სწერს:

„ცხობილია, რომ მიწის მუშები შეადგენენ საზოგადოების სულს; გაშასაღამე, როცა სული შეხუთულია, თვითონ საზოგადოებაც სუსტდება“.

საზოგადოების სულად გლეხების გამოცხადება იგივეა, რასაც ჩვენი ავტორი ამბობს მიწის მუშების შესხებ:

„მიწის მუშა სახელმწიფო ორგანიზმის ყველაზე უსაჭიროესი ნაწილია; უამისოდ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა“.

აქ სრული მსგავსებაა, მაგრამ, ამისგან მოუხერავად, ამილახორს არ შეეძლო ესარგებლა კორობინის აზრებით, მას არც კი შეეძლო ცოდნოდა კორობინი და მისი მოხსენების არსებობა. ამის წინააღმდეგ ფიქრი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც არ იცის, რომ კორობინის მოხსენება „ნაკაზის“ ყველა მასალებთან ერთად 1769 წლიდან, ჯერ თურქეთთან ომის გზეზებით და შემდეგ საფრანგეთის რევოლუციის შიშით, ჩაკეტილი იქნა და მითი სარგებლობის საშუალება წართვეს თვით რესეთის სამეცნიერო აკადემიის წევრებს, არა თუ ვიღაც ამილახორს, რომელიც მხოლოდ 1771 წელს მოვიდა პეტერბურგში.

ნათქვამილან აშკარავდება, რომ ამილახორს არ შეეძლო ესარგებლა არც რადიშჩევის, არც კორობინის და არც სხვა რესტ მწერლების „წიგნებითა და აზრებით“.

ისე, როგორც რუს მწერლებს არ შეეძლოთ ესარგებ  
ლათ მათთვის სულაც არ არსებული ამილახორის **ტრაქი**  
**ტატით.**

აქედან აშეარავდება, რომ დასახელებული მწერლე-  
ბი: რაღიშევი, ამილახორი, კორობინი და სხვები სარ-  
გებლობდნენ ერთი და იმავე წყაროებით; ყველა ისინი  
ცალცალკე ერთმანეთთან დამოუკიდებლად სარგებლობ-  
დნენ ფრანგი ენციკლოპედიისტების აზრებითა და წიგნე-  
ბით, იყვნენ მონტესკიეს, რუსოს, ვოლტერისა და  
სხვების უშუალო გავლენის ქვეშ.

### XIII

ჩვენ არ გვინდა უკიდურესობაში ჩავვარდეთ, მაგ-  
რამ მაინც ვიტყვით, რომ იმ აზრების უმეტესობა, რო-  
მელსაც ჩვენ ვეცნობით ამილახორის **ტრაქტატში**, არ  
იყო წარმოდგენილი არა თუ მე-18 საუკუნის რუსეთის  
ლიტერატურაში, მე-19 საუკუნის პირველი ათეული  
წლების რუსეთშიც კი რამდენიმე ათეული მიმდევარი  
თუ ყავდა მას. ამის ერთ-ერთ საბუთად ისიც გამოსადე-  
ვია, რომ თვით ა.ნ. როდიშევს, რომელსაც, როგორც  
დავინახეთ, გლეხების სასარგებლობა სრულიად „უცოდვე-  
ლი“ აზრების გამოთქმისათვის 1790 წელს სიკვდილით  
დასჯა მიუსაჯა ვოლტერის „მეგობარშა“ ეკატერინე  
მეორემ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის მთელი პათოსი  
და აღმაფრუნა გამოიხატა 1825 წლის 14 დეკემბერის  
შეიარაღებულ გამოსვლაში პეტერბურგში სენატის მოე-  
დანზე. ეს იყო ის განძი, რომელიც მიიღო რუსეთის  
საზოგადოების საუკეთესო ნაწილში საფრანგეთის რეფო-  
ლუციიდან.

რა იყო მიზანი ამ აჯანყებისა? როგორი იყო პოლიტიკური პროგრამა ამ თავდაწირული ხალხისა, რომელი იყი საშინელ ორთავა აჩვივს სამკვდრო-სასიცუცხლო მის უცხადებდა?

გავეცნოთ მათი პროგრამის ზოგიერთ მუხლებს. დავიწყოთ კონსტიტუციის იმ პროექტით, რომელიც დასწერა ნიკიტა მურავიოვმა და მიღებული იქნა დეკადრისტების იმ ფრთის მიერ, რომელიც ცნობილია „ჩრდილოეთის ხაზოგადოების“ სახელით. მართალია, ამ პროექტს მისმა ავტორმა საფუძვლად დაუდო „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, ზაგრამ იგი თითქმის არაფრით არა გავს თავის ორიგინალს.

დავიწყოთ მოქალაქეობის უფლებით. მოქალაქეობის უფლებით არ სარგებლობენ: მომთაბარე ტომები (кочующие племена), ის პირნი, რომლებიც მსახურებენ (лица, находящиеся в услужении), ბატონ-ყმობიდან განთავისუფლებული გლეხები და სხვა. ხალხის წარმომადგენლობა ამ პროექტით დიდი ცენზით არის შებოჭვილი. მართალია ვოლოსტის მამასახლისის არჩევნები ხდება საყოველთან არჩევნებით, ზაგრამ მამასახლისი არ ემორჩილება ამომრჩევლებს, არამედ ათასისთავს, რომელიც აწარმოებს მაზრის საქმეებს. ათასისთავებად შეიძლება არჩეული იქნენ მხოლოდ ისეთი მოქალაქენი, რომელთაც მოეპოებათ უძრავი ქონება 30.000 მანეთის ღირებულებისა, ან მოძრავი — არა ნაკლებ 60.000 მანეთისა. ათასისთავის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ისეთ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ უძრავი ქონება, ღირებული არა ნაკლებ 500 მანეთისა ან მოძრავი ქონება — 1000 მანეთის რაოდენობით. გლეხებიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლებით

სარგებლობენ მხოლოდ მდიდარი გლეხები და ისიც მხოლოდ ორ ფორმულისანი საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ბატონ-ყმობილან განთავისუფლებული გლეხების მოკლებული არიან არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

რესეთი დაყოფილია დიდობონ ოლქებად „დერუავად“, რომელსაც განაგებს მთავრობის ყრილობა და რომელიც შესდგება ორი პალატისაგან: არჩეულთა პალატა და „დერუავის“ სათათბიროსაგან. „დერუავის“ სათათბიროს წევრები“, „დერუავის“ მმართველები, მათი მოაღვილები, „დერუავის“ სამსაჯულოს ან საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ ცენზი მოძრავი 60.000 მანეთის რაოდენობით, ან უძრავი 30.000 მანეთისა. ნაფიცებისათვის (და კრიკეტის) კონსტიტუციის პროექტი მოიხსენიერებს ცენზს: უძრავი — 5000 მანეთის, მოძრავი — 10.000 მანეთის რაოდენობით.

უზენაეს უფლებით აღჭურვილია იმპერატორი, რომლის უფლებაც გარიადის მემკვიდრეობით. იმპერატორს უფლება აქვს გააუქმოს კანონი, რომელიც მიღებულია ორივე პალატის მიერ. მის სრულ განკარგულებაშია ჯარი და ფლოტი; ის ირჩევს მინისტრებს და აკადემიურ დიდობონ ჩინოვნიკებს.

ავიღოთ ნაციას და სარწმუნოების თავისუფლება.

საერთოდ დეკაბრისტები უდიდესი ნაციონალისტები არიან, რადგან ისინი ცნობდენ მხოლოდ და მხოლოდ „ველიკოროსებს“, მათთვის არ არსებობს რომელიმე სხვა ეროვნება. „სამხრეთის საზოგადოების რესპუბლიკური კოსტიტუცია“, რომელიც დაწერილია პესტელის მიერ და მიღებული დეკაბრისტების „სამხრეთის საზოგადოების“ მიერ, სრულიად არა ცნობს რესეთის უზარმაზარ

იმპერიაში მობინადრე ნაციონალურ უმცირესობათა  
ინტერესების. ეს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ  ბითმა მთავრობამ, ხალხის წარმომადგენლების მოწვევა<sup>13</sup> და  
დე, მიიღოს სასტიკი ზომები ყველა არა რესი ნაციების  
გარეუსების შესახებ. რუსეთის ტერიტორიაზე ყველა მო-  
ბინადრე ხალხები უნდა შეადგენდნენ ერთად-ერთ ველი-  
კოროსების ერთს. პესტელი არ იღებს არც ერთ ენას, გარ-  
და რუსული ენისა. ყველა სხვა ერებმა უნდა დაიგინ-  
უნბ თავისი საკუთარი ენა და ილაპარაკონ მხოლოდ  
რუსულ ენაზე; უამისოდ ისინი მოკლებული არიან მო-  
ქალაქის ყოველგვარ უფლებას.

პესტელის კონსტიტუციის პრინციპი კიდევ უფრო  
მკაცრად ეპყრობა არა ქრისტის რელიგიის მიმდევართ,  
ის მოითხოვს, რომ დროებითმა მთავრობამ პირველ  
დღიდანვე განდევნოს რუსეთის იმპერიიდან ყველა იქ.  
მობინადრე ებრაელები, რიცხვით ორი მილიონი სული.

რუსეთის მთელ ტერიტორიაზე უნდა იყოს მხო-  
ლოდ ერთი ერთი — ველიკოროსები; ერთი ენა — რუ-  
სული ენა და ერთი სარწმუნოება — რუსის სარწმუ-  
ნოება.\*)

როგორ წყვეტს ამ საკითხებს აღექსანდრე აშილა-  
ხორი?

მის საზოგადოებრივ პარმონი შე ჰყულაც არ არსე-  
ბობს ნაციონალური საკითხი. მისთვის ერთია ყველა  
ეროვნებისა და ყველა კლასების წარმომადგენელი, თუ  
კი ის პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას სახელ-  
მწიფოს წინაშე.

\* К. Левин—Декабристы. История вооруженного восстания 14 декабря 1825 г. стр. 44—45

მისთვის სულ ერთია ყველა არსებული რელიგიები,  
ქრისტეანობაა იგი, მუსულმანობა, თუ სხვა რომელიმე.  
ყველა ეკლესია ერთნაირად ცუდია, რადგანაც კვერცხ  
ისინი ეწევიან სპეციალულაციას ქრისტეს, მაჰმადის, იეგო-  
ვასა და სხვათა სახელით. ყველა ეს ეკლესიები თავისი  
ველური ფანატიზმით ყოველთვის იწვევდნენ ხალხთა  
შორის მტრობას და სისხლის ღვრას; ყოველთვის უწ-  
ყობდნენ ხელს ხალხის გონებრივ სიბრძეებს.

ა წყვეტს ნაციონალურსა და რელიგიის თავისუფ-  
ლების საკითხს ალექსანდრე ამილახორი საფრანგეთის  
რევოლუციის წლით აღირე; ამას ქადაგებ-  
და ჩვენი ავტორი დეკაბრისტების გაჩენამდე მთელი  
ნახევარი საუკუნით აღირე. დეკაბრისტები კი, მას შემ-  
დეგ, რაც მთელ მსოფლიოში გაზაფხულის პირველ შეხ-  
სავით გაისმა საფრანგეთის ბურჯუაზიული რევოლუციის  
მქუჩარე ხმა, მას შემდეგ, რაც მან სისხლში გამანაძველი  
ფეოდალური ბატონ-ყმური ევროპა და თვით რუსეთის  
იმპერია ძირითადად შეარყია, სცდილობენ დაკანო-  
ნონ უსაშინელები და უმაგალითო დევნა სარწმუნოები-  
ნათვის, კანონ გარეშე აცხადებენ ყველა რუსეთში მო-  
ბინადრე ერებს, გარდა გამატონებული ველიკოროსებისა.  
უსამართო მათ საშუალებას იღაპარაკონ თავის საკუთარ  
შშობლიურ ენაზე. რუსეთის ხალხის საუკეთესო შვი-  
ლებმა, რომლებიც თვითონ იყვნენ ბარიზი, სადაც მათ  
თავისი საკუთარი თვალებით დაინახეს ჯერ კიდევ ცეც-  
ხლის მფრქვეველი კრატერი დიდი რევოლუციისა, ამის  
შეტეი ვერაფერი გამოიმეტეს რუსეთის ხალხებისათვის;  
მათ თითქმის არაფერი ემეტებათ ნაპოლეონის ფაქტიუ-  
რი დამამარცხებელი რუსეთის გლეხებისათვის და თით-

ქმის ისეთსავე პირობებში ტოვებენ მას, როგორშიც  
ეკატერინე II ან პავლე I დროს იყვნენ.

რომ ლაპარაკი კიდევ უფრო არ გავაგრძელოთ,  
ვიტყვით ორ სიტყვას იმის შესახებაც თუ ვის გავლენის  
ქვეშ იყო უშუალოდ ჩვენი ავტორი.

მისი ტრაქტატის მე-18 საუკუნის ზოგი ფილოსო-  
ფოსების ნაწარმოების პარალელურათ შესწავლამ დაგ-  
ვარშეშუნა, რომ ამილახორზე ყველაზე დიდი გავლენა  
ჭრდა მონტესკიეს: L'esprit de lois, რუსოს „საზოგა-  
დოებრივ ხელშეკრულებას“, და ვოლტერის ზოგიერთ  
ნაწერებს. ჩვენი ავტორი ყველაზე უფრო მონტესკიეს  
იცნობს, მან იცის მისი სხვა თხზულებები, განსაკუთრე-  
ბით „სპარსული წერილები“; თვით მისი ტრაქტატის სა-  
ხელშოდება — „ბრძენი აღმოსავლეთისა“, უნდა ვიფიქ-  
როთ, ჩვენს ავტორს აღებული აქვს მონტესკიეს ამ  
თხზულების XXXIII წერილიდან, რომელშიც ლაპარა-  
კია XVIII ს. აღმოსავლეთის სიბრძნეზე. განსხვავება  
იმაშია, რომ მონტესკიე ხმარობს: „სიბრძნე აღმოსავლე-  
თისა“, ამილახორი თავის ტრაქტატს უწოდებს „ბრძენი  
აღმოსავლეთისა“. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუდგებით  
ტრაქტატში გამოთქმული აზრების შედარებას იმ წყა-  
როებთან, რომლებითაც ავტორს უსარგებლებია. ჩვენ  
აქ მხოლოდ ვასახელებთ ზოგიერთ თხზულებას და  
მსურველს თვითონ - შეუძლია უფრო დეტალურად შეი-  
წავლოს ეს საკითხი.

#### XIV

ახლა იმაზე თუ რა გავლენა ჰქონდა აღექსანდრე  
აზილახორის ტრაქტატს XIX საუკუნის წართულ ლიტე-  
რატურასა და აზროვნებაზე.

შეიძლება მითხვან: რა გავლენა უნდა ჰქონოს  
ვისმეზე ისეთ ნაწარმოებს, რომლის არსებობაც 1907  
წლამდე არავინ არ იკოდა და რომლის არსებობაც დღე  
საც თითო-ოროლა ჯართველმა სპეციალისტმა თუ უკი-  
სო. ეს კითხვა კანონიერია, მაგრამ იგი თავი და თავი  
არ არის. რა ვუკოთ, რომ ამილახორის ტრაქტატი და-  
ბეჭდილი და გავრცელებული არ იყო იმ დროს, როცა  
ჩვენი დიდი მწერლები: ნიკო ბარათაშვილი, ილია ჭავ-  
ჭავაძე და აკაკი წერეთელი სალიტერატურო ასპარეზზე  
გამოვიდნენ; სამაგიეროთ ამილახორის ტრაქტატის ხელ-  
ნაწერი არა ერთ ეგზემპლარად ინახებოდა ზოგიერთი  
ჯართველი დიდი თავადიშვილის ოჯახში, რომელთა  
რიცხვს ეკუთვნოდნენ დასახელებული ჯართველი პოეტე-  
ბის ოჯახები. აი საიდან იცნობდნენ ამ ტრაქტატს ბარა-  
თაშვილი, ჭავჭავაძე, წერეთელი და სხვები.

თავი და თავი აქ მეორე საკითხია. როგორც ვიცით,  
ტრაქტატის მთავარი აზრი საზოგადოებრივი ჰარმონიის  
აპოლოგიაა. მაში როგორ მოხდა ეს, რომ XIX საუკუ-  
ნეში, როცა საქართველოში კლასობრივი ბრძოლა ხდებდა და და  
გადადიოდა, როცა გლეხები თავგამოდებით  
იბრძოდნენ თავისი სოციალური პირობების გასაუმჯობე-  
სებლად, როცა ამ გლეხებმა თავისი თავგანწირული  
ბრძოლით მოსპეს უსაშინელესი ბატონ-ყმობა, რის შემ-  
დეგაც საქართველო გადაიქცა აგრძელებული მოძრაობის  
ქვეყნად, მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური წარმოების  
განვითარებამ საკმაოდ ჩამოაყალიბა. საქართველოში  
მუშათა კლასი, ყოველი ამის შემდეგ ან ყოველ ამისთან  
ერთად საზოგადოებრივი ჰარმონიის იდეოლოგია არა  
თუ ფეხს იყიდებს, გაბატონებულიც არის წარსული მე-  
19 საუკუნის უკანასკნელ წლებმადე. XVIII საუკუნე-

ში იმ მიზეზებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ დავსახულეთ, კლასობრივი პარმონის მირაცხ კიდევ ჰქონდა რაღაც სა-  
ბუთი თვით გართველი ხალხის ცხოვრების სინამდვირე  
ში, მაგრამ მე-19 საუკუნის საქართველოში მას ადგილი  
არ უნდა ჰქონდა.

სამწუხაოობი, ეს ასე არ მოხდა და XIX საუკუ-  
ნის საქართველოში „მოყვრად“ და „მფარველად“ მო-  
სულმა გარეშე ძალაშ ისეთივე პოლიტიკური პირობები  
შექმნა. როგორც არსებობდა XVIII საუკუნეში, სა-  
ქართველოს სამეფოს არსებობის დროს. მართალია, ეს  
მიზეზები ვითომ უფრო, „კულტურულ“ ფორმებში არსე-  
ბობდა, მაგრამ თუ რუსეთის დიდი რევოლუციის არ გაე-  
თავისუფლებია ქვეყანა, დადასტურებით შეიძლება ით-  
ქვას, რომ თვითმპყრობელი რუსეთის პოლიტიკა ირან-  
თურქეთის პოლიტიკას დიდად არ ჩამოუდარდებოდა სა-  
ქართველოში და საერთოთ ამიერ-კავკასიაში. თვით-  
მპყრობელი რუსეთის მთავრობა გაპრადის მორჩიმუნე სა-  
ხელმწიფოების მთავრობაზე უფრო მოხერხებულად  
სპობდა ფიზიკურად კავკასიის მთიელებს. თვითმპყრო-  
ბელი რუსეთი ამიერ-კავკასიაში აწარმოებდა უაღრესად  
გამარტინებელ პოლიტიკას; ის ყოველ ღონეს ხმარობდა  
ყველა კავკასიაში მობინადრე ერების ნაცოონალური სა-  
ხის მოსასპობად. ხალხის ენა, ხელოვნება, მისი ზნე-  
ჩვეულება, მისი კულტურის მთელი კომპლექსი განიც-  
დიდა უმაგალითო დევნას. სასწავლებლებში გართველ  
მოწაფეებს აკრძალული ჰქონდათ სამშობლო ენაზე გა-  
ზეთის წაკითხვა. რუსთაველის ენა ძალის ენათ იყო  
გამოცხადებული რუსი მასწავლებლების მიერ; თვითონ  
რუსი მღვდლები ამ ენაზე დაწერილ სახარებასაც კი  
ძალის ენაზე დაწერილს ეძახდნენ და მისი წაკითხვი-

სათვის გიმნაზიიდან ითხოვდნენ, როგორც ეს უქნეს მე-19/ საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს დესპოტს აკაკი წერეთელს.

რუსეთის მთავრობა ართმევდა ხალხს მისთვის აუ-  
ცილებლად საჭირო მიწებს, ტოვებდა მას სიმშილის  
მსხვერპლად და მის მიწაზე ასახლებდა შიგა რუსეთი-  
დან ჩამოყანილ ხალხს რუსის მთავრობა თარა-  
ლებდა ამ ახლად დადგმოსახლებულ რუსის ხალხს,  
უნკრიფავდა მას სიძულფოლს აღვილობრივი მხცი-  
კრებლებისადმი, აგონებდა მას, რომ ის გაბატო-  
ნებული ნაციის შველია, ის არის ქვეყნის ბატონ-  
პატრიონი და უმ ყველა ეს წართველები, სომხები და  
სხვა აღვილობრივი ერები მისი მოსისხლე მტრები  
არიან. კავკასიის მთიულეთსა და აფხაზეთს ხომ ისეთი  
დღე დაადგა XIX საუკუნეში რუსის გენერალებისაგან, რომლის მსგავსი ძალაან ცოტა ახსოვს თვით სისხლის  
სოებით დაწერილ წართველი ერის ისტორიას.



რა თქმა უნდა, ეს გარემოება ამზადებდა ნიადაგს  
ნაციონალური გრძნობების გასაღვივებლად. თუ ასეთ  
აუტანელ პირობებში ხალხს ვინმე ეტყოდა: შენი მო-  
სისხლე მტერი წართველი თავადაზნაურობა და კაპიტა-  
ლისტები კი არ არიან; შენი მტერი მხოლოდ რუსის  
ხალხი და მისი მთავრობა არის; რომ საქართველოში  
ყველა წოდება, საზოგადოების ყველა კლასები ერთ-  
ნაირად ვიტანჯებით მათვან. ამ საერთო მტერს ჩვენ  
ყველამ უნდა შევებრძოლოთ საერთო ძალით; ამიტომ  
საჭიროა დავივიწყოთ შინაური განხეთქილება და საერ-

თო ძალებით მივიტანოთ იერიში საერთო მტერზეთ.  
ასეთ მქადაგებელს ხალხის ზედაფენები უკველათ დაუ-  
ჯერებდნენ და უჯერებდნენ კიდეც.

საქართველო  
გიგანტის

თ, ის ნიაღაგი, რომელიც ხელ უწყობდა ჩვენში  
კლასობრივი ჰარმონიის მირაეს შექმნას.

მეორე მიზეზი უნდა ვეძებოთ თვით იმ პირთა დიდ ლი-  
ტერატურულ ნიჭი, რომლებმაც იყისრეს ამილახორის  
ტრაქტატში გამოთქმული იდეების აპოლოგეტების რო-  
ლი, მათი ცხოვრებაში გატარება. ესენი იყვნენ ისეთი  
დიდი მწერლები და პოეტები, რომლების სწორიც საქა-  
რთველოს არ ყოლია რუსთაველის შემდეგ. ესენი იყვ-  
ნენ: ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.  
ესენი უდგენ მეთაურად ქართველ ლიტერატურას მთელი  
ნახევარი საუკუნის მანძილზე, რაც ასე იშვიათი მოვ-  
ლენაა ლიტერატურის ისტორიაში და რაც აიხსნება არა  
მარტო დასახელებული მწერლების დიდი ნიჭით, არამედ  
უფრო იმით, რომ თვითმპყრობელობა ქმნიდა ხალხის  
უკმაყოფილებისათვის ნიაღაგს და მით მატებდა გავლე-  
ნის ნაციონალურ იდეების მქადაგებელ მწერლებს. ამი-  
ტომი იყო რომ მთელ მე-19 საუკუნის მანძილზე და  
თვით მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებშიც ქარ-  
თულ ლიტერატურასა და აზროვნებაში,—იმდენად, რამ-  
დენადაც მას მეთაურობდენ ქართული ლიტერატურის  
კლასიკოსები,—გამეფებული იყო ალაქსანდრე ამილა-  
ხორის ტრაქტატში გამოთქმული იდეები; მთელი ქარ-  
თული ლიტერატურა,—პროზა იყო იგი, ლექსი თუ  
პუბლიცისტიკა,—ემსახურებოდა ამ ყოვლად უნიადაო-  
სა და როგორც თეორეტიკულად, ისე პრაქტიკულად გაუ-  
მართლებელ საქმეს. კლასობრივი ჰარმონიის მქადაგებ-  
ლად ყოველთვის გამოდიოდნენ და გამოდიან გაბატონე-

ბული კლასების იდეოლოგები, მაგრამ საქვირველი ფა  
გაუგებარი ის არის, რომ დასახელებული მწერლები მართვის  
ჯერდებოდნენ ამილახორის იდეების დაცვას: ისინი გაცი-  
ლებით შორს მიღიოდნენ ამ საქმეში და საქართველოში  
წარსულშიც უარყოფდნენ თვით ბატონყმობის არსე-  
ბობას.

## XV

ფეოდალურ საქართველოში არსებული კანონმდებ-  
ლობის მიუღდვით:

გლეხები, როგორც პირადათ, ისე ყოველივე  
იმითი, რაც კი მათ ებადათ, შეადგენდნენ ბატონის  
სრულ საკუთრებას.

მებატონებს სრული უფლება ჰქონდა გაეყიდა  
ან გაეჩუქრება თავისი გლეხი.


ყოველივე უძრავი და მოძრავი გლეხებისა იყო  
მემამულეს სრულ უფლებაში (იხ. კანტანგ V კა-  
ნონების სტატიები: 161, 162, 258 და 260).

ასეთი იყო ის საძირკველი, რომელზეც დამყარე-  
ბული იყო გლეხებისა და მებატონეთა შორის არსებუ-  
ლი ურთიერთობა. იჭვს გარეშე, რომ ამ ორ წოდებათა  
შორის ასეთ ნიადაგზე დამყარებული ურთიერთობა კერ  
იქნებოდა მამაშვილური. ადვილი მისახვედრია, რომ  
გლეხებს უნდა ებრძოლათ ბატონ-ყმობის რკინის ულე-  
ლის დასალეწად და ისინი იბრძოდნენ კიდევ თავგამე-  
ტებით, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ავილოთ შემ-  
თხვევით ხელში მოხვედრილი ცნობები, თუ როგორი  
დაუსრულებელი ბრძოლა არსებობდა საქართველოში  
ამ ორი წოდების შორის. მარტო ტფილისის გუბერნია-  
ში 1844, 1845 და 1846 წლებში გლეხთა აჯანყება

ყოფილა 133. ან წლიურად 44 აჯანყებაზე მეტი აგვისტოს თან უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი ან რამდენიმე თემასა და საზოგადოების აჯანყება ამ ცნობებში მოცემულია როგორც ერთი შემთხვევა. (ცნობები ამოღებულია ტფილის გუბერნიის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის მოხსენებიდან, რომელიც მას წარუდგენია კავკა-სის ნამესტნიკისათვის დასახელებულ წლებში ხალხის მოძრაობის შესახებ).

გლეხების მიერ მებატონეთა ხოცვა-ულეტვა, მათი ქონების დარბევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდა-ლურ საქართველოში. რა უყოთ, რომ ჩვენი ისტორია არ ასახელებს გლეხთა ისეთ დიდ მოძრაობებს, როგორიც იყო პუგაჩოვის ბუნე: მაგრამ ეს მხოლოდ ტერიტორია-ლურად. ბრძოლა კი აქაც ისეთივე, მკაცრი იყო, როგორც რუსეთში. კიდევ მეტი: საქართველოში კლასთა ბრძოლა უფრო ძნელ პირობებში სწარმოებდა, ვიღრე საღმე სხვა-გან. ქართველ ფეოდალებს ყოველთვის ჰქონდათ საშუალება გარეშე ძალების დამარტინ და გარებულების თა-ვისი შინაური მტრები. დაიწყებოდა თუ არა გლეხთა აჯანყების მაგვარი რამე, მებატონები გარდა ნენ საღ-მე: დაღესტანში ირანში, ან თურქეთში და იქიდან მო-ჰყავდათ შეიარაღებული ძალა ხალხის მოძრაობის ჩასაჭრობად. ათასი მაგალითიდან ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ გლეხთა ერთ აჯანყებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1743 წელს და რომელიც აჯანყებულების მიერ გამარცხებულმა ფეოდალებმა თურქეთის ჯარების დახ-ძარებით ჩააჭრეს.

ეს აჯანყება დაიწყო ზემო ქართლში და რამდენიმე დღის განმავლობაში მოედო მთელ ქანისა და არავის საერთოსათვებს. აჯანყებულმა გლეხებმა დახოცეს ერთ-

თავები, დაარბიეს და დაწვეს მათი სასახლეები.   
მიღვა ქართლის ისტორიაში დიდად ცნობილ ფუნდაცია  
გივი ამილახორზე, რომელიც იმ დროს თავის სახლში  
არ აღმოჩნდა. მისმა ცოლ-შვილმა კი წირქვალის ციხე-  
ში მოასწრო შეხიზვნა. თითქმის ყველა მებატონე  
კოშკებსა და მიუვალ ადგილებში მიიმალ - მოიმალა.  
გლეხები სრულ გამარჯვებას დღესასწაულობრივ... მაგ-  
რამ მალე გივი ამილახორს მოჰყავს თურქების 12 ათასი  
კაცისაგან შემდგარი ჯარი, რომელიც ნაცარ-ტუტად  
აქცევს აჯანყებულ სოფლებს და სისხლის მორევში ახ-  
ჩობს აჯანყების მონაწილეებს... აქ კიდევ ერთი რამ  
არის საყურადღებო. კახეთის მეფე თეიმურაზ II ირა-  
ნის 6000-ნი ჯარითა დგას კახეთის საზღვარზე. იცავს  
თავის სამეფოს აჯანყების ცეცხლისაგან.\*)

მარტო ეს ერთი ფაქტი მჩავალტომებიან გამო-  
კვლევაზე უფრო ნათლად ააშკარავებს იმ აუტანელ  
პირობებს, რომლებშიაც ქართველ გლეხებს უხდებოდათ  
ბრძოლა თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცველად.

## XVI

ასეთი იუთ ფეოდალური საქართველოს ცხოვრების  
სინამდვილე. მით უფრო საკვირეულია, რომ ქართული  
ლიტერატურა, ვიმეორებთ, რამდენადაც მას ქარ-  
თული ლიტერატურის კლასიკოსები მეთაურობდნენ,  
არ სჯერდებოდა საზოგადოებრივი ჰარმონიის აპოლო-  
გის აწყობში და ამტკიცებდა, რომ წოდებათა და კლა-  
სებს შორის საქართველოში წმინდა მამა-შვილური  
დამოკიდებულება არსებოდათ. ამ მხრით ქართული

\*.) იხ. Гос. архив СССР феодально крестьянской эпохи  
Груз. дела, К. З.

საქართველოს ისტორიული დოკუმენტები

ლიტერატურა — აზროვნება დიდად გასცილდა ამილახორის ტრაქტატს. მან თავისი საუკეთესო წარმომადგენლების პირით სრულიად უარპყო საქართველოში ძარტონების არსებობა წარსულში, და გამოაცხადა, რომ საქართველოში წოდებათა შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა. მათ მისცეს ქართველ თავად აზნაურობას წარსულში დიდი დამსახურების მოწმობა და მოითხოვეს მისი აღდგენა, როგორც კლასის. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ნ. ნიკოლაძეზე, რომელმაც 1894 წ. უურნალ „მოამბე“-ში (იხ. № 8) დაბეჭდა დიდი წერილი: „რა უშველის თავად-აზნაურობას?“. რომელშიაც ის ამ წოდების აღდგენასა და გამაგრებას მოითხოვდა. ჩვენ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ი.გ. ჭავჭავაძეზე, რომელიც თითქმის ყველა თავის ნაწერებში ქადაგებდა კლასობრივ პარმონიას (აიღთ: „აჩრდილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახი, ნამბობი“, და მრავალი სხვა) და წარსულშიც უარყოფდა საქართველოში სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების არსებობას.

თუ სწერდა:

„... იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობათ, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობ-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია... წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება, რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვადასხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომ არც ზნეობრივად, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაშორებია გლეხებს, არ შეუკეტია თავი, თავისი საკუთარი

ანტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვადასხვა, ერთი სიტყვით, არ განსხვავებულა ერთს წოდებათ, ერთს დასად... თავადსა და გხელებს შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ თავადი მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებით იხსენებოდა და გლეხი კი არა". \*

შეიძლება მითხრან: მერე აქ ალექსანდრე ამილახორას ტრაქტატის გავლენა რა შეუშიაო. შენიშვნა კანონიერია: ალექსანდრე ამილახორი სულაც რომ არ დაბადებულიყო, ქართულ ლიტერატურა-აზროვნებაში, იმ მიზეზის გამო, რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ, შაინც იქნებოდნენ საქართველოში კლასობრივი ჰარმონიის იდეოლოგები. მეორეც ის, რომ ი. გ. ჭავჭავაძეს, როგორც უაღრესად განათლებულ ადამიანს და დიდი ნიჭით დაჯილდოებულ მწერალს, ამილახორის გარეშეც შეეძლო ესარგებლა იმ წყაროებიდან, რომლითაც თვითონ ამილახორი სარგებლობდა. ეს შენიშვნა შართალი იქნებოდა, რომ თვითონ ი. ჭავჭავაძის ზოგი ნაწერების შესწავლას არ მივეყვანეთ იმ დასკვნამდე, რომ იგი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსკლის პირველ ხანებში ამილახორის ტრაქტატის უშუალო გავლენა.

\* იხ. ი. ჭავჭავაძის „ცალკეული და კნონი“, გვ. 65, 66 და 70, გამოცემული ქ. შ. წერა — კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა 1909 წ. ჩვენ აქ განვეძ ვასახელებთ ამ გამოცემას, ეტყობა ერთობ ძლიერი ყოფილა საქართველოში ეს თავად-აზნაურული იდეოლოგია; თუ საზოგადოება, რომლის დანიშნულებაც იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხში მეცნიერული ცოდნა გაევრცელებია, საჭიროდ თვლიდა, მასობრივ გამოცემაში ასეთი აზრები ევრცელებია და ისიც 1909 წელს, ჩვენი პირველი რევოლუციის შემდეგ, მას მემდეგ, რაც ქართველმა გლეხობამ თავისი რევოლუციური გამოსკლებით მოელი რუსეთის ყურადღება დაიმსახურა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმი

ნას განიცდიდა. ჩვენ აქ დავასახელებთ ჭავჭავაძის ერთ-ერთ ნააღმრევ ნაწარმოებს, „აჩრდილს“, რომელიც მას და-უწერს 1860 წელს და რომლის პირველი ვარიანტი ჩატარდა 1926 წელს დავბეჭდეთ უურნალ „მნათობ“-ში № 3-23). „აჩრდილი“-ს ამ ვარიანტის უბრალო შედარებაც კა საკმაო ამილახორის ტრაქტატთან იმის დასამტკიცებ-ლად, რომ ჭავჭავაძე დიდად განიცდიდა „აღმოსავლე-თის ბრძენის“ ავტორის გავლენას. ეს იმდენათ აშკარაა, რომ თვით „ქართველთაღმი“ მიმართვაში (დამატება), რომლითაც თავდება „აჩრდილის“ ჩვენ მიერ გამოქვეყ-ნებული ვარიანტი, თითქმის ერთი და იგივეა, რაც ამი-ლახორის ტრაქტატის დასასრული. ამილახორი ასე ათა-ვებს თავის ტრაქტატს:

„მცირე ვყავ ჭირი, ვაუბენ პირი  
შესაწევნელად მამულთა თვისთა.  
სიყრმითაგან ჩემით ჭკვა გასაჩემით  
შეუპყრავ შურსა კეთილთა ვისთა.

თუ ჩემებრ ძმანი ცდილობდენ სხვანი,  
ბედნიერ ყოფდენ ყოველთა მისთა.  
და არ ჰქონდესთ თვისი, ივასხონ სხვისი,  
კვლავ შეიწევდენ ზე ძალთა ღმრთისთა“.

ი. ჭავჭავაძე თავის „აჩრდილს“ ასე ათავებს:  
„თუ ჩემს ცრემლს ეხლა ფურცლებზე შემწრალს,  
თქვენი ცრემლიცა მოემატება,  
მაშინ, ვფიცავ იმ დამხსნელ ვარსკვლავსა  
იგი, რაც გვინდა აგვისრულდება“.

ამილახორის ტრაქტატის უშუალო გავლენას განიც-  
დიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზიკა. აიღო, <sup>მაგა- და გადამიტოვა</sup> მისი პოემა „ბედი ქართლის“, რომელშიც პოე-  
ტი ლექსად გვეუბნება იმას, რასაც ამილახორის ტრაქ-  
ტატში პროზათ ეკითხულობთ. ავილოთ მაგალითად,  
პოემის ის ადგილი, სადაც მეფე ერეკლეს მინისტრი  
გაჟვირებას გამოსთვამს იმის შესახებ, რომ სასოწარკვე-  
თილებამდე მისული მეფე წყვეტს ქართლ-კახეთის  
ჭამეფოს ბედს.

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!

ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას  
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,  
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი;  
და იგი მათს ბედს ისე განაგებს,  
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!“.

და ამის შემდეგ განრისხებული პოეტი ეკითხება  
მეფე ერეკლეს:

„მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება —  
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
და უთურგვნიდე თავისუფლებას?“

შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,  
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,  
და რად ივიწყებ, რომე მარადის  
მეფის გულის-თქმა ერსა ეკუთვნის!..“

ნიკოლოზ ბარათაშვილი, სამწუხაროდ ჯერ კიდევ  
მა არის კრიტიკულად გარჩეული და შესწავლილი,  
თუმცა მის პოეზიაზე ბევრი სწერდა და დღესაც ბევრი

16. 03. 2023 10:45

სწერს; მაგრამ ავტორები თავის დანიშნულებას ხედა-  
ვენ მხოლოდ იმაში, რომ აქონ ბარათაშვილის პოეზია,  
ესე იგი ცდილობენ აღმოაჩინონ ამერიკა, რომელიც და-  
დი ხნით მათზე აღრე აღმოაჩინეს თვითონ ბარათაშვი-  
ლის ლექსების მკითხველებმა. მაგრამ ჩვენთვის ცხადზე  
უცხადესია, რომ ზემოთ მოყვანილი ტაეპები ბარათა-  
შვილს დაწერილი აქვს „ალექსანდრე ამილახორის ტრაქ-  
ტატის უშუალო გავლენით. კიდევ მეტი: ეს ადგილები  
პირდაპირ იქიდანაა გაღმოწერილი. განსხვავება მხო-  
ლოდ იმაშია, რომ ამილახორი სწერდა ძნელი გასაგები  
პროზით, ბარათაშვილი კი სწერს ჩინებული ლექსით. ამა-  
ში დაგვეთანხმება ყველა, ვინც მიიღებს თავის-თავზე  
შრომას და შეადარებს ბარათაშვილის პოემიდან აქ მოყ-  
ვანილ ტაეპებს ამილახორის ტრაქტატის ზოგიერთ ად-  
გილებთან. ბარათაშვილს მეტი წყაროები არ შეიძლე-  
ბოდა ჰქონოდა მის ლექსებში გამოთქმული აზრების შე-  
სასწავლად თუ არა „ბრძენი აღმოსავლეთისა“. ისინი,  
ვინც იცნობენ ბარათაშვილის ცხოვრების გზას, მისი გა-  
ნათლების ცენზს, მის შემოქმედებას, უეჭველად დაგ-  
ვეთანხმებიან, რომ ჩვენს პოეტს არ შეეძლო ყოფილი-  
ყო საფრანგეთის ენციკლოპედისტების უშუალო გავლე-  
ნის ქვეშ.

1

ჩამახუა  
ო გ ბ ა ნ ი

ჰქონდ აღმოსაფლეთისა, გინა განზრახვა  
მისი; სასელმწიფოსათვის, შმართებლობისა.

შეძლნობილი სამაფლობელად, აწ მპყრობელისა მე-  
ფისად, ომერთა სოლომონისა. თავადისა მიერ, ალექსანდ-  
რე ამილახორის შვილისა.

ყოლად მოწყალეო მეფეო,  
ღიდებულო სოლომონ.

წყალობა და კეთილნი ღიდებულებისა თქვენისა,  
ეგზომ დაბეჭდილ არიან ვონებასა ჩემსა, რაზომ იგი ბო-  
როტებანიცა, სიყრმითვან მდევნელისა ჩემისა: რომელსა  
მომცემიეს ურძნობა ორთადვე, ჭამითვან პირველისა მამისა  
მიერ, ხისა მისგან ცნობადისა ბოროტისა და კეთილისა,  
რომლისათვისცა ვლალადებ სიღრმით გულისათ, ვითარ  
იგი ბოროტებასა მისისა, ეგრეთვე კეთილსა შენსა, ყო-  
ვესლა ქვეყანასა ზედა. და რაზომცა ვალდებულ ვარ  
ღიდებულებისაგან თქვენისა, გამოხსნითა მდევნელისაგან  
ჩემისა და ცხოვრებითა აწ კურთხეულსა შინა სახელმ-  
წიფოსა, ეგზომ მხურვალება გულისა ჩემისა მოწადეობის  
თქვენდა ღორისისა მსდლობისა მიცემად. გარნა უღონო-  
ბითა ჩემითა, სხვისა ვერასა მპოვნელი შესაფერთა მე-  
ფობისა თქვენისა საძლნოთა, მოგიძლვნი მცირესა ამას  
ნაშრომსა ჩემსა, განზარჩვასა აღმოსაფლურისა ბძნისა-  
სა, ჩემ მიერ მოპოვნებულისა. მოხედუ სიმაღლით ხარი-  
ხისა შენისა მცირესა ზედა ამას ძლვენსა, მიიღე კეთი-  
ლად და შერთე სიქველესა შენსა განზრახვაცა აღმოსაფ-  
ლურისა ბრძნისა მის.

შეფობდი სვიანად და კეთილ დღიანად, მუგავსად  
ყოვლად ბრძნისა მის მოსახელისა შენისა.



უმდაბლესი მონა მეფობისა თქვენისა

თ-დი ალექსანდრე ამილახორის შვილი

თავი: ა.

## მეფეთა მმართებელობისა

ნეტარ არს ერი მქონებელი მეფისა ბრძნისა, და ნეტარ არს მეფე მყოლელი ერისა მორჩილისა თვისასა, ურომელთაოდ რომლისაცა ერთისა ბედნიერება მეორისა არა სრულ იქმნას. მმართებდამცა პირველად მეფეთაგან თხოვად ნებისა მიცემისათვის ერისა უპირატესობისა. გარნა მოიმედემან მოტევებისა ღირს ყოფად ვიკადრე პირველად ხსენება მათი, ვინათვან დიდებულებაცა მეფეთა არა უმეცარ არს მისთვის, რომლისაცა მიზეზით დიდება მათი აღმატებულ არს სხვათა თვით სახეთა კაცთაგან.

თანამდებ ვარ პირველსა შინა ამას თავსა, მეფეთა მმართველობისასა განმარტვად თვითონეულისა მკითხველ-თად რომლისა ხამს არა უმეცრება, რომელ არა დამჭირნო იყო ერთისა მარტოდ სახისა ეზომ უპატიოსნესობისა მიცემა; არა თუ ერისა მშვიდობისათვის და დღე კეთილობისა რომელსა მოიღებენ ყოველნი თვითეულნი ბრძენთაგან მართებათა თვისისა გამორჩეულისათა: და რომელთა მოიმედეთა თვისისა დღეკეთილობისა სიმრავლე თვისი ერთსა ქვეშე პირსა დაამორჩილეს.

ჰო! რაზომ ბედნიერ არს და უმეტეს სანატრელ, მეფე მგრძნობელი თავსა შორის თვისა ვალდებულობისა თვისისა და მტვირთველი ღირსად სიმძიმისა გვირჯვინთა სამეფოთასა, რომელსა არა უჩნს მსუბუქად უღელი მისი,

და რომელმან იცის პყრობა სკიპტრისა, რომელსა მას ცეკვებისას ხელთა ყრმებრივყდ სამღერალად: არათუ მამა მამა შვიდებელად შინაგანთა აღშფოთებათა და მომგერებ-ლად გარეშე მტერთა, და რომელმან იცის უფლება თვისი არა უსახლვროდ და რომელი მიიჩნევს მათცა თა-ნასწორად თავისა კაცთა, რომელთა მისცეს მას უფლება თავსა ზედა თვისსა და იქცევის მათთან უმეტეს მსგავ-სად უხუცესისა ძმისა, ვიდრე თავმოყვარისა მეფისა და რომელსა არა შურს უკანასკნელიცა სიცოცხლე თვისი მათისა მშვიდობისათვის, რომელი ყოველსა ჟამსა გინა წამსა სიცოცხლისა მისისასა განატარებს ფიქრსა შინა მოპოვნებად გზისა მათისა დღე კეთილობისათვის.

რაზომ განყოფილ არს მეფე ესე გვარი მეფისად ესრე-თისა, რომელი ჰერნებს თავსა თვისა თვითუფლად ერ-თა ზედა თვისთა და ერთისა მარტო დიდებისათვის თვისი-სა შექმნულად ერსა. ვაი ერისა მის შევარდნილისა უფ-ლებასა ქვეშე ესე გვარისა კაცისა, რომელი ნაცვლად მა-თისა დღეეკეთილობისა, ეძიებს მარტოდ განცხრომისა თვისსა და სიცოცხლესა ზედა მათსა შეექცევის ვითარ სიმღერელსა რასამე ნივთსა. არა სჭირს მტერთაგან მო-წყვეტასა ზედა მათსა, არცა სახლეულთა მისთა წარტა-ცებასა. ფიქრობს თავისა ოდენ გადარჩომასა და მათ მო-ნაცვალედ ჭირთა შინა თვისთა დაბადებულად ჰერნებს; ითმენს. სულგრძელად ტირილსა ქვრივთასა და ვაებასა ზედა ობოლთა მათთასა არა რა ეჭირვის, უხარის მარ-ტოდ/სიცოცხლე თვისი, და სახლეულთა თვისტა გარემო თვისა ყოფანი; დაუვიწყებია ფიცი თვისი და ვალი, რომლითა ვალდებულ ეჭნა ერსა უკანასკნელისაცა სი-ცოცხლისა დადებად მათისა მშვიდობისათვის, რომელი არა თუ მოგერებასა გარეშე მტერთსა ცდილობს, ში-

ჩავანისაც აღშფოთებასა მოწადეობს ერთისათვის უფლებისა თეისისა დამტკიცებისა და ესე არა იცის რომელ გაოხრებასა უკან ერთასა უბედურება მისღაცა მიახლოვდების, რომელი თუმცა დამჭირნე იქმნას ცერლარა ძალი იდებს გარდარჩომასა მტერთაგან, გინა შინაგნითა აღშფოთებითა, რომელი უძვირეს მტერთასა საზარელ არს, რომლისა მრავალნი სახენი წინა გვიცს წარსულთა უამთაგან. რაზომ შებრალებისა ღირს არს სიბრძე ერთა მის, რომელთა, მოცემული ღვთისაგან ეზომ მცირესა ხნისა სიკოქლე, იგიცა ხელსა ქვეშე ესე გვარისა კაცისას მიანდვეს, და გამოუძიებლად ზნისა და მიღრეკილებისა მისისა ერთისაოდენ ჩინებულობისათვის გვართა მისთასა დაემორჩილნენ.

არა შეურაცხებისათვის გვართასა ვიტყვი ამის, რომე არა პატივს ვსცემდე სისხლთა მეფეთა და თავადთასა, რომლისა მამათა მოიღეს პატივი იჯი სახელოვნებითსა თვისითა და დაუტევეს ჩამომავალთა თვისითა მასშიგან შობილებითა ნიჭად თვისისა მსახურებისა მამულსა ზედა თვისა. გარნა უმეცრება ამისი არა ჰეთის შეილთაგან მათთა, რომე მამათა მათთა მოიღეს ღირსად პატივი იჯი აწ მათვან თვისებული მრავალ გვართა მსახურებითა მამულთა ზედა თვისითა, ეგრეთვე ძენიცა მათნი თანამდებ იქმნებიან განშორებასა მისგან, ბოროტქცეულებითა თვისითა მამულსა შინა თვისსა. რომელთა არა მოუდიეს ს.მაგრით და რომლისა უფლება ხელთა შინა ერთა სა დაშორებილ არს ბოძებად კეთილისათვის და წარმარა ბოროტისათვის; რომელნი თუ არა სიბრძნით ვითარ შალმთოსა რასამე თაყვანისცემენ გვარტომობასა მათსა.

არა ყოვლისა გვრისა აღხოცასა და მიუჩნევლობა-სა ფიტყვი, არა თუ მათ შიგა ბოროტთა გამოკლებასა,

რომელი არა უპატიო ყოფს გვარსა მას, თუცა გარდაა-  
ცილო ხარისხი იგი მას, რომელი არა სათნო არს უკოთოობა-  
ბისათვის; და მისცე ულიჩსესსა მისსავე გვართასა, რო-  
მელნი ზოგჯერმე ერთსა შინა გვარსა იპოებიან უმეტეს  
ოცისა კაცთა; ნუ თუ ყოველნივე საუბედუროთ წინათა  
მათთა უხმარ არიან და არც ერთი ეპასუხების სახე-  
ლოვნებასა მათსა. მე პატივსვცემ გვარსა, მივიჩნევ ნამსა-  
ხურსა, გარნა თაყვანის ვცემ კეთილ მოქმედებასა ვის-  
თარ ღვთაებასა რასამე, რომელი დამჭირნო ესე არს ყოვ-  
ლისა კაცებისათვის: ურომლისაოდ ყოველი არა რად  
შეიცვლების.

მე მეფეთა უფლებისა ქონათა და თავისა დიდება-  
თა არა უძრახავ, ვინათვან ხარისხსაცა მათსა იგი შეე-  
ფერების, გარნა არა მძლავრებით თვისებული არა თუ  
ღირსებით პოვნებული.

დასასრულსა შინა პირველისა ამის თავისა მეფეთა  
მმართებელობისასა მინდა კითხვა თავმოყვარეთა მეუფ-  
ლეთათვის და მოსურნეთა სრულისა უფლებისა ხელთა  
ქონებათ: რა არს უმჯობეს კეთილ მოქმედებისა? რომელ-  
სა ბოროტ მოქმედნიცა ეშიშვიან და წინაშე პირთა  
მისთა წარდგომად ირცხვიან? რა არს უძლიერეს მოწ-  
ყალებისა, რომელსა მტერნიცა ემორჩილებიან? რა არს  
უდიდეს მართლმსაჯულებისა, რომელსა მსგავსება ღვთისა  
მოულიეს თავსა შორის თვისა? რა არს უმტკიცეს სიყ-  
ვარულისა, რომელი მქონელთა მისთა უმაგრეს ჯაჭვი-  
სა შეჰერავს? და რა არს უამეს ეგრეთისა შვილ მრავ-  
ლობისა, რომელსა ღირსად პატივი მამულთა მამობისა  
მოულიეს? რომელნი კითხვასა ზედა ჩემსა შეურაცხებით  
მეტყვიან, შეძლებასა სხვით გზითცა მოპოვნებასა სახე-  
ლოვნებისა და უფლებისასა, უხმარებელად ზემორე ხე-



ნებულთა კეთილთასა ესე გვართა მწყემსია თავის თუ  
კაცთა, პირუტყვთაცა მწყესად, ღმერთო, შევუზარდები!

თავი: ბ.

## თავადთა და მთავართათვის სამეფოთასა

სახელი ხელმწიფისა ერთი არს, გარნა მპყრობელო-  
ბა მისი განიყოფების მრავალ უფლებად მოწესეთაგან  
კარისა მისისათა; ზოგჯერმე მეფე ბრძენი და კეთილ-  
მოქმედი ერითურთ მორჩილით მრავალთაგან ამათ უფ-  
ლებათა შეიცვლებიან და ნაცვლად თვისისა დღევა-  
თილობისა აღშფოთებასა შევარდებიან. რომლისათვის  
დამჭირნო არს აქა: ვითარ სიფრთხილე ერისა გამორ-  
ჩევასა ზედა მეფისასა შეუცდომლად, აგრეთვე მეფისა-  
გან ბრძნისა და კეთილმოქმედისა მსგავსება ღვთისა ჭეშ-  
მარიტებით ჟემზადებასა ზედა გვამისა საეროთასა. ვითარ  
იგი ღმერთმამ მუშაკობისაზე პირველისა კაცისასა ყო(ვე)-  
ლნი ასონი შესაწევნელად და დამცველად სიცოცხლისა  
მისისა მოსცა მას. აგრეთვე მეფე ბრძენი შექმნული თა-  
ვად საეროსა გვამისა, თანამდებ არს შეკრებად თვითოვე-  
ულთა ასოთა შესაფერთა თვისთა, რომლითა ერთბამად  
კეთილად დამცველ იყვნენ ერისა თვისისა, რომელსა მი-  
ვიჩნევ სიცოცხლედ მათდა, რომელი არს ეგრეთცა ჭეშ-  
მარიტებით, ვითარ იგი უსიცოცხლოდ გვამი ყოვლი-  
თურთ ასოთ უხმარ არს, ეგრეთვე უეროდ შეფე და ყო-  
ველნი დიდებულნი მისნი.

ამისთვის ხამს რჩეულთა კაცთა ყოფა. გამგეთა კა-  
რისა სამეფოთასა, რათა უწესოდ ჭეულებამან მათმან  
არა გამოაჩინოს მეფე საპყრად. ვითარ იქმნას სისრული  
გვამისა სამეფოსა, თუცა ზედამხედველი თავთა სასა-

მართლოთა მეფისა ნაცვლად იყოს კაცი მესისხლე, კართლის მეფეს შელი თვალად მეფეთა შეირაცხვიან და რომელი გამოაჩინს მეფეს, მსგავს ვასილისკოსა, რომლისა შეხედვა ვერ ითმენს სიცოცხლესა კაცთასა და წამსა თვალისასა მიხდის მის ყოველს ნახულსა თვისა. ეგრეთვე უწყალოება მოსამართლეთა მოჩივართა ზედა, რომელნი არა მიუთხოვდენ მეფესა და თვითმძლავრებითა თვისითა განაგებენ ნებისაებრ თვისისა, წარმოადგენენ მეფესა. ყურთა უფსკრულად მიუწდომელად სმენისა, რომელი არა გრძნობს ჭირსა მათსა და ვერცა ისმენს ლალადებასა მძლავრებულთასა. ეგრეთვე თვითეულნი ასონი სამეფოთანი, მქონებელნი ბოროტისა აგებულებისა, მომწევნელ არიან სასიკვდინესა სენისა გვამისა თვის საეროთასა გინა სამეფოთასა, თუ არა განპკურნო იგი მოკვეთითა ესე ვითართა ასოთასა.

თავი: გ.

## მსედართა და მთავართა მათთათჯის

წესი სამხედრო შეირაცხვიან ურჩეულესად ასოდ ვვამისავის საეროთასა, ურომელთაოდ არა შეიძლების ცხოვრება შორის ძრერთა გინა მეზობელთა მის სამეფოთასა: კითარ იგი კაცი უხელოდ რომელი ვერცა ძალიდებს მოგერებასა მტერთასა და ვერცა შეწევნასა მეზობელთასა.

ამისთვის ხამს კაცთა რჩეულთა სიბრძნით და სიმხნით ყოფა მხელართ მთავრებად, და ქვეშეთა მათთა ვითარცა სიმხნით ეგრეთვე მორჩილთა სმენით ბრძანებასა მთავართა თვისთასა. რომელნი ეგრეთვე ვალდებულ არიან ერთი ერთისა ვითარ იგი საერთოდ მეფე წყალო-

ბად და სიყვარულად: და ყოველნი მისდა მორჩილობა,  
და ერთგულად, ეგრეთვე მთავარნი მხედართა და შე-  
დარნი მთავრისად თვისისა, რომელნი ესე გვარითა წესი-  
თა უმეტეს მოიყვანენ ქვეშეთა თვისთა მორჩილებასა,  
ვირე შიშით და რისხვით; ვინაიდან ესე ყოველთა იციან  
შიში უწესო მოსაწყენელ არს ყოველთა, და სიყვარულ-  
სა მტკიცესა არა აქვს დასასრული. არც ჯერაბს უხუ-  
ცესთაგან მეტობისათვის ხარისხისა თვისისა შეურაცხება,  
უმრწემების თვივისა, ვინათვან იციან არა ყოველთა ყო-  
ფად უფლად არცა ყოველთა ყოფად მსახურად, გარნა  
ერთი ერთისა შემწედ დადგინდულ არს: და ყო(ვ)ელნი  
ერთობით დამცველად მამულთა თვესთა.

აქა ჯერ არს სიფრთხილე მეფეთა გამორჩევაზედა-  
მხედართ მთავრად, ვითა გამოცდილთა ბრძოლასა შინა-  
ეგრეთვე ერთგულთა და მოყვარეთა და ჭეშმარიტთა  
შვილთა მამულისა თვისისათა, რათა არა იშიშოდეს  
მათგან ორგულებასა და ღირსებისაებრ მათისა მათზედა-  
უხვებდესკა შინიჭებითა შესაფერთა მათთა წყალობი-  
სათა; ეგრეთვე ქვეშეთა ზედა ხელისა მათისათა, რათა  
ყო(ვ)ელნი ხარისხისაებრ მათისად ღირსებისა მიიღებდენ  
სრულებასა თვისისა, ვინაზგან ყო(ვ)ელნი თანაზიარ არიან  
მორჩილებითა თვისითა კეთილად მყვანებლობისა მთავ-  
რისა თვისისათა, გარნა სიმრავლე ჯარისა და სისრულე  
მათი შეძლებისაებრ შემოსავალთა სამეფოთასა, ვინადგან  
უმეტესობა ზომისა ძალისა ნაცვლად მოიყვანს უძლეუ-  
რებასა შინა, გარნა სრულიად უყოლელობა მათია არა  
ეგების, ვინათვან ვითარება სოფლისა ამის უმეტეს მიღ-  
რეკილ არს შურისა და ბრძოლისა, ვიღრე მშვიდობის  
და სიყვარულისა, რომლითა ბუნება ჩვენი უმეტეს მიმს-

გაფასებულ არს მხეცთა, ვიდრე პირველისა მის კარის, /  
მღვთისაგან სრულებით შენულისა.

საქონლის  
მიზანის მიზანი

თავი: დ.

## სამღვდელოთა წესთათვეის

წესი სამღვდელო დასაბამითგან თვისით დადგინებულ არს კეთილისა განზრახვით და უმეტეს მამშვიდებელად და აღვირ სხმად ბოროტებისა კაცთასა; გარნა რომელსამე უამსა და თვით ჩვენსაცა გამოჩნდენ რომელნიმე ნაცვლად მშვიდობისა აღმშფოთებელად არა თუ მარტოდ მამულთა თვისთა, თითქმისა ყოვლისა სოფლისა. და ესე არა ვიცი, რომლისა მობაძობით ქრისტესა, ანუ ანტისა მისისა? ქრისტე არავის ხმლითა არცა მაკრატლით უქადაგებდა რომელსა აწინდეგლნი ხშირად ხმარობდნ. ქრისტე აქ არა სიგლახაკე სა აჩჩევნებდა, და მოადგილეთა მისთა მეფობასა გული უთქვასთ. ქრისტე ერთი ერთისა ლოცვასა ეტყოდა და ესენი ერთი მეორესა შეაჩვენებენ; იგი ყოვლისა სოფლისა ერთმწყემსობასა გვითქმიდა და ამათ მოქცეულიცა მისი გაამრავალმწყემსეს. და თუცა მოქმედება სიტყვისა ქრისტესა გვწამს ჰეშმარიტებით, არღარასა კეთილისა გვმართებს მოლოდინება, ვინათვან კრულნი მათნი აქაცა და იქაც შეკრულ არიან, რომელნი ერთი ეკლესია შეორესა შეაჩვენებენ, და თვით საქმითაცა ჩანს ეგრეთ, რომე დაპყრობილ არს სოფელი უმეტეს ბოროტებითა, ვიდრე სახარებულისა მშვიდობითა და ამისთვის მგონია უმჯობეს იყოს რჩევითა მათთა არა შევაიწრობდეთ სხვათა მესარწმუნეთა და ნებას ვცემდეთ რჯულისაებრ თვისისა აღსარებასა, ვინათვან უფლება სულისა მათისა არ არს ჩვენ-

და მოცემულ და არცა ვეპასუხებით მათ შინა ღმერთისა და  
 არცა ვსცოდებთ წინაშე მათისა სიწმინდისა, თუმცა მათ  
 ვითარცა კაცთა დაუდვათ საზღვარი რათა არა გარღვევა  
 დენ, ვინათგან სოფელსა შინა არა რა არს უსაზღვრო და  
 გავს არცა რასი ჯერარს ყოფა უმისოდ, გარეშე ღვთისა  
 ომელი ვითარ უსაზღვრო არს, ეგრეთვე მიუწვდომელ;  
 და ჩანს მცირეცა ერევის მოკლესა ამას ცხოვრებასა  
 ჩვენსა, ვინათგან სულგრძელი მსაჯული სულმოკლებასა  
 ჩვენსა ვერა კმაუყოფს უწინარეს გარდაცვალებისა ჩვე-  
 ნისა სალკუნესა და უსაზღვროსა სამეფოსა მისსა. არა ამი-  
 სთვის ვიტყვი რომე არა პატივსცი მწყემსთა სამღვდე-  
 ლოთასა, რომელნი მოურავად სოფლისა მის დადგინე-  
 ბულ არიან, საღაცა აუცდომელად გარდაშენება მცირე  
 ეამისა ამის საწუთოსაგან გვმართებს ყოველთა, არა თუ  
 გარჩევასა მათსა სოფლიერთა ამათ კაცთაგან და რათა  
 არა ერეოდენ შეუფერთა თვისთა საქმეთა შინა; და რა-  
 თა ჩვენცა შემძლებელ ვიყვნეთ მიცემად შეურევნელად  
 კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთისა.

თავი: ე.

## ქაჭართათვის

არა რა არს ეგრეთ განმამდიდრებელ და განმაძლიე-  
 რებელ სახელმწიფოსა ვითარ სიმრავლე ვაჭართა და  
 ვაჭრობა მათი, რომელნი მოვლიან ყოველსა სოფელსა  
 და შემოჰკრებენ ყოვლგნით კეთილსა მამულსა თვისსა  
 და დამჭირნისა ცხოვრებისათვის კაცთასა. ამისთვის  
 ხამს ცდა განმრავლებისა მათისა და გახალისება მათი  
 საქმეთა შინა მათთა და ნურცა ვინ შეურაცხველოფს სა-  
 ხელმწიფოსა შინა მათ, რომელნი შეირაცხვიან სიმაგრედ



ჯარისა, შემმოსელ ერთია და ღიღებად მეფისა. რომელთა  
სა სძულს ვაჭარი და შეურაცხჰყოფს, ნურცა უყვარს  
მას სიმრავლე თეთრისა და ნურცა ღიღებით ცხოვრება  
თვისი, ურომელთაოდ არა ეგების არცა ერთი. და რო-  
მელთა მივიჩნევ ღიღად მონაწილედ კეთილოვნებისა სა-  
მეფოსათა. ვაჭართა მიუღიეს თავსა შორის თვისა მსგავ-  
სება ბუნებით: კეთილ გონიერისა ფუტკრისა, რომელი  
მპოვნელი მზესა ქვეშე ყოვლისა სიტკბოებისა, შემოჰკ-  
რებს ბუდესა თვისა და აღავსებს თავსა თვისა და პატრონსა  
სიტკბოებითა და თუმცა ვპოებდეთ რასამე ნაკლულო-  
ვანებასა ვაჭართა შინა, ხამს ეგრეთ მომთმენულ ვიზვნეთ,  
ვირარ იგი პატრონი ფუთკართა ისარისა მისა.

### თავი: ვ.

## გლეხთათვის გინა მიწის მოქმედოა კაცთა

ხარისხი მათი თუცა უკანასკნელად ერაცხილ არს  
სახელმწიფოსა შინა, გარნა მოქმედება მათი მოიღები-  
პირველობასა, რომელნი შეირაცხვიან მზრდელად ყოვ-  
ლისა საერთობოსა ყოვლისა ნაკლულ კანებისა მოთმე-  
ნად შემძლებელ არს კაცი და არა უსაზრდოებისა. რომ-  
ეთა ბუნება ჩვენი უწინარეს ყოვლისა მას ითხოვს და  
არცა რისად სკალს სხვისა განზრახვად პირველ განმტკი-  
ცებისა თვისისა და რა სრულუყოფს ავებულებასა თვისისა,  
მაშინ გონება მისი განვრცელდების და მისწვეობისკა  
კიდემდე ყოვლისა სოფლისა მრავალ გვარითა განზრახვა-  
თა მისითა, აწ ამ გვართა დამჭირნოთა ნივთთა მომპოვნე-  
ბელთა და მუშაკთა მისთა, რა გვარ მართებს დაცვა და შე-  
წევნა გასამხნობელათ საქმეთა შინა მათთა, ესე ყოვლი-  
ს კეთილ გონიერისა კაცისა უწყებულ არს და არცა

ჯერ არს კისიმე შეურაცხება, ვინათგან ერთი **მეორე-**  
სად დამჭირნო არს, უკანასკნელი პირველის, და **შილველი**  
უკანასკნელისა დამოკიდებულ არს და არკა ვის ძალუც  
თქმად თავისა უმჯობესობა, ვინათგან ერთი მეორისა  
სახმარად ვიშვებით და ერთი ერთისაგან გამოვიზრდე-  
ბით ცხოვრებასა ჩვენსა და ყოველნი ერთად და თანას-  
წორად გარდავ შენდებით უცნაურსა მას ჩვენგან საუკუ-  
ნესა. და თუცა გავსინჯავთ აქაცა თანასწორად შობილ-  
ვართ და არავინ არს უმჯობეს ერთისა, არცავინ უარედ  
მეორისა, გარნა ყოველივე ერთისა გვამისა საერთოთასა  
ასოდ და ნეტარ არს ერი და უმეტეს ბედნიერ სადაცა  
ბუნებითი ესე გასინჯულება დაივანებს საერთოსა შინა  
კეთილოვნებისა მათისა სავანესა.

თავი: 8.

## სამოქალაქო სჯულთა დადებისათვის

ყოვლისა კეთილ გონიერისა სჯულის მდებელისა  
თანამდებ არს პირველად სამისა ნივთისა შეკრება გინა  
გამოძიება, და მერმე ერისა თვისისა სასარგებლოსა სჯუ-  
ლისა დადება: პირველად მდგომარეობა უმისა, მეორედ  
ჩვეულება ერისა და მესამედ ბუნებითი გასინჯულება,  
ურომელთაოდ შემზადებული სჯული მორჩილებისა  
ნაცვლად მოიყვანს ერსა ურჩებასა და აღშფოთებასა, გი-  
ნა უმჯობეს ყოვლისა სჯულისა იყოს იგი, ვინათგან  
ჩვეულებასა მათისა და ზნესა ეუცხოების; და რაღვან ყო-  
ველი კაცი, ვითა სხვისა და სხვისა სახისაა ეგრეთვე სხვა  
და სხვა გასინჯვისა და ზნისა, ვითა ყოველი ქვეყანა სხვი-  
სა და სხვისა კლიმატისა, ეგრეთ მასშინა მცხოვ-  
რებნი სხვა და სხვა ჩვეულებისაა, და ამისთვის

არა ეგების ერთისა ქვეყანისა სჯულისა მეორესა შინა  
დადებად, არა თუ შესამზღვავსთა მათთა შეძლებისაც არა  
მათისა და ყოვლისა მუხლისა მქონებელისა თავსა შორის  
თვისსა სიმტკიცისა სჯულიერისა მართებს დადება გულის  
ხმიერად და დიდისა სიფრთხილით, რათა არა დამჭირნო  
იყოს ცვლილებისა ქვეშე შევარდნად ვინათვან არა ჯერ  
არსა და არცა სარგო არს ერთხელ დადებულთა სჯულთა  
ხშირად ცვალება; და რაცა შეეხების დამნაშავეთა კაც-  
თათვის ყოვლისა ზღვევინებისა მიწერად შესაძლებელ  
არს ღირსებისაებრ მისისა, გარეშე მისა, რომლისაცა მი-  
ცემა არა ძალგედვას მას ნუ წაუხვამ. და თუ იგი წამხ-  
მელიყრეს სხვისად მაშინ ჯერ არს სიმართლითა სჯული-  
სათა მისიცა ზღვევა, წესისაებრ ძველთა სჯულთასა, სისხ-  
ლისა წილ სისხლი. და შემდგომი და რომელი არცა ბუ-  
ნების შჯულთა წინააღმდეგობს გარნა, ვგონებ, მაშინცა  
სისხლისა მინიჭებად და საუკუნოდ ექსორისა ღირსად,  
ვინათვან ცოცხლისა სიკცილი ყოვლისა კაცისა შესაძ-  
ლებელ არს და აღდგინება მისი არავისგან.

თავი: ჸ.

## სწავლისათვის მეცნიერებისა და სელოგნებისა

სწავლა მეცნიერებისა არს განმანათლებელი თვალ-  
თა და გონებათა კაცთასა, და მომპოვნებელი გზისა ოდეს-  
შე უზრდელობით შეცდომილთასა; სწავლა არს მსგავსი  
ნათლისა ღლისისა, რომელსა შინა არა დამჭირნო არს  
ბრწყინვალება სანთელთა ღამისა სიბნელეთა შემწისა და  
რომელსა შინა ვალს კაცი ყოვლისა ღაუბრკოლებელად

სადაცა ენებოს, რომლისთვისაცა ხამს მეუფლეოთა ცდა  
 განმრავლებისა ქვეყანასა შინა თვისა მეცნიერთა კაცო-  
 სა, რომელი დიდად შემწეობს უმეტეს პართებას შინა  
 ერთასა და არცა ჯერ არს უმეცართა კაცთა მთავრობა  
 ვისიმე, ვითარ იგი ბრმა ბრმისა წინამძღოლად. რაზომ  
 განმრავლებეს მეცნიერება სახელმწიფოსა შინა, ეგზომ  
 ულელი მეფეთა შჩომისა შემსუბუქდების; ვინათვან  
 მეცნიერთა კაცთა ერთისა სიტყვითა უადვილეს არს და-  
 მორჩილება, ვირე უგუნურთა ასითა განმარტებითა და  
 რაცა შეეხების ხელოსანთა კაცთა, რა უმცირეს სხვათა  
 შემწეობს სახელმწიფოსა, რომელთვი სწავლულებითა  
 ყოველი იგი ნივთი სახმარი თავისა ქვეყანასა შენსა ჰპონ  
 და არღა იყო დამჭირნე სხვათა ქვეყანისა შინა ძიებად,  
 და ყოველი ძვირი მუნამდე, იეფად გიჩნდეს შეწევნითა  
 ხელოსანთა კაცთასა და მგონიეს უამეს იყოს და სასარ-  
 გებლოცა ნივთი იგი ქვეყანასა შენსა ნამუშაკევი გინა  
 მცირეთ რითმე უძვირეს გიჯდეს სხვას ქვეყნურთა ნივთ-  
 თაგან, ვინათვან ფასი იგი ქვეყანასავე შენსა დარჩების  
 და ერივე შენი ისარგებლების, და არცა შეირაცხვის შენ-  
 თვის წარგებად, რაღან ყოველი მათი შენი არს და შე-  
 ნი ყოველი მათი.

თავი: თ.

საჭურველითა უმეტეს ისახელების მუფე,  
 ანუ მშეიდობიო?

საჭურველი, რომელსა ბუნებითადცა აქვს თავსა  
 შორის თვისა თვისება უღერისა, ეგრეთ მრავლის ხნით  
 კაცთაგან განდიდებულ არს და ცათამდე აღწევნილ ქუ-

ხილით სახელი მარჯვეთ მხმარებლისა მისისა, გარნა  
არავისგან შესაძლებელ არს ღამტკიცებად საბერძნებ-  
როდ კაცთა შემოლება მისი არა თუ საუბედუროდ, რომ-  
ლითა შემოლებითვან მისით ვვონებ, უმეტეს რიცხვი  
მოწყვედილარს მით, ვირე ბუნებით საჭურველისა სიკვ-  
დილისაგან. და ამისთვის არა თუ შემომლებელი მისი,  
მხმარებელითურთ ვაქო, თუ ხელნიცა მისვე განზრახვით  
ჩვენდა მოცემულ იყოს ღვთისაგან, განზრახვასაცა მისა  
შეუზარდები და უძვირეს კბილთა მრაცებელთა მხეცთა-  
სა შევრაცხავ მას, ვირე ურჩეულესად ასოდ კაცთათვის.  
და ჭრეთ მხმარებელი მისი არა უსახელოვნებს არს  
მხმარებელთა დარიშხანისა, რომლითა უკანასკნელი ესვ  
უმეტეს ერთისა მოწყვედასა შეიძლებს ერთისა ლიტრისა  
დარიშხანითა, ვირე პირველი ასისა ლიტრითა წამლითა.  
თუცა ბოროტის მოქმედება სახელოვნებად მისაჩენელ-  
არს და მგონიეს მეძიებელი ესე გვართა სახელთა,  
რაზომ წინაშე კეთილად შემოქმედისა ჩეუნისა სცოდებს,  
ეგზომ ბუნებისა შორის თვისა წინააღმდეგრაბს და არა  
ვიცი რომლისა მხრით ელის თავისა თვისისა სახელოვნე-  
ბისა მიწერად, არა თუ მოძულეთაგან ნათესავისა კაც-  
თასა. თუცა ჭეშმარიტისა სახელოვნებისა მეძიებელ არს  
ვინმე, რა არს უსახელოვნებს მშვიდობისა? თუცა ძალ  
იდვას რათა მეფობისა ზეგანცუდებულ იყოს ყოველი სა-  
ჭურველი, და ნაცვლად მისა სიბრძნე და გულისხმიერე-  
ბა ზედან უფლებდეს, რომლითა პირველისავე ბედნიე-  
რებისა მომქცევ იქმნეს ნათესავისად კაცთასა; და არცა  
ვინ აქვნდეს მას სწორად თავისა სახელოვნებით, რომე-  
ლი ჯერეთ ვერავის მოუპოვიეს და პირისპირ ამისა სა-  
ჭურველითა სახელოვანნი არა თუ შეფერი, ავაზაკნიკა  
მრავალნი უმჯობედ თავისა პოოს, რომელთა სახე-

ნი წარსულთა უამთაგან მრავალზი წინა გვიც. ხელი და  
საჭურველი კეთილ არს დასაცველად სიცოცხლისა და  
თუ უბრალოდ სისხლთა ღვრად ერთისა ოდენ შენელი  
სათვი.

თავი: ი.

## საუღველთაოდ გასინჯულობა

ყოვლისა კაცისა თანამდებ არს გონებისა თვისისა  
სარკესა შინა ჭვრეტად და გასინჯვად გულისხმიერად,  
თუ რა არს იგი, ანუ რასათვის იშვების, ანუ რაზედ და-  
ფუძნებულარს ცხოვრება მისი, და თუ ვინმე შეძლებელ  
იქმნას მას შიგან სწორად თავისა დანახვასა, ვერასა  
ვპოვებთ ჭირით შობისა, შრომით ჯხოვრებისა და მსწ-  
რაფლ არა რად შეცვალებისა მეტსა. გარნა რაზომცა  
სარკე ესე გონებისა ჩვენისა დაბინდებულ არს ოთქლი-  
თა თავმოყვარეობისა ჩვენისათა, ეგზომ გონება ჩვენი  
შეცომილარს ჭეშმარიტისა გზისაგან. ამისთვის ყოველ-  
ნი წინააღმდეგად ვხედავთ და სრულიად სხვასა ვგო-  
ნებთ: შობასა ჩვენსა მივიჩნევთ შვებით; ცხოვრებასა  
ჩვენსა განცხრომით და დღეთა ჩვენთა დაუსრულებით.  
და თვარა ესე არა ესრუთ იყოს, ყოველნიმცა თვარა მო-  
ვეგნეთ და საზომს თვისა არა შევსცილდეთ: მეფენიმცა  
არა გარდახდენ საზღვარს დიდებითა თვისითა, მთავარ-  
ნიმცა არა მაღლობდენ ხარისხითა თვისითა; მხედარნიმ-  
ცა არა იქებოდენ სიმახვილითა საჭურველისა თვისისათა;  
მღვდელნიმცა უშურველად და უსასყიდლოდ იკურთ-  
ხეოდიან; ვაჭარნიმცა არა მეტისა სარგებლისა შეძიებელ  
იყვნენ; გლეხნიმცა უდრტვინველად შვრებოდენ, და  
ყოველნიმცა იყვნენ დღე კეთილობით და ბედნიერო-

ბით განზრახვისაებრ პირველითგან კეთილდად შემოქმედ-  
დისა ჩვენისა, რომელი არს ყოფლისა უმაღლეს; და შევიტ-  
ყოველნივე თანასწორ წინაშე მისა რომელთა იგიმცა გვი-  
შნების შემწედ რათა მოვეგნეთ გონებასა და განვატა-  
რებდეთ მოკლესა ამას ცხოვრებასა ჩვენსა მშვიდობით,  
რათა არა წინააღმდეგად გამოვსჩნდეთ წინაშე მისა საუ-  
კუნებაცა.—

მცირე ვყავ ჭირი, ვაუბენ პირი  
შესაწევნელად მამულთა თვისთა.  
სიყრმითგან ჩემით, ჭკვა გასაჩემით,  
შეუცყრავ შურსა კეთილთა ვისთა.  
თუ ჩემებრ ძმანი ცდილობდენ სხვანი,  
ბედნიერ ყოფდენ ყოველთა მისთა:  
და არ ქონდესთ თვისი, ივანხონ სხვისი,  
კვლავ შეიწევდენ ზე ძალთა ღვთისთა.

## დაგამობა № 2

# Письма Александра Амилахори

### Письмо I.

Милостивый государь мой Лукиян Евдокимович.

Извините моя до сих пор молчаливости если не получил  
от меня письмо. Я уже писал к вам из Имеретии, а ныне  
пишу из Дербенда персидского города. Я в Имеретии более  
двух недель не жил, ибо выехал с царевичем Александром  
Грузинским и приехал здесь; отселе, с божией помощью,  
надеюсь нынешней осенью взять Грузию поелику по сех  
пор есть уже готовы 50 тысяч гойско и в скором времени  
едим туда доить (добыть?) законную нашу наследство, в

чем просим вас помочь нас молитвами и дружбу нашу не забыть. А я надеюсь на бога, получивши успех, <sup>зимою</sup> ~~зимою~~  
к вам явуся. Пред Николая Петровичу прошу также извинить; ей богу писал к его превосходительству прежде сего также князьям Долгоруковым. Прошу брату моему показать сие письмо и княгиня уведомить обо мне.

Ваш покорный слуга кн. А. Амилахоров

«Прошу Ание Ивановне мое почтение, а племяннику вашему Гедим Заицевым и другу Келлеру поклон сказать».

1782 октября 1-го.

### Письмо II.

Сиятельный князь милостивый государь

Юрий Александрович.

Прежде сего писал к вашему сиятельству из Имеретии, но не знаю, получили или нет, а ныне донесу вам, что находимся в Дербенде с царевичем Александром и божьею помощью едем вскором времени в Грузию с сильным войском, о котором, надеюсь, уведомить вас самолично зимою нынешнюю. Прошу его сиятельству брату вашему Василию Владимировичу мои почтения засвидетельствовать, прошу бога, чтоб видеть мне ево благополучно. Также его сиятельству Кирилу Александровичу кланяюсь с другом Егором Матвейчем, а что особливо не писал, право не имел время. Впрочем остаюсь Ваш покорнейший слуга

князь Александр Амилахоров

1782 г. 1 октября.

### Письмо III.

«Выехав из России в 1782 г. приехал в Имеретию, взял оттуда царевича Александра Грузинского, яко старшаго



наследника между нами и с ним еще моего меньшаго брата  
роднаго; поехал с ними прямо к лезгинцам в надеянии что  
сей народ еще до рожденія моего служил дому моему про-  
тив персов и против дома Ираклия; приехавши между сих  
народов не обманулся я, ибо узнавши мой род, они возстали  
на помощь и меньше месяца собралось более 60 тысяч  
человек в Дербенде, где, по шамхалову совету, мы дожидались  
собрание сих воинов. Ираклий, видя сие и, зная,  
что другие народы не помогут против нас, бросился к Российскому двору и подверг Екатерине II под покровительство  
себя и похищенный от себя царство, добы помошью ея из-  
бавиться от нас. Российский двор, почитая сие подтверждение (подвержение?) истинным, не щадил ничего, чтоб рас-  
касировать наше войско и, буде возможно достать нас самих  
в руке у себя; хотя дербендский хан, подкупленный об-  
юдио, раскасиравъл два раза лезгинцов обманом, но отдать  
нас россиянам не как не смел. Ираклий, видя, что нас не  
выдают россиянам и пока мы находимся в Дербенде не мо-  
жет избегнуть опасности, обещал хану дербендскому, сверх  
других услуг, дочь свою в супружестве ежели бы дать нас  
россиянам и избавить тем его от наших рук. Хану сему  
очень потрафил Ираклий, ибо никакой дар и никакое обе-  
щание не от россиян, не от Ираклия так его не лъстило как  
сие супружество, ибо сим супружеством лъстил себе некогда  
быть и шахом персидским: для чего, забыв святость гостеприимства, свойственней всем азиатским народам, решился  
выдать нас россиянам, но не так просто, чтоб не помыслить  
о своей безопасности и притом о сохранении своего кредита  
между своих соседей за то как измене к нам. Писал реши-  
тельно князю Потемкину, (который имел с ним переписку

на имя императрицы российской) сколь не велики де вы  
в своем отечестве саном своим, но не могу де не коим об-  
разом вашим письмом отдать таких людей, которые суть де  
первые члены в империи персидском, и за которых могу  
де голову потерять в случае восшествия на престол шаха  
в Персии, которой де будет непременно от меня требовать  
куда я их дел, також лезгинцы, которые столь им усер-  
ствуют, могут мстить за них ежели не покажу им доста-  
точные оправдания, могущие защитить везде меня, а сие  
оправдание есть де своеручное письмо от самой императри-  
цы Российской, уверяющей царским своим словом, что она  
сама доставить им наследство, им принадлежащее; как де вы  
уверяете меня, что для того хочет императрица у себя сих  
князей, чтоб оставить себе честь доставить им своею по-  
мощью принадлежаще им наследство. При том напоминал  
сей хан, что ежели согласится императрица обнадежить ево  
своеручным письмом в рассуждение нас, чтоб прислали ко-  
рабль для от'езда нас в Астрахан, ибо сухим путем нельзя  
было ему нас доставить в Россию. Итак при раскассирова-  
нии другой раз войска нашего, получил хан желаемое пись-  
мо от императрицы и корабль для нашего отвезения в Рос-  
сию. Тогда хан, заключив себе в сераль, приспал к нам сво-  
их министров, свидетельствовал нам сколько раз он отверг  
предложение российского двора, но теперь де пишет сама  
императрица своеручно, обнадеживая царским словом, что  
она желает вас только для того, чтоб иметь ей одной честь  
доставлением наследств вашего вам, ибо, по словам ея, вы  
были в России, просили помочь, но тогда не досуг было  
двору российскому, а теперь доставать вам наследство без  
ея помощи постыдно и опасно было для России,—советовал

нам хан через своих министров и просил чтоб мы не сделали российский двор ни себе, ни ему неприятелем и чтоб поехали туда получить от ея величества помошь, чем де от лезгинов. Царевич Александр противился было сому совету, но я сказал ему, что уже поздно противление его, когда не слушал совет мой и просьбы лезгинцов, чтобы вышли мы из Дербенда, а теперь ехать в Россию пока так учиово говорит, чем будет силой выдавать, ибо ясно видна была измена хана дербендского. Итак сели на корабль 10 ноября, претерпели великий штурм на пути и приехали в Астрахань, где познали совсем противном обещанной нам помощи. Ираклий, пользуясь сим обоюдным обманом, ибо не землю императрице, не дочь хану не дал, произвел турецкую воину с Россиеи, и процарствовал лишние 12 лет, а я высидел в пленау  $17\frac{1}{2}$  лет Российан. А. А.».

Письмо без даты; но раз он пишет, что «высидел в пленау  $17\frac{1}{2}$  лет», оно написано в 1799 г.

#### IV. Копия письма к Екатерине II-ой.

Живи до веки величественная монархина. Во всех степенях добродетели, принадлежащие лицу твоему; но с другой стороны вижу гораздо величайшую и сильнейшую (то есть судбу мою), которая вас побуждает и принуждает в противность, но токмо ваши добродетели, но и пользы меня гнать и против меня единаго немилосердствовать ея, что удивляет меня, великая царица.

Девять лет содержусь я под стражом, где во все времена ни травы зеления, ни листия древесния глаза мои не зреши, не зная сам истинно за что (по елику по сие время ничто о том меня не возвещает, что еще удивительнее всего

их, что сверх других поруганий и насаждий, но их от благопристойности не могу здесь представить). Пять лет последних из сих девяти год моего плена кроме хлеба и воды ни единой полушки не получал я из казны вашей на мое содержание. Ежели рабы ваши без воли вашей со мною так поступают, сие есть дерзко и величайшаго наказания достойно, если же происходит по повелению вашему как сие уверяют (чему однажды не могу верить), то страшитесь, великая государыня времян собственного своего сердца, чтоб не дала она вам никогда возчувствовать, что страшно для ней притеснить безвинно и последнаго из своих подданных кольми паче своего брата и без того довольно несчастного Александра Амирахора».

1792 г. ноября 17-го.

### Письмо V

Есть и второе письмо к императрице Екатерине II, которое датировано 17/XI 1792 г. и больше половины которого является повторением первого письма. Здесь мы приводим то, чего нет в первом письме:

«... Впрочем, великая монархина! С надеждой донесу, что дружба моя и вольность гораздо полезнее было вашему государству нежели неволя и столь презренное содержание. Кажется я один рожден между моими соотечественниками, который хочет и может с божьей милостью соединить с Россию и с полною дружбою не только народа своего, но и издревле к нам принадлежащих народов; и пользы от сего происшедшаго не все еще всем известны; ежели угодно будет вашему величеству удостоить меня выслушать, увидит совсем другой лехкий и спасительной с обеих стороны про-

ект, нежели все по сие время написанные. Не все несчастные лишены разума и способностей; вашему величеству не без известны, что часть к разум редко ходят по одной стезии. Подавая сие письмо на священное имя твое подписанное, не токмо дерзнул Гинцель\*) здешний не принять, но приставил караул, меня никуда не выпускает. Се, великая монархина, дерзновение, против имени самодержавцы своей».

### Письмо VI

Письмо графу Платону Александровичу (Зубову).

Сиятельный граф Платон Александрович. Двумя образы бывает человек на свете всем известны; (то есть) по чрезвычайным счастьем или несчастьем. По елику же мы с вами представляем свету ныне образ сих двух особ, то не можем сказать, чтоб по первому вы мне, а по второму я вашему сиятельству не были знакомы, для чего вознамерился я писать к вашему сиятельству и уведомить, что по претерпении здесь, в Виборге, крайних обид и притеснений дерзнул я к е. и. в-ву писать прошлого года ноября 17 числа такого точно содержания письмо, которого копию я здесь прилагаю и которой оригинал по неприятно от нашего генерала взял некто из человеколюбия у меня с тем намерением, не может ли доставить чрез того к ея величеству. Но по сие время не могу знать дошло-ли оно до высоких ея рук или нет и между тем претерпеваю сверх прежних обид и так, что ни ого ко мне не пускают и меня никуда из квартиры не выпускают даже при толиком празднике христианства не имел свободы в церкви быть, для чего прошу покорно вашего сиятельства уведомить меня по какому повелению со

\* Гинцель повидимому начальник тюрьмы.

мною так поступают. Ежели российский двор находит в том  
пользу, чтоб меня не выпускать на волю, неужели не на-  
